ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 13 მარტი 2001 №43 (1316) | ფასი 50 თეთრი


# ძმამ მოუდო ძმასა ყისტი

ერთ მხარეს ქუთაისის „ტორპედოს“ და საქართველოს ეროვნული გუნდის მცველი ლევან სილაგაძე და მეორე მხარეს მისი უმცროსი ძმა, რუსთავის გორდელი ლაშა... ერთ მხარეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების და „ვიტ ჯორჯიას“ ნახევარმცველი ლაშა ნოზაძე და მეორე მხარეს მისი უმცროსი ძმა, თსუელი ბექა... რომ არა სატრანსფერო კარუსელის ამგვარად ტრიალი, ამ სიას ერთი წყვილიც შეავსებდა: ერთ მხარეს ბოლნისის „სიონის“ თავდამსხმელი კონსტანტინე მეტრეველი, მეორე მხარეს კი მისი უმცროსი ძმა, იბერიელი ზურაბი. ამ ზამთარს უმცროსმა მეტრეველმა კლუბი გამოიცვალა და ახლა თსუ-შია. სწორედ თავდამსხმელი ძმების დუელი დაასრულებს ეროვნული ჩემპიონატის პირველ ეტაპს. მანამდე კი, გაზაფხულზე, ერთადერთი მეოცე ტური აღმოჩნდა „ძმური“. უმცროსი სილაგაძის „გორდამ“ უფროსის „ტორპედოს“ ქულა გაუყო, უფროსი ნოზაძის „ვიტ ჯორჯიამ“ კი უმცროსის თსუ დაიბრიყვა. და კიდევ, „დინამო“ „მერანს“ „ლოკომოტივი“ კი „კოლხეთს“ დაუზავდა.

საქართველოს 12 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

## 20 ტური

10 მარტი, შაბათი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 0 |
| ლოკომოტივი | 0 |
| მერანი | 2 |
| დინამო | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 2 |
| თსუ | 0 |
| დილა | 0 |
| ბათუმი | 4 |
| გორდა | 1 |
| ტორპედო | 1 |
| იბერია | 0 |
| სიონი | 2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 20 | 16 | 2 | 2 | 35:7 | 50 |
| ტორპედო | 19 | 13 | 4 | 2 | 31:7 | 43 |
| დინამო | 20 | 13 | 3 | 4 | 47:19 | 42 |
| ვიტ ჯორჯია | 20 | 10 | 6 | 4 | 28:14 | 36 |
| კოლხეთი | 20 | 8 | 6 | 6 | 21:16 | 30 |
| მერანი | 19 | 7 | 7 | 5 | 20:19 | 28 |
| ბათუმი | 20 | 7 | 4 | 9 | 28:27 | 25 |
| სიონი | 20 | 6 | 4 | 10 | 15:28 | 22 |
| გორდა | 20 | 3 | 9 | 8 | 15:25 | 18 |
| თსუ | 20 | 5 | 3 | 12 | 19:35 | 18 |
| დილა | 20 | 4 | 3 | 13 | 13:39 | 15 |
| იბერია | 20 | 0 | 3 | 17 | 3:39 | 3 |

იხილეთ მეორე, მესამე და მეოთხე გვერდები



შაბათს ავჭალაში: „მერანი“ — „დინამო“ 2:2. ექსჩემპიონთა მეკარე ზურაბ ბათიაშვილმა (№12) დუბლის გამტანი დავით გოდერძიშვილის იერიში მოიგერია



მორაგბეებს და მათ პრეზიდენტ ბიძინა გეგიძეს ხელი რუსთაველიკენ გაუშვირეს

# მთავარია გაგება?

## მორაგბეებს მადლობა უთხრეს და რუსთავში გაუშვეს

ევროპის ერთა თასი. მეოთხე ტური. 17 მარტი

**საქართველო - ესპანეთი**

რუსთავი. «ფოლადის» სტადიონი. 15 საათი

— ჩვენ და ფეხბურთის ფედერაციას არაფერი გვაქვს გასაყოფი, ამასთან, მეგობრული ურთიერთობაც ჩამოგვიყალიბდა. რუსთავის ვარიანტს დავთანხმდებით და ესპანელებს „ფოლადის“ სტადიონზე როგორმე ვუმასპინძლებთ — განაცხადა გუშინ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ.

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VIII ჯგუფი. 28 მარტი

## საქართველო — რუმინეთი

# საქართველო გერმანიაში გაიცხრილება

**უმნიშვნელოვანესი** მატჩი ელის საქართველოს ეროვნულ გუნდს 28 მარტს რუმინეთთან. როგორც უკვე გაუწყეთ, ჩვენი ნაკრები ამ შეხვედრისთვის მზადებას 20 მარტს გერმანიაში, ამ ქვეყნის ეროვნული გუნდის ერთ-ერთ ბაზაზე, პატარა ქალაქ ჰენევში შეუდგება.

გუშინ ნაკრების მწვრთნელებმა ის ოცი ფეხბურთელი დაასახელეს, რომლებიც გერმანიაში ჩავლენ. ექვსდღიანი შეკრების შემდეგ მათი რიცხვი 18-მდე შემცირდება და 26 მარტს სარუმინეთო შემადგენლობაც გამოცხადდება. ძოძუაშვილ-ყიფიანის ოცკაციანი სია კი ასე გამოიყურება.

*მეკარეები: დავით გვარამაძე, ირაკლი ზოიძე (ორივე „ტორპედო“)*

*მცველები: ზურაბ ხიზანიშვილი („დანდი“, შოტლანდია), კახა კალაძე („მილანი“ იტალია), ლევან სილაგაძე, სევასტი თოდუა, რევაზ ქემოკლიძე (სამივე „ტორპედო“), ლევან კობიაშვილი („ფრაიბურგი“ გერმანია)*

*ნახევარმცველები: გიორგი ნემსაძე („დანდი“, შოტლანდია), თემურ ქეცბაია („ვულვერჰემპტონი“, ინგლისი), გიორგი ქინქლაძე („დერბი“, ინგლისი), ზურაბ მენთეშაშვილი („სკონტო“, ლატვია), გოჩა ჯამარაული („ციურიხი“, შვეიცარია), ალექსანდრე რეხვიაშვილი („სკონტო“, ლატვია)*

*თავდამსხმელები: შოთა არველაძე („აიაქსი“, ჰოლანდია), არჩილ არველაძე („კიოლნი“, გერმანია), მიხეილ ყაველაშვილი („ციურიხი“, შვეიცარია), ზაზა ჯანაშია („ლოკომოტივი“, რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი“, გერმანია), მიხეილ აშვეთია („ტორპედო“).*

# მატჩი სარკინიგზო გრაფიკით

**ხვალ** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები „შევარდენზე“ აზერბაიჯანელებს დაუხვდება. მურთაზ ხურცილავას გუნდმა ბოლო საკონტროლო მატჩში უკრაინელები დაამარცხა და ბუნებრივია, აზერბაიჯანელებთანაც გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

ჩვენი მეზობლები დღეს ჩამოვლენ მატარებლით და 4 საათზე „შევარდენზე“ ივარჯიშებენ. ხვალ კი მატჩი 13 საათზე დაიწყება და სტუმრებიც საღამოს მატარებლითვე გაემგზავრებიან შინ.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისთვის ეს შეხვედრა ბოლო რეპეტიცია იქნება რუმინეთთან პრინციპულ მატჩამდე.

მურთაზ ხურცილავას გუნდს ხვალ დაშავებული ლაშა ჯაკობია დააკლდება. სამაგიეროდ, „შევარდენზე“ მისულ ქომაგს საშუალება ექნება, საქმეში ნახოს მოსკოვის ლოკომოტიველი ვლადიმერ კაკაშვილი. ნაკრებშია კოლხი დავით კვირკველია, მწვრთნელები მასაც გამოსცდიან.

სულ კი მურთაზ ხურცილავამ აზერბაიჯანელებთან სათამაშოდ ეს 18 ფეხბურთელი გამოიძახა: *გიორგი ლომაია, ლაშა სალუქვაძე, გივი კვარაცხელია, ვალერი აბრამიძე, გიორგი შენგელია (ლოკომოტივი), მირზა მერლანი, ედიკ საჯაია, ლევან მელქაძე (ვიტ ჯორჯია), მამუკა წერეთელი (უგუნდო), დავით კვირკველია (კოლხეთი), ზურაბ ხიზანიშვილი (დანდი), ალექსანდრე ჩივაძე, გიორგი მანწკავა, ვლადიმერ ბურდული (დინამო), ვლადიმერ კაკაშვილი (ლოკომოტივი, რუსეთი), ზურაბ ძამსაშვილი (იბერია), მალხაზ ასათიანი, გიორგი იმედაძე (ტორპედო).*



მურთაზ ხურცილავა

# კიევის დინამო: ეს ბიჭი ჩვენთვის გვინდა

**ბევრისთვის** უცნობი ჩვიდმეტი წლის ქართველი ნახევარმცველი დავით ნაკანი შესაძლოა, მალე კიევის „დინამოს“ ფეხბურთელი გახდეს.

ნაკანი განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური საფეხბურთო სკოლა „21-ე საუკუნის“ აღზრდილია, ამ ფეხბურთელმა შარშან საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებშიც ითამაშა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, უფრო ადრე კი, 15 წლისას, ეროვნულ ჩემპიონატშიც ჰქონდა დებიუტი. მაშინ „სამგურალის“ თავკაცმა გაიოზ დარსაძემ ნიჭიერ ყმაწვილს „დინამოსთან“ თავის გამოჩენის შანსი მისცა.

დაიწყო მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატი და დავით ნაკანი არც ერთ ქართულ გუნდში არ გამოჩენილა... დღეს კი კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელობა ნიჭიერ ფეხბურთელთან კონტრაქტის გაფორმებას ლამობს და ეგებ უკრაინულ გრანდში კვლავაც გამოჩნდეს ქართველი, თუ ისევ და ისევ ქართველთა მხრიდან წარმოქმნილი პრობლემა დროულად მოგვარდა.

დავით ნაკანის ამბები საფეხბურთო სკოლა „21-ე საუკუნის“ დირექტორმა გია ლეჟავამ გვიამბო.

„დათო ჩვენი სკოლის აღზრდილია. თხუთმეტი წლისა უკვე ისე იყო მომზადებული, რომ გაცილებით მაღალ დონეზე თამაშიც შეეძლო. მაშინ მხარში დაგვიდგა „სამგურალის“ ხელმძღვანელობა და გუნდის მთავარი მწვრთნელი გაიოზ დარსაძე. წყალტუბოურმა გუნდმა ჩვენი სკოლიდან ინათხოვრა ნაკანი და დარსაძემ ჯერაც გამოუცდელი ახალგაზრდა ეროვნულ ჩემპიონატში ათამაშა.

გასული წლის აგვისტოში ნაკანი შუამავალმა გასინჯვაზე წაიყვანა კიევის „დინამოში“. რამდენიმე ხანში კიევის „დინამო 2“-ის მწვრთნელი იური ესკინი დამიკავშირდა, აღფრთოვანებული იყო დათოს თამაშით და მითხრა, მალე კონტრაქტის პირობებზე დავილაპარაკოთო. მაგრამ ერთ-ერთ საკონტროლო მატჩში ნაკანმა მხარი მოიტეხა და ურთულესი ოპერაცია დასჭირდა. მისი მკურნალობა დღეში 160 დოლარი ჯდებოდა, ყველა ხარჯი კიეველებმა გაიღეს, მოსკოვიდან ექიმები მიიწვიეს და დათოს მხარში პლატინა ჩაუდგეს.

ნაკანი თბილისში დაბრუნდა, დეკემბერში მხრიდან პლატინაც ამოიღო და სრულად გამოჯანმრთელდა. კიეველთა ზარმაც არ დააყოვნა და 26 დეკემბერს დათო ისევ „დინამოს“ შეუერთდა. მარტამდე გავსინჯავთ და თუ ყველაფერი რიგზე იქნა, კონტრაქტის პირობებზე დავილაპარაკოთო, თქვეს კიეველებმა და სიტყვაც შეასრულეს. ესკინმა კონტრაქტზე საუბრისას მხოლოდ ერთი პირობა წამოაყენა, უსაშველო თანხას ნუ მოითხოვთ, სურკისი ახალგაზრდა, გამოუცდელ ფეხბურთელში ბევრს არ გადაიხდისო. ნაკანს ჩვენს სკოლასთან აკავშირებს კონტრაქტი, ამიტომ ესკინს პირდაპირ ვუთხარი, ოღონდ ფეხბურთელს ხელი არ შეეშალოს და თქვენს პირობებს მივიღებთ-მეთქი.

სატრანსფერო თანხად 50 000 დოლარი დასახელდა და აქ შუამავლის და კლუბის ინტერესები გადაიკვეთა, მაგრამ ყველაფერი მოგვარდება, საქმე თითქმის გაჩარხულია, დათოსაც დიდი სურვილი აქვს, „დინამოში“ თამაშის, იქაურ სიტუაციასაც შეჩვეულია და ყველა ემადლიერება.

რამდენიმე დღის წინ თვით იოჟეფ საბო შემეხმიანა, მითხრა, შუამავლები არ გვჭირდება, მშობლებთან ერთად ჩამოდით კიევში და ყველაფერი ადგილზე გადავწყვიტოთო.

ამასთან დაკავშირებით საქმის კურსშია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც. მერაბ ჟორდანია დამპირდა, ტრანსფერის გაგზავნაში ხელს არ შეგიშლითო და იმედი მაქვს, ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდება“.

**ბაატა ძგანტალიანი**



დავით ნაკანი

## იტალია

სერია B

XXVI ტური

ტერნანა 0:1 ტორინო

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

XXIV ტური

მიონხენგლადბახი 1:1 ნიურნბერგი

## პორტუგალია

XXIV ტური

გიმარაეში 2:2 პორტუ

საქართველოს უმაღლესი ლიგა 12 ჩემპიონატი მეორე წრე

## 20 ტური

# დავბრძ ტოპსა, ბანაარსა...

მცხეთა

10 მარტი

15 საათი

„არმაზი“

300 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 2:0 თსუ**

1:0 ქორიძე (35), 2:0 გოცირიძე (73)

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, იაწკირველი, საჯაია, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი (რ. გოცირიძე 46), ლ. ნოზაძე, გოგობერიშვილი, დილმელაშვილი, ყიფიანი, გიორგი ქორიძე (ადამია 78), წუწუნავა (დ. დოლიძე 70)

სათადარიგონი: ქურაძე, ლ. მელქაძე, ხაჭაპურიძე, სულთანაშვილი

**თსუ:** მამარდაშვილი, ჯობავა (ბ. ნოზაძე 46), ხარებავა (ლობჟანიძე 87), ებრალიძე, ბერიანიძე, არეშიძე, შოშიაშვილი (დ. არჩვაძე 85), დათუნაიშვილი, ახალაძე, მერებაშვილი, ქურაშვილი

სათადარიგონი: სტურუა, ფირცხალაიშვილი, მინჯია

**გაფრთხილება:** ახალაძე (60), დათუნაიშვილი (68)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე, ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (ყველა თბილისი); ა. ორჯონიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

**კობა ინასარიძე მცხეთიდან**

**როგორც** მოსალოდნელი იყო, ისეთი მატჩი გამოდგა. დაძმობილებულთ ერთმანეთთან ბრძოლით მაინცდამაინც არ გამოუდიათ თავი და ისევე დუნედ ჩაამთავრეს მატჩი, როგორც დაიწყეს.

„ვიტ ჯორჯიას“ უპირატესობა აშკარა გახლდათ და თქვენ წარმოიდგინეთ, იმდენად, რომ შესვენებამდე სტუდენტებს კარში კი არა, კარისკენაც არ დაარტყმევინეს, კუთხურიც არ ჩააწოდებინეს და 45 წუთში სულ ორჯერ თუ სამჯერ გადააკვეთინეს მოედნის ცენტრი.

მომენტები კი, ისეთი, სახიფათო რომ ეთქმის, ვიტელებს ბევრიც არ შეუქმნიათ, ძმობილთ, ალბათ, ინდობდნენ. მასპინძლები უმეტესად მარცხნიდან აწუხებდნენ მეტოქეს, მაგრამ სახეირო რომ ვერაფერი შექმნეს, მწვრთნელმა თემურ მახარაძემაც შესვენებაზე მარცხენაფლანგელი ჯაბა მუჯირი შეცვალა და მის ადგილას ალეკო გოგობერიშვილი გადასწია. თუმც კი იქამდე, სანამ გოგობერიშვილი შუაში თამაშობდა, სწორედ მისი დამსახურებით „ვიტ ჯორჯიამ“ მოასწრო ერთი გოლის გატანა: მოედნის ცენტრიდან ჩინებული პასით გოგობერიშვილმა ქორიძე მამარდაშვილს პირისპირ შეატოვა, მანაც ბურთი გაისწორა და გატანა აღარც გასჭირვებია.

მერე ვიტელები ერთი-ორჯერაც დაემუქრნენ სტუდენტებს, მაგრამ ისე არა, აღსანიშნავად ღირდეს.

შესვენების შემდეგ თსუ საგრძნობლად გააქტიურდა. მწვრთნელმა მერაბ კოჭლაშვილმა მცველი ჯობავა შემტევი ნახევარმცველით, ნოზაძით შეცვალა. სტუდენტებიც ამოძრავდნენ, ნელ-ნელა „ვიტ ჯორჯიას“ ნახევარსაც გაუშინაურდნენ და 63-ე წუთზე ერთი ჩინებული საგოლე შანსი გააცუდეს — არეშიძის კარგი პასის კარგადვე დაბოლოება მერებაშვილს შეეძლო, მაგრამ მერლანთან მარცხენა ფლანგზე შეყრილმა მეტისმეტი ქნა და ბურთიც ძელმა აისხლიტა. თსუ-ს აქამდეც ჰქონდა ერთი კარგი მომენტი, მაგრამ არეშიძეს დარტყმული გაუცუდდა. სამაგიეროდ, „ვიტ ჯორჯიამ“ ერთხელაც იყოჩაღა და მოგება სათუო აღარ გაუხდია. 73-ე წუთზე ვიტელებმა სტუმარი მცველების შეცდომით ისარგებლეს, მატჩში ერთ-ერთმა გამოსარჩევმა, ყიფიანმა, მარჯვნიდან ჩააწოდა მეტოქის საჯარიმოში, მცველები დაიბნენ და ზურგსუკან შეცვლაზე შესული გოცირიძე უმეთვალყურეოდ დატოვეს, მანაც აუღელვებლად შეაგორა ბურთი კარში. მატჩის ბოლოსკენ „ვიტ ჯორჯიას“ კიდევ შეეძლო დაწინაურება, მაგრამ ზემოთაც ხომ ვთქვით, მათ ძმობილები, ალბათ, დაინდეს.

მოპოვებულ და დაკარგულ სამ ქულას კი შაბათის მეტოქეების სატურნირო მდგომარეობაზე დიდად არც უმოქმედია. უკვე ისედაც ცხადია, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ პრიზიორობისთვის უნდა იბრძოლოს, ხოლო თსუ-მ — უძლიერესთა შორის დასარჩენად.

# გიორგი კიკნაძე წელში იმართება

**გიორგი კიკნაძემ**, რომელიც ბუნდესლიგის „ფრაიბურგის“ მეოთხე ქართველია, რამდენიმე დღეა, ვარჯიში ინდივიდუალური პროგრამით განაახლა და ამ თვის ბოლოდან, ალბათ, გუნდთან ერთადაც მოემზადება.

გეხსომებათ, ეს ფეხბურთელი კარგა ხნის უთამაშებელია და ერთხანს საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ კიკნაძეს ფეხბურთიდან მოკვეთითაც ემუქრებოდნენ. საბოლოოდ ყველაფერი ასე დამთავრდა — თურქეთის „სამსუნსფორს“, ვისი ფეხბურთელიც კიკნაძე იყო, რომელი კლუბიც 90 ათას დოლარს გადაუხდიდა, ქართველი ნახევარმცველიც მისი იქნებოდა. ეს პრობლემა ქუთაისის „ტორპედომ“ მოაგვარა. საქართველოს ჩემპიონებმა თურქებს ზემოთნახსენები თანხა გადაუხადეს, მერე კი გიორგი კიკნაძე გერმანიის „ფრაიბურგს“ დაუთმეს.

ჩვენებურმა ბუნდესლიგის სამეორეწრეოდ მოსამზადებელი პერიოდი ახალ გუნდთან ერთად პორტუგალიაში გაიარა, მაგრამ წელის ტკივილმა საშუალება არ მისცა, ბუნდესლიგა აქამდე დაეჭაშნიკებინა. ის საოპერაციო იყო.

თავად გიორგისგან კი ახლა შევიტყვეთ, რომ ოპერაციის შემდგომი პერიოდი ნორმალურად მიმდინარეობს და მარტის ბოლოს, როგორც ვთქვით, ალბათ გუნდთან ერთადაც დაიწყებს ვარჯიშს, თამაშით კი...

— არ ვიცი, ვნახოთ, ბუნდესლიგის ჩემპიონატის დასრულებამდე ეგებ სათანადო ფორმაშიც ვიყო. იმედი მაქვს, მწვრთნელი ფოლკერ ფინკე ამ სეზონშივე მომცემს თავის გამოჩენის საშუალებას — გვითხრა გიორგი კიკნაძემ, როცა ფრაიბურგში შევეხმიანეთ.



გიორგი კიკნაძე

**კობა ინასარიძე**

ტურის ცენტრალური მატჩი

# ფაზისი დაიწუნეს!

## მინდვრის საფარით და კარის ჩარჩოიანად

ფოთი
10 მარტი
15 საათი
ფაზისი
3 000 (ტევადობა 6 500)

**კოლხეთი 0:0 ლოკომოტივი**

**კოლხეთი:** ქაჩახია, ფანჩულიძე, ტორჩინავა, გოროზია, ქობულაძე, აკობია (ქანტურია 79), კვირკველია, ღალანიძე (ხუროძე 62), ე. გვასალია, მუმლაძე, წივწივაძე
სათადარიგონი: ჩემია; ქუნთელია, პაპავა, ბაჩილავა, ყურაშვილი
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, გილაური, შელია, ცხადაძე, სალუქვაძე, კვარაცხელია, ქიქვაშვილი (დათვაძე 46), ანჩაბაძე, გოგიჩაიშვილი (გ. შენგელია 78), რუსია (პარამონოვი 60)
სათადარიგონი: ასლანაძე, ზ. ლაცაბიძე, ბაქრაძე, რ. ონიანი
**გაფრთხილება:** გვასალია (42), მუმლაძე (86)
**მსაჯები:** მ. მალალურაძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ქიათურა), ლ. სილაგავა (თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუთაძე

**გოჩა ჯანაშია** ფოთიდან

**ტურის** ცენტრალური ეთქმოდა „ფაზისზე" გამართულ მატჩს. ინტრიგაც, ცხადია, საკმაო იყო — შეძლებდნენ კი კოლხები რკინიგზელთა შეჩერებას?

არ გამართლდა ფოთში მრავლად ჩასული სტუმრისა და სამი ათასამდე ქომაგის მოლოდინი. მატჩი სანახაობრივად დიდი ვერაფერი გამოდგა. სამაგიეროდ, მწვრთნელთა ტაქტიკური ჩანაფიქრის განსახორციელებლად ფიცხელი ბრძოლა.

ნამატჩევს მინდვრის საფარის უვარგისობაზე ორივე გუნდის თავკაცი ჩიოდა, უხარისხო მოედანზე ხარისხიანი ფეხბურთის თამაში შეუძლებელიაო. ამაში ლოგიკის მარცვალი, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ უვარგისი მინდვრები ჩვენში კარგა ხანია, არავის უკვირს და ასეთ სიტუაციაშიც გვინახავს ნორმალური ფეხბური.

ხვალინდელ „სარბიელს" რომ გადაშლით და ამ მატჩის სტატისტიკას გაეცნობით, არ გაიკვირვოთ, კარში დარტყმის გრაფაში ორივე გუნდს ნული თუ ეწერება. დიახ, ასეა — მთელი 90 წუთის განმავლობაში სტუმარ-მასპინძელს კარის ჩარჩოში ბურთი ერთხელაც არ დაურტყამს.

პირველივე წუთებიდან გამოჩნდა, რომ ორივე გუნდი ფრთხილობდა და მეტ ყურადღებას დაცვათ უთმობდა. ფაქტობრივად, თამაში ურთიერთშეცდომებზე იყო გათვლილი და აქედან გამომდინარე, არც ერთი მხარე არ რისკავდა.

ხისტი და მჭიდრო მეურვეობა თავიდან კოლხებს უკეთ გამოსდიოდათ. პრესინგის წყალობით ფილიას შეგირდები სტუმართა შეტევის ორგანიზების მცდელობას მათსავე ნახევარზე ახშობდნენ, მაგრამ საჯარიმოში შეღწევას ვერ ახერხებდნენ. რკინიგზელთა უკანა ხაზი კახა ცხადაძისა და პირველად მოთამაშე მურთაზ შელიას თავკაცობით საიმედოდ ირჯებოდა.

პირველ 15 წუთში ხიფათის მაგვარი ეპიზოდი სამი იყო და სამივე შორეული დარტყმების შედეგად. ჯერ ორწუთიან მონაკვეთში ღალანიძემ და მუმლაძემ სცადეს ლომაიას შეწუხება, მაგრამ ამაოდ — ორივეს დარტყმა უზუსტო გამოდგა.

სტუმრებმა პირველი და, როგორც მერე გაირკვა, ბოლო დარტყმა კარის მიმართულებით მე-13 წუთზე განახორციელეს. ქაჩახიას მუშტებით მოგერიებულ ბურთს ბალაშვილი საჯარიმოს ხაზთან დაუხვდა და ძლიერი დარტყმით კარის ბადე ოდენ გარედან შეარხია.

ეს იყო და მეტად რკინიგზელებს კოლხთა მეკარე არც შეუწუხებიათ, რადგან შეძტევი პოტენციალი არ ეყოთ. არ წაუვიდა თამაში რუსიას, ხოლო გოგიჩაიშვილი ლანდივით ადევნებულმა ფანჩულიძემ სრულიად ამოკეტა. მათი პასებით უზრუნველყოფა ანჩაბაძეს ევალებოდა, მაგრამ მას ახალბედა აკობიამ ამის საშუალება არ მისცა და გიორგის აქტივში დაცვაში გარჯა უფრო ჩაეთვალა, ვიდრე შეტევის ორგანიზებაში.

შეტევა დიდად არც კოლხებს გამოსდიოდათ. ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი წივწივაძე სტუმართა დაცვას ვერაფერს აკლებდა. თანაც ჰამლეტის კოზირი მეორე სართულზე თამაშია, მაგრამ ტანმაღალ რკინიგზელებთან ამის გაკეთება ურთულესი საქმე გამოდგა.

„ბათუმთან" მატჩში გამორჩეული ღალანიძე ამჯერად ვერ იყო თამაშის იშტაზე. აკი, მეორე ტაიმში შეცვალა კიდეც ფილიამ და მინდორზე ყოფილი რკინიგზელი ცეზარ ხუროძე გაიყვანა. თუმცა მის გამოჩენას დიდად არაფერი შეუცვლია.

„კოლხეთი" მეტოქეზე მეტად ცდილობდა თამაშის გამწვავებას და ბურთსაც უფრო ხშირად აკონტროლებდა. სახიფათო მომენტებამდე კი საქმე ვერ მიჰყავდა. მოვლენები ძირითადად ცენტრში ვითარდებოდა, სადაც მობურთალნი მწვრთნელთა დავალებებს პირნათლად და თავგანწირვით ასრულებდნენ.

კოლხთაგან გამორჩეული უფრო ფანჩულიძე იყო. მან დაცვაშიც იბრძოლა და შეტევაშიც ხშირად ერთვებოდა. მეორე ტაიმში გატანაც შეეძლო, როცა კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ძნელი სიტუაციიდან კარში გაგზავნა, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა.

ისიც თვალსაჩინო იყო, რომ ნოდიამ რუსიას ნაცვლად ტანმაღალ პარამონოვს უხმო, ევებ საჯარიმოში მაღალ ბურთზე იხეიროსო. თუმცა რად გინდა, ლამის ყველა საჰაერო ბრძოლა ტანდაბალმა ფანჩულიძემ მოიგო.

მეორე ტაიმი პირველივით მწირი გამოდგა მომენტებით. იშვიათად თუ ცდილობდა ვინმე, ხიფათი შეექმნა. სამაგიეროდ, იყო ბრძოლა, რომელშიც ორივე გუნდი უაღრესად კორექტულად ირჯებოდა. ორჯერ მოუწია მალალურაძეს ყვითელი ბარათის ჩვენებამ და ორჯერვე სიმულაციაზე დაიჭირა კოლხები. ჯერ იყო და პირველი ტაიმის ბოლოს გვასალიას არ აპატია სტუმართა საჯარიმოში თავისი ნებით წაქცევა. ბოლოს მატჩის მიწურულს ამისთვის მუმლაძეც დასაჯა. შეეძლო, არც დაესაჯა, რადგან მუმლაძის ბალაშვილთან ძიძგილაობა ჯერ კიდევ საჯარიმოს მისადგომებთან დაიწყო. პენალტი თუ არა, მანამდე ჯარიმა მაინც იყოო, ცხაროზდნენ ფოთელები.

ასე იყო თუ ისე, მატჩის დასრულებამ სტუმრები უფრო გაახარა, თუმცა ყურჩამოყრილნი არც კოლხები ჩანდნენ. მძიმე ბრძოლა მშვიდობიანად და ორივესთვის სასურველად დამთავრდა. ისე კი, „კოლხეთს" ექვსეულისთვის ბრძოლა ცოტათი გაუმძაფრდა და „ვიტ ჯორჯიასთან" მომავალ მატჩს დიდი მნიშვნელობა ექნება.

***გივი ნოდია, „ლოკომოტივის" მწვრთნელი:*** „ვფიქრობ, საკმაოდ ძლიერ გუნდს ვეთამაშეთ. ძალიან ძნელია ასეთ მინდორზე თამაში და შეტევის სწორად წარმართვა. ორივე გუნდი ცდილობდა, შეცდომა არ დაეშვა და ამან განაპირობა მომენტთა სიმწირეც. მიგვაჩნია, რომ ორი ქულა არ დაგვიკარგავს. ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ, ისე კი, მაინც დაძაბული და საინტერესო მატჩი გამოდგა".

***სოსო ფილია, „კოლხეთის" მწვრთნელი:*** „თამაშმა მართლაც რთულ პირობებში მოგვიწია. ძნელია, უხარისხო მინდორზე სწრაფად იაზროვნო და იმოქმედო". რაც შეეხება „ლოკომოტივს", მას ჯერ კიდევ ეტყობა შეუთამაშებლობა და სამომავლოდ თანდათან შევა ფორმაში. ჩემპიონობაც შეუძლია.

ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს და ტაქტიკური გეგმა სწორად შეასრულეს. სათამაშო დისციპლინა ორივე გუნდს მაღალ დონეზე ჰქონდა. თანაბარ თამაშში შედეგი ლოგიკური გამოდგა".

# დინამიურიც, ადინამიურიც

თბილისი
10 მარტი
15 საათი
სინათლე
3 000 (ტევადობა 3 000)

**მერანი 2:2 დინამო**

0:1, 0:2 ზირაქიშვილი (25, 30), 1:2, 2:2 გოდერძიშვილი (70, 74)
**მერანი:** ნაჭყებია, გოგიტაძე, გუჯაბიძე, დავითიძე, ცქიფურიშვილი (ბოლქვაძე 46), ხუჯაძე (კოშკაძე 46), ჩხაიძე, დევიძე, ზ. კვეკვესკირი, დ. გოდერძიშვილი, მინაშვილი
სათადარიგონი: კოროშინაძე; ჭინჭარაული, მუხინი, ბაჯელიძე, თოლორდავა
**დინამო:** გრიშიკაშვილი (ბათიაშვილი 46), სვანაძე, ზამთარაძე (ჩივაძე 73), შაშიაშვილი, კანდელაკი, ა. სახვაძე (ადვციაური 75), მანწკავა, ბურდული, მაზიაშვილი, ზირაქიშვილი, გ. ვ მიქაძე
სათადარიგონი: ი. შენგელია, თ. მაისურაძე, თუთარაშვილი
**გაფრთხილება:** მინაშვილი (80), გოდერძიშვილი (86), მიქაძე (56, 81)
**გაძევება:** მიქაძე (81)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**სოლომონ გულიაშვილი**

**„სინათლის"** გაქუცულ მინდორზე სასეირო თამაში ვნახეთ. ასეთი ჟინიანი ბრძოლები ჩვენს ჩემპიონატში იშვიათია.

ავჭალაში ისეთი მოედანია, კაცს ნახვისთანავე გულზე შემოეყრება. რაღაც გაურკვეველი რელიეფის მართკუთხედი გახლავთ. ჰოდა, რაც მოახერხეს, ის ითამაშეს. მარტის სუსხმაც, ძვალრბილში რომ ატანდა, ქომაგები ვერ დააფრთხო და ადგილები თითქმის სულ შეავსეს.

ინტრიგა დიდი იყო. „დინამო" ევროზონისთვის იბრძვის, „მერანი" ექვსეულში დასამკვიდრებლად იოფლება. კონკურენტებად „კოლხეთი" და „ბათუმი" ჰყავს. უშუალო მოცილე კი, ჩანს, „ბათუმია", რომელსაც მერანელები მომავალ კვირას ესტუმრებიან. მანამდე, ამ ოთხშაბათს, გადადებულ მატჩში „ტორპედოს" დაუხვდებიან, პირველი ეტაპის ბოლო სათამაშო დღეს კი, 22 მარტს, ლიდერ „ლოკომოტივს" უმასპინძლებენ. მოკლედ, ყველაფერი უახლოეს ათ დღეში გაირკვევა. ვერაფერს იტყვი, მძიმე კალენდარია. ამიტომაც აღნიშნა ავჭალელთა დამრიგებელმა ოთარ გაბელიამ: „დინამოსთან" 0:2 გაბათილება ხუმრობა არ არის. კარგია, რომ ქულა მაინც ავართვით. ძალიან დაძაბული თამაშები გველის, მაგრამ როგორმე უნდა გავუძლოთო.



„დინამოს" დამწიოკებელი დავით გოდერძიშვილი

[illegible] ფოტო

გაბელია „მერანს" თბილისში პირველად გაუძღვა მინდორზე. ხოლო დინამოელთა ახალ თავკაც გოჩა ტყებუჩავას სულაც დებიუტი ჰქონდა. გაბელია ჩვეულად ფიცხი გახლდათ, ტყებუჩავას კი შუბლი შეეკრა, წარბები აეკრიფა და თავის ბიჭებს მალიმალ შემოსძახებდა ხოლმე, ნერვიულობდა. მაგრამ, როცა „მერანის" პირველმა გოლმა დინამოელები ალაშფოთა, ისინიც დააწყნარა და თვითონაც დაწყნარდა.

„მერანს" ხუჯაძე დაუბრუნდა. შედეგად, „სიონთან" წინა მატჩის გმირი, უკრაინელი მუხინი სათადარიგოთა შორის აღმოჩნდა. მასპინძლებმა დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და მეტად რომ გამართლებოდათ, მოიგებდნენ. ორჯერ ბურთი ძელს მოარტყეს (ჯერ მინაშვილმა, მერე კოშკაძემ), ერთხელ დინამოელთა მეკარე ბათიაშვილმა ჩაიდინა სასწაული, როცა კოშკაძის ცხრიანში დარტყმული მოიგერია. ორჯერაც აცილება რომ უფრო ძნელია, ისეთები ვერ გაიტანეს. თუმცა, მოედნის ხარისხიც არ დაგვავიწყდეს და მერე გარედან იოლია ლაპარაკი...

ეს ყველაფერი მეორე ტაიმში მოხდა. მანამდე „დინამო" სულაც არ ჰგავდა სისხლისგან დაცლილს: „ნახეთ, ვინ თქვა „დინამო" დასუსტდაო? მშვენიერი გუნდია — თქვა ოთარ გაბელიამ — ჩემებმა კი, რასაც თავიდანვე ვთხოვდით, მხოლოდ მეორე ტაიმში გააკეთეს. მოწინააღმდეგეს თავისუფლად ათამაშებდნენ და ამისთვის დაისაჯნენ კიდეც".

მართლაც, თავიდან ტყებუჩავას ბიჭებმა მეტოქე მარწუხებში მოაქციეს და მოედანს ბატონობდნენ. ხოლო თავდამსხმელები ზირაქიშვილი და მიქაძე ფლანგებიდან სახვაძის (მარცხნიდან) და ზამთარაძის ჩაწოდებებს სახიფათოდ აგრძელებდნენ. განსაკუთრებით ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე ზირაქიშვილი გამოირჩეოდა. აკი ორჯერ გაიტანა კიდეც.

პირველი გოლი დინამოელთა მრავალსვლიან კომბინაციას მოჰყვა. მასპინძელთა შეტევა ჩაშალეს და უმალ თავად შეუტიეს. მაზიაშვილი ცენტრიდან დაიძრა, მარცხნივ სახვაძეს დაუგორა, ამან საჯარიმოში ჩაჰკიდა და ზირაქიშვილმაც თავური არ დააზანა.

ხუთ წუთში „მერანის" დაცვა ჩაფლავდა. ეტყობა ხელოვნურ თამაშგარეს აკეთებდნენ, მაგრამ საკუთარ დახლართულ ქსელში გაებნენ, რამაც ზირაქიშვილი მეკარე ნაჭყეპიასთან პირისპირ დატოვა და 2:0. ბავშვური გოლი გავუშვითო — თქვა მერე გაბელიამ.

მასპინძლებმა ნაღდი მომენტი მხოლოდ ტაიმის ბოლოსკენ შექმნეს, მაგრამ ხუჯაძის თავური გრიშიკაშვილის კარს ოდნავ აცდა.

მეორე ტაიმში კი ყველაფერი დავდაყირა (თუ თავის ადგილზე...) დადგა. „მერანი" გააფთრდა, „დინამო" დაცვაში ჩადგა. შეცვლაზე შესულმა ბოლქვაძემ და კოშკაძემაც თამაში აშკარად გაამწვავეს.

დღის გმირი ზირაქიშვილთან ერთად დავით გოდერძიშვილი გახდა. დათო ჩვეული ჯიგრით უტევდა მოწინააღმდეგეს და ორი გოლიც გაიტანა. თუმცა პირველი, მეტად ლამაზი და ერთობ საკამათო გამოდგა...

დღის ფაქტი: დამთავრებას ოცი წუთი უკლდა, როცა „დინამოს" საჯარიმოში გოგიტაძის პასი გოდერძიშვილმა მიიღო და ვარდნაში ულამაზესი გოლი გაიტანა. მერანელები ერთმანეთს ულოცავდნენ, დინამოელები კი თანამსაჯ დოლიძისკენ გაიქცნენ, ემართლებოდნენ — თამაშგარე იყო და რატომ ჩათვალეო... ჩვენ კომენტარისგან თავს შევიკავებთ. ოთარ გაბელიამ კი ეს თქვა: ოფსაიდი როგორ იქნებოდა, როცა დინამოელი ჩივაძე თავის კართან ჩარჩაო. ამავე აზრის გახლდათ ფედერაციის ინსპექტორი ანატოლი მილჩენკო.

თამაში კვლავაც „მერანის" შეტევებით გაგრძელდა და მალე გაათანაბრეს კიდეც. ბოლქვაძის დარტყმულს იმავე გოდერძიშვილმა დაამატა და 2:2. მეტს კი ველარ მოერივნენ.

თამაში მთავრდებოდა, როცა სტუმრებს კაცი დააკლდათ. მიქაძე მეტოქის საჯარიმოში წაიქცა და... იარტისტაო, ასე გადაწყვიტა მსაჯმა კრიჭაშვილმა და დინამოელთა მეოცე ნომერს ყვითელი აუფრიალა. 25 წუთით ადრე მიქაძეს პირველი ყვითელი უკვე მიეღო...

ბოლოს ხომ სულ გახურდა. სტუმართა საჯარიმოს სიახლოვეს მერანელი მინაშვილი და დინამოელი ბურდული შელაპარაკდნენ. მოსარჩლე არცერთს დაელია და გაიწ-გამოიწიეს. საბედნიეროდ, გამშველებელიც ბლომად გამოუჩნდათ და ყოყლოჩინობის იქით საქმე აღარ წასულა. თამაშიც ამით გათავდა.

ესეც, „მერანი" — „დინამო".

# ხუთი წუთი ჯოჯოხეთში

გორი
10 მარტი
15 საათი
ცენტრალური
3 000 (ტევადობა 8 230)

**დილა 0:4 ბათუმი**

0:1 ქორიძე (52), 0:2 ღლონტი (55), 0:3 მუჯირი (75პ), 0:4 მაჭუტაძე (80)
საყვარელიძემ ვერ გაიტანა პენალტი (90, მეკარე)
**დილა:** თ. ილურიძე, აკოფიანი (გრიგალაშვილი 77), რ. ხაჭაპურიძე, გ. ჩიტაია (კოტორაშვილი 46), ლ. გოჩაშვილი, თაყაძე, ლომიძე, ეჯოშვილი (ერაძე 72), საყვარელიძე, ხორგუაშვილი, ა. ა. ხმალაძე
სათადარიგონი: სოლოლაშვილი; გაგნიძე, დ. მაისურაძე, ოლგესაშვილი
**ბათუმი:** ჭანტურია, ი. მახარაძე, მინდაძე, პაპიძე, მგალობლიშვილი, გელა ქორიძე, ღლონტი, დარჩიძე (ტულუში 62), მაჭუტაძე (ყულეჯიშვილი 82), აფხაზავა (რომანაძე 72), ა. მუჯირი
სათადარიგონი: ბალაძე; ო. გველესიანი, ჩიჩუა, ქაცარავა
**გაფრთხილება:** აკოფიანი (2), ეჯოშვილი (8), ილურიძე (32), ჭანტურია (32)
**გაძევება:** ხმალაძე (32), პაპიძე (32)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

**მამუკა კვანტალიანი გორიდან**

**...რევანშის** სურვილი ჰკლავდა „დილას". ბოლმა აღრჩობდა გორელ ქომაგს, მაგრამ ვერ აისრულეს გულისწადილი მასპინძლებმა. „ბათუმმა" სამი ქულა წაიღო შინ, გამარჯვებითა და უშუალო კონკურენტის წაფორხილებით გახარებულმა ექვსეულში მოხვედრის შანსი გაიორკეცა.

გორელებს 21 ოქტომბრის შემდეგ არავისთან დაუმალავთ, რომ „ბათუმის" დასახვედრად საგანგებოდ ემზადებოდნენ. პატარა ჯოჯოხეთს ჰპირდებოდნენ კიდეც მეტოქეს, მაგრამ...

ის ჯოჯოხეთი მატჩის 32-ე წუთზე მართლაც დაიწყო და მთელი ხუთი წუთიც გრძელდებოდა, თუმცა ყველამ მოახერხა თავის მოთოკვა. მაყურებელს მინდორზე გადასვლა არ უცდია, რადგან თითოეულმა გორელმა კარგად იცის „დილას" გასაჭირი და სტადიონის დისკვალიფიკაცია მთლად დალუპავდა გუნდს.

ფხიზლად იყვნენ სამართალდამცავები, რომლებიც შაბათს ნებისმიერ კონფლიქტს აღკვეთდნენ. ივარგეს მატჩის არბიტრმა, თანაშემწეებმა და დელეგატმა. ფეხბურთელებმა კი გასარჩევი იმ ხუთ წუთში გაარჩიეს.

და მაინც, ჩემთვის ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, რა მოხდა 21 ოქტომბერს ბათუმში. ცუდად მოგვექცნენ, გვაგინეს, გასახდელში შემოგვივარდნენო, ჩიოდნენ გორელები. არაფერი ისეთი, ამტკიცებდნენ ფეხბურთის ფედერაციაში. ჩვეულებრივი მატჩი იყო, ამბობდნენ ბათუმელები.

როგორც მერე გაირკვა, თურმე „ბათუმიც" სერიოზულად ემზადებოდა საშაბათო თამაშისთვის. არ ვიცი, ასლან ბალაძემ როგორ მოახერხა, მხოლოდ ფეხბურთის სათამაშოდ განაწყო თავისი ბიჭები. სტუმრებმა თავი დაიყრუეს, ყურიც არ უგდეს ტრიბუნებს, საიდანაც მხოლოდ გინება ისმოდა ბათუმელი ფეხბურთელების მისამართით. მეტოქეს ხისტ თამაშში კი აჰყვნენ, მაგრამ წესებს მხოლოდ ბურთიან მეტოქესთან, ორთაბრძოლაში არღვევდნენ. რაც ყველაზე მთავარია, მუხლები არ აჰკანკალებიათ.

პირველი გამოცდა სტუმრებს მოთელვისას მოუწყო ქომაგმა. რისხვა თავის დროზე „დილას" მეკარე ჭანტურიას დაატყდა თავს. მართალია, მაშინ მეკარემ ზურგიც დაუბრუნა შემგინებლებს, მაგრამ თამაშისას ჩუმად იყო.

სტუმართა მეკარემ გული იმითაც მოიოხა, რომ მატჩის ბოლოს მასპინძელ საყვარელიძეს პენალტი აუღო.

მატჩის პირველი ნახევარი საათი ბათუმელებს კარგს არაფერს უქადდა. მეტოქე ხისტად თამაშობდა. ჯიქურ მიიწევდნენ გორელები წინ და სამჯერ გატანაც შეეძლოთ. ორჯერ ხმალაძემ გააცუდა რეალური მომენტი: ჯერ თავით დარტყმა ვერ მოახერხა ხელსაყრელი პოზიციიდან, მერე ჭანტურიასთან თითქმის პირისპირ დარჩენილმა ბურთს ფეხი ააცილა. ერთხელაც სტუმართა კარს სახიფათოდ მიახლოებულმა ხორგუაშვილმა დარტყმას თანაგუნდელისთვის პასის მიცემა არჩია და მომენტიც დაიკარგა.

32-ე წუთზე მასპინძლებმა მოედნის ცენტრში აფხაზავა წააქციეს და დაიწყო... სტუმარმა რაღაც წამოიძახა, მასპინძელმა უპასუხა. წამში ყველაფერი აირია. ოცდაორივე ფეხბურთელი მოედნის ცენტრში შეგროვდა. ვერავინ გაიგებდა, ვინ ვის მოუქნია, ვის მოხვდა და ვის ქეჩოში წაავლეს ხელი.

ხუთი წუთი გრძელდებოდა გაწევგამოწევა. სათადარიგოთა სკამზე მწვრთნელებმაც გაცვალეს „ტკბილი" სიტყვები. მერე სიმშვიდემ დაისადგურა. შალამბერიძემ გასაწითლებელ-გასაყვითლებელი მოთამაშეები გამოარჩია და თამაშიც განახლდა. მერე არანაირი პრობლემა არ შექმნილა.

ტაიმი „დილამ" თითქოს ისეთივე რიხით ჩაამთავრა, მაგრამ აშკარა იყო, მასპინძლებს ის ნაპერწკალი გაუქრათ, რითაც ცეცხლის დანთებას აპირებდნენ.

თამაში შვიდი წუთის განახლებული იყო, როცა გელა ქორიძემ ცენტრიდან წაიღო ბურთი და ილურიძეს ოცდახუთიოდ მეტრიდან აუღებელი დაურტყა. ბურთი ცხრიანში შეფრინდა.

ორ წუთში კიდევ ერთი კონტრშეტევა დამთავრდა გოლით. ამჯერად ღლონტის ძლიერმა დარტყმამ უწია მიზანს. თამაშიც, ფაქტობრივად, მაშინ დამთავრდა. „დილა" ერთიანად მოიშალა. მუჯირისა და მაჭუტაძის გოლები ყველაფრის ლოგიკური დასასრული იყო.

*ასლან ბალაძე, „ბათუმის" მთავარი მწვრთნელი:* „მწვრთნელებს მეტი კოლეგიალობა ნამდვილად არ გვაწყენდა. ასე მეტ სიკეთეს მოვუტანთ ქართულ ფეხბურთს. რაც შეეხება თამაშს, ვიცოდით, როგორი რთული მატჩიც გველოდა და შესაბამისად განვეწყვეთ. მთავარი იყო, ფსიქოლოგიურად გაგვეძლო და ეს მოვახერხეთ. პირველი ტაიმის შემდეგ სწორი დასკვნები გავაკეთეთ, რამაც გამარჯვებამდე მიგვიყვანა".

*ვაჟა ზარქუაშვილი, „დილას" მთავარი მწვრთნელი:* „მე მივდივარ, ჩემი ბოლო თამაში იყო, ამიერიდან ივანე თაყაძე გააგრძელებს. ბოდიში, ახლა მეტს ვერაფერს მოგახსენებთ".



რუსთაველმა ივანე ჯულელმა გიორგი იმედაძეს დაასწრო

# მცველი შვიდი, თამაში მშვიდი

რუსთავი
10 მარტი
15 საათი
ფოლადი
3 000 (ტევადობა 10 700)

**გორდა 1:1 ტორპედო**

1:0 ბურნაძე (35), 1:1 იმედაძე (64)
**გორდა:** ბედიაშვილი, ლაშა სილაგაძე, ა. ბურნაძე, ა. გელაძე, დ. ბერიძე, ბექაური, თ. მეტრეველი, მელაძე (კოტეიშვილი 78), კ. ალადაშვილი, ჯულაძე (მიშველიძე 65), ჯულელი (სოხაძე 90)
სათადარიგონი: გუგუნავა; ა. ბუკია, პატარიძე, გ. გ. მიქაძე
**ტორპედო:** ზოიძე, ლევან სილაგაძე, აბრამიძე (იმედაძე 53), ი. ვაშაკიძე, თოდუა, დიდავა, ქემოკლიძე, ზ. არჩვაძე (გონჩაროვი 63), ასათიანი, ჯანაშია, აშვეთია
სათადარიგონი: ტოგონიძე, მახარაძე, პ. ჯინჭარაძე, ახალკაცი, გვირჯიშვილი
**გაფრთხილება:** მეტრეველი (75)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე (ყველა თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ე. სილაგავა

**პაატა კვანტალიანი რუსთავიდან**

**ბოლო** ორი წლის განმავლობაში მეორე გოლი გაუტანა „გორდამ" „ტორპედოს" და პირველად დააკარგვინა ქულები.

„ფოლადზე" ჩემპიონს მასპინძლებმა ტოლი არაფერში დაუდეს და დამსახურებული ქულაც მოიპოვეს.

ორი მთავარი მწვრთნელიდან „ტორპედოს" მხოლოდ რევაზ ძოძუაშვილი ჩაჰყვა რუსთავში. ცხადია, „გორდასთან" მატჩშიც მანვე დამოძღვრა შეგირდები და ერთობ უცნაური გადაწყვეტილებაც მიიღო. ძოძუაშვილმა სასტარტო შემადგენლობაში ამპლუით ერთბაშად შვიდი მცველი ათამაშა. მწვრთნელის ამგვარ გადაწყვეტილებას „ტორპედოსთვის" სასიკეთო არაფერი მოჰყოლია და უმთავრესი მიზეზიც იყო იმისა, რომ ქუთათურები მხოლოდ ერთი ქულით გაბრუნდნენ შინ. შაბათს „ფოლადზე" უჩვეულო პოზიციაზე გამწესებული არჩვაძე და ქემოკლიძე არაერთხელ დარჩნენ საგოლე პოზიციაში, მაგრამ სათავდამსხმელო გამოცდილება არ ეყოთ, მათ ადგილზე მსგავს ვითარებაში შემტევი სტილის ფეხბურთელს გოლის გატანის გაცილებით მეტი შანსი ექნებოდა.

მოგვიანებით, როდესაც სტუმართა გუნდი უკვე მარცხის საშიშროების წინაშე დადგა, ძოძუაშვილმა აბრამიძის ნაცვლად იმედაძე ჩართო თამაშში და შედეგიც უმალ მოიმკო, მერე კი მოგების მადაგამოღვიძებულმა გონჩაროვი შეუნაცვლა არჩვაძეს და ლამის გამარჯვებასაც გამოჰკრა ხელი. სწორედ გონჩაროვის თავური არ შევიდა სასწაულებრივ კარში მატჩის ბოლოს. იმ ეპიზოდში მასპინძლებს ძელი გამოუჩნდათ შემწედ.

„ტორპედოს" პირველ ტაიმშივე შეეძლო დაწინაურება. სტუმართაგან საუკეთესო ასათიანმა მე-4 წუთზე ჯანაშია გაიყვანა კარგ პოზიციაში, თუმცა ამის ძლიერად დარტყმული ბურთი მცირედით ასცდა კარს. ოთხი წუთის შემდეგ თავად ასათიანი დარჩა ბედიაშვილთან პირისპირ, გოლიც გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ „გორდა" კვლავაც გადარჩა. ასათიანმა იმის ნაცვლად, რომ პასი აშვეთიასთვის მიეცა, არაზუსტად დაარტყა კარში. მასპინძლები გოლს 27-ე წუთზეც გადაურჩნენ, როცა აშვეთია შეიჭრა ბურთიანად მათ საჯარიმოში მარცხენა ფრთიდან. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა სასწაულებრივ ააცილა ბურთი კარს.

და რას აკეთებდნენ ამ დროს მასპინძლები... დაცვაზე დაგეშილი გეგუჩაძის გუნდი, სწრაფ კონტრშეტევებზე იყო გაფაციცებული, რუსთაველებს ორი-სამი პასით უპრობლემოდ გადაჰქონდათ ბურთი მეტოქის ნახევარზე და კარში დარტყმის მომენტს არ უშვებდნენ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევის შედეგად ჩაეყარა საფუძველი ბურნაძის გოლს.

მასპინძელთაგან ერთ-ერთმა საუკეთესომ, დავით ბერიძემ გრძელი პასი გაუჭრა ჯულელს, ამანაც 25-ოდე მეტრიდან ძლიერად დაარტყა კარში. ზოიძემ თითებით შეძლო ბურთის კუთხურზე გადაგდება, იქიდან ალადაშვილის საჯარიმოში ჩაწოდებულს კი ბურნაძე აუხტა და თავით შანსი არ დაუტოვა სტუმართა მეკარეს.

პირველი ტაიმის დარჩენილ დროში „გორდამ" უპრობლემოდ შეძლო ბურთის დაჭერა და სასურველი შედეგის შენარჩუნება.

იმედაძის მოედანზე შესვლისთანავე „ტორპედოს" ანგარიშის გათანაბრება შეეძლო. იმედაძე — აშვეთია — ჯანაშიას სამსვლიან კომბინაციას ლამის გოლი მოჰყვა, მაგრამ ბედიაშვილის ბედად ჯანაშიამ სამი მეტრიდან ვერ შეძლო რუსთაველთა კარის დალაშქვრა. 64-ე წუთზე კი იმ დღეს ბევრისგან „ტკბილად მოკითხულმა" ლევან ფანიაშვილმა საეჭვო ჯარიმა დანიშნა სტუმართა სასარგებლოდ. იმედაძემაც ტექნიკური დარტყმით ცოცხალ კედელს ეფექტურად შემოატარა ბურთი და ბედიაშვილი გააწბილა. ანგარიშის გათანაბრებამ „ტორპედო" გამოაცოცხლა, ასათიანს, ქემოკლიძეს და გონჩაროვს ანგარიშის შეცვლის კარგი შანსი ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს, ორჯერ ბედიაშვილმა ივარგა, ერთხელ კი ძელიდან ასხლეტილი ბურთი ბურნაძემ დროულად გაარიდა „გორდას" საჯარიმოს.

# ფეი... და დამატებულის დამატებული

თბილისი
10 მარტი
15 საათი
შევარდენი
300 (ტევადობა 3 000)

**იბერია 0:2 სიონი**

0:1 დავითაშვილი (5), 0:2 გაბისონია (53)
**იბერია:** ჩლაიძე, შ. ლაცაბიძე, ამისულაშვილი, მიქელთაძე, ძამსაშვილი (სანიკიძე 46), გაგუა (ლ. ხმალაძე 76), ხიზანიშვილი, გულორდავა (კვაციანი 46), ნინუა, თარგამაძე, კაჭარავა
სათადარიგონი: ცინაძე; ყვანია, გ. ნოზაძე, ჩაჩუა
**სიონი:** ვოლკოვი, მინდიაშვილი, სიდამონიძე, ირუმაშვილი, სოლოლაშვილი, მ. გოგოლაძე, ბ. შენგელია, მოსეშვილი (ასპინძელაშვილი 46), ისიანი, დავითაშვილი (კ. მეტრეველი 73), გაბისონია
სათადარიგონი: დალაქიშვილი; ჯაფარიძე
**გაფრთხილება:** გაგუა (44), სიდამონიძე (49), ასპინძელაშვილი (50), სოლოლაშვილი (67), ნინუა (68)
**მსაჯები:** დ. სანაია; ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ლ. ყიფიანი

**დავით თავართქილაძე**

**ვერ** ივარგა აუტსაიდერმა, ერთი საგოლე მომენტიც კი ვერ შექმნა და ისე გაატანა სამი ქულა ბოლნისელებს, რომლებსაც კვლავ არ ახლდათ მთავარი მწვრთნელი სპარტაკ არჩვაძე. „სიონის" ხელმძღვანელობის თქმით, არჩვაძე ავადაა, გული აწუხებს...

გულმტკივანი დამრიგებლის გარეშეც ყოჩაღად გაისარჯნენ შეგირდები. მატჩის დებიუტი მათი იყო და გოლიც სწრაფად გაიტანეს. მარცხენა ფლანგიდან სოლოლაშვილმა ჩაჰკიდა „იბერიას" საჯარიმოში, ტანმორჩილმა გელა გაბისონიამ თავით მეკარისთვის მეტად უხერხული ტრაექტორიით დაარტყა, თემურ ჩლაიძემ თითები წაატანა ბურთს, მერე ხარიხამ უკუაგდო იგი და დამატებაზე ყველას სულიკო დავითაშვილმა აჯობა.

გაშვებულმა გოლმა თითქოს რეტი დაასხა მასპინძლებს. მათ გონს მოსასვლელად 10-15 წუთი დასჭირდათ და მერე ტოლ-სწორი, თანაბარი თამაში გაჩაღდა. ინიციატივის საკუთარ თავზე აღებას შეეცადნენ „იბერიას" შუახაზელები — ძამსაშვილსა და გულორდავას მონდომება არ აკლდათ, თუმცა ნაყოფიერად ვერ მოქმედებდნენ. ნოდარ აკობიას, ალბათ, სწორედ მათი იმედი ჰქონდა და ხეირი რომ ვერ ნახა, მეორე ტაიმისთვის შეცვალა კიდეც. „იბერიამ" სხვა ხერხსაც მიმართა — მასპინძელთა რიგებში საბჭოეთის დროინდელ „დინამოს" ბრგე ფორვარდ კახა კაჭარავას დებიუტი ჰქონდა და გუნდიც ხშირად მასზე აგებდა შეტევებს. ვეტერანს თავიდან გაუჭირდა „სიონს" მცველებთან ჭიდილი, მერე ნელ-ნელა თითქოს ალღო აუღო ყოველივეს, გამოცდილების ხარჯზე მოსვენებას არ აძლევდა ბოლნისელთა დაცვას, მაგრამ ეგ იყო და ეგ.

პირველ ტაიმში თვალსასეირო ეპიზოდი კვლავ გაბისონია — დავითაშვილის ტანდემმა შექმნა. დუეტმა „იბერიას" დაცვა სწრაფი, ერთი შეხებით გათამაშებული კომბინაციით გააბითურა და დავითაშვილი თემურ ჩლაიძესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ იგი წააქციეს. არბიტრმა დავით სანაიამ თამაში არ გააჩერა და ბოლნისელები ფეხბურთელ-მწვრთნელ-პრეზიდენტიანად აღშფოთდნენ. თუმცა საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა — მსაჯის შეცდომას შეხვედრის შედეგზე არ უმოქმედია. დავით სანაიაზე განაწყენებულმა „სიონის" ხელმძღვანელობამ შესვენებაზე სფფ-ის ინსპექტორ ლევან ყიფიანთანაც კი დაიჩივლა, თუ მეორე ტაიმში მსაჯი კვლავ არაობიექტურად მოიქცევა, გუნდს მოედნიდან გავიყვანთო.

„იბერიამ" ვერც მომდევნო 45 წუთში გამოიჩინა დიდი ფხა. სწორხაზოვნად უტევდნენ მასპინძლები, მოკლე თუ გრძელი პასებით ბურთს კაჭარავას მისამართით გზავნიდნენ, ისიც ბევრს მოძრაობდა, აქტიურობდა, მისთვის უჩვეულო დრიბლინგსაც კი ასრულებდა და რამდენჯერმე ორ-სამ მეტოქესაც გაუსწორდა, მაგრამ დამხმარე არავინ გამოუჩნდა. „ფუი", — გაბრაზებულმა ერთხელ ასეც გამოხატა თავისი აღშფოთება.

„სიონის" მეორე გოლზეც ვთქვათ. ბესიკ შენგელიამ ოცდახუთი მეტრიდან ძლიერად გაისროლა საჯარიმო, თემურ ჩლაიძემ უხეიროდ მოიგერია ბურთი, რომელსაც კვლავ „აბრეშამ" მიუსწრო, მაგრამ კარის დასალაშქრავად ცოტა უხერხულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ბურთი ცარიელ კარში შესაგდებად გაბისონიას დაუგორა. ამრიგად, ორივე გოლი სტუმრებმა დამატებაზე გაიტანეს და „იბერიას" მარცხში მისი მეკარის წვლილი არცთუ მოკრძალებულია. თუმცა, რა თქმა უნდა, თამაშს ერთი კაცი არ აგებს. ისიც კია, რომ გუნდი საშემოდგომო ეტაპის დარად უსუსურად აღარ გამოიყურება, მაგრამ ნოდარ აკობიას სამუშაო თავსაყრელად აქვს.

ერთი სიტყვით, აუტსაიდერის სტუმრად ძლევა ბოლნისელებს დიდად არ გასჭირვებიათ. მათ მყარად მოიკიდეს ფეხი მერვე ადგილზე. საგაზაფხულო ეტაპისთვის დამატებული ფეხბურთელებით, ალბათ, მომდევნო მატჩებშიც იხეირებს „სიონი" და ქვედა ექვსეულის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდადაც დარჩება.

„იბერიამ" იკითხოს...

# გერმანია

XXV ტური

### ფრაიბურგი 2:2 დორტმუნდი

0:1 დედე (19), 0:2 რეინა (44), 1:2, 2:2 სელიმი (45პ, 58)
ფრაიბურგი: გოლცი, დიარა, შ. მიულერი, კელი, ზანდი, ვილი (კოლი 46), ა. ცაიერი, ვ. ბუტი (კონდე 80), კულიბალი, სელიმი (ბაია 72), იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
დორტმუნდი: ლემანი, კოლერი, მეცელდერი, ევანილსონი, დედე, ჰაინრიხი, ნერლინგერი, რიკენი, როსიცკი, ბობიჩი, რეინა
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ვილი, კოლი, ევანილსონი, დედე
25 000 მაყურებელი

### ბოხუმი 2:3 კიოლნი

1:0 ბაკლი (24), 2:0 შინდცილორცი (31), 2:1 არველაძე (38), 2:2 კროიცი (61), 2:3 პივალიევიჩი (80)
ბოხუმი: ვანდერი, სუნდერმანი, მილინოვიჩი, მამიჩი, რაისი (კრისტიანსენი 64), კოლდინგი, შინდცილორცი (რიტპიჩი 70), დრინჩიჩი, ფრაერი, ბაკლი, ბალუშინსკი (ზაიბერტი 46)
მწვრთნელი: როლფ შაფშტალი
კიოლნი: პრიოლი, სიხონე, ქივიორი, კულმანი, კელერი (ვოიგტი 53), შპრინგერი, ლოტნერი, შერცი, ტიმი, ა. არველაძე (პივალიევიჩი 62), კროიცი (ბულაიჩი 83)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: კოლდინგი, ბაკლი, კულმანი, დრინჩიჩი, შპრინგერი, ლოტნერი
გაძევება: სიხონე (34), დრინჩიჩი (40), შპრინგერი (82), ლოტნერი (85)
21 683 მაყურებელი

### ჰამბურგი 2:2 შტუტგარტი

1:0 ბარბარესი (10), 1:1 ტიამი (18), 2:1 ბარბარესი (44), 2:2 განია (80)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ნ. კოვაჩი, ჰანადიჩი, იუფალუში, ფიშერი, ტოფტინგი, ჰოლერბახი, კარდოზო (კინცი 77), მაჰდავიკია, ბარბარესი, მეიერი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი (ჯორჯევიჩი 71), ბორდონი, მარკეში, ვენცელი, ტიამი, ტოდტი, ბალაკოვი, ზაიცი (ჰოსნი 79), ადემარი (განია 68), დანდი
მწვრთნელი: ფელიქს მაგატი
გაფრთხილება: ადემარი, ჰოლერბახი, ტიამი
40 065 მაყურებელი

### კაიზერსლაუტერნი 3:2 მიუნხენი

1:0 ლოკვენცი (46), 2:0 ბიელიცა (48), 2:1 ვაიდენფელერი (58ს.კ.), 2:2 ბაიროფკა (69), 3:2 ხრისტოვი (72)
კაიზერსლაუტერნი: ვაიდენფელერი, კლოსი, ბასლერი, შიონბერგი, რატინიო (ცილი 83), ბიელიცა, გრამოცისი, ბუკი (კომლიენოვიჩი 43), ხრისტოვი, პეტერსონი (რაიხი 78), ლოკვენცი
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
მიუნხენი: იენჩი, ტ. ჰოფმანი, ვოტავა (მიუკლანდი 85), რისეტი, ზელიჩი, ბორიმიროვი, ჰასლაკი (ბაიროფკა 51), ტისი (ბაიერლე 74), ჰესლერი, შროტი, მაქსი
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
გაფრთხილება: კლოსი, გრამოცისი, ლოკვენცი, რატინიო, რისეტი, ჰასლაკი, ჰესლერი, ზელიჩი
39 172 მაყურებელი

### ვოლფსბურგი 6:1 უნტერჰახინგი

1:0 კუჰბაუერი (11), 1:1 ზაიფერტი (17), 2:1 შნური (40), 3:1 რიშე (47), 4:1 მარიჩი (70), 5:1 მუნტიანუ (79), 6:1 აკონორი (87პ)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, გრაინერი, ჰენგენი, ბილისკოვი, სებესკენი (შნური 24), აკონორი, ვაისერი, ს. მიულერი (მუნტიანუ 72), კუჰბაუერი, რიშე, აჰპობორი (ტ. მარიჩი 59)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
უნტერჰახინგი: ტრემელი, გრასოვი (ჰ. ჰერცოგი 63), ჰაბერი, ზაიფერტი, შტრაუბე, ნოვაკი, დ. შვარცი, ციმერმანი, ჩიჟეკი (ობერლაიტნერი 71), ბრაიტენრაიტერი (ჰაინფურტი 74)
მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კოსტნერი
გაფრთხილება: აკონორი, კუჰბაუერი, ნოვაკი, შპიზაკი
გაძევება: შპიზაკი (38)
12 103 მაყურებელი

### ბაიერნი 2:0 კოტბუსი

1:0 შოლი (24), 2:0 ეფენბერგი (38)
ბაიერნი: დრეერი, ანდერსონი, ლინკე, სანიოლი (პაულო სერჯიო 62), ლიზარაზუ, ფინკი, სალიჰამიჯიჩი, ეფენბერგი, შოლი (ჰარგრივსი 86), ელბერი, იანკერი (დი სალვო 90)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
კოტბუსი: პიპლიცა, ვატა, შებოკი, მატიუში, სკრბე, რეგეკამფი, აკრაბოვიჩი, კობილანსკი, მირიუტა, ფრანკლინი (რიოდლუნდი 62), ლაბაკი (ლატუნდი 62)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: ლინკე, იანკერი, პაულო სერჯიო, შებოკი
38 000 მაყურებელი

### აინტრახტი 0:0 შალკე

აინტრახტი: ჰაინენი, კუჩერა, რადა, კრახტი, მუცელი, პრეისი, გებჰარდტი (ბრანკო 88), გუიე-მიენი, ჰელდტი, ჩენ-იანგი (ფიორტოფტი 84), კრიჟალოვიჩი (რაიხენბერგერი 82)
მწვრთნელი: როლფ დომენი
შალკე: რეკი, ჰაიტო, ნემეცი, ვალდოხი, ჰაჯე (ბიუსკენსი 63), ვან ჰუგდალემი, ლატალი, ბიომე (მიკოლაიჩუკი 84), მიოლერი, ასამოა, სანდი
მწვრთნელი: ჰუბ სტივენსი
გაფრთხილება: ვალდოხი, კრახტი, ვან ჰუგდალემი, ასამოა, ლატალი, ნემეცი
37 400 მაყურებელი

### ჰერტა 1:0 ჰანზა

1:0 დარდაი (90)
ჰერტა: კირალი, შმიდტი, ვან ბურიკი (რაისი 76), სვერისონი, დარდაი, კონსტანტინიდისი, ვაიტი (სიმუნიჩი 87), ჰარტმანი, ტრეჩოკი, პრეეცი, ალვეში
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
ჰანზა: პიკენჰაგენი, იაკობსონი, ბენკენი, ოსვალდი, შრიოდერი, ვიბრანი, ლანცი, რიდლევიჩი (ლანგე 90), ბაუმგარტი (ცალმანი 81), სალუ, მაიაკი (არვიდსონი 67)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ჰარტმანი, სვერისონი, ბენკენი, სალუ, ლანცი
გაძევება: ლანცი (90)
40 895 მაყურებელი

### ლევერკუზენი 3:0 ვერდერი

1:0 ლუსიო (12), 2:0 ნოივილი (54), 3:0 ბრდარიჩი (62)
ლევერკუზენი: მატიშეკი, ჟივკოვიჩი, ლუსიო (კრანიეში 81), რ. კოვაჩი, რეები, რამელო, ბალაკი, ბ. შნაიდერი (ჟაკა 86), ზე რობერტო, ნოივილი, რინკი (ბრდარიჩი 46)
მწვრთნელი: ბერტი ფოგტსი
ვერდერი: როსტი, სტალტერი, ვერლაატი, კრსტაიჩი, ბილტსი (დაბროვსკი 58), ფ. ერნსტი (ლი 62), ფრინგსი, ბოდე, ა. ჰერცოგი, პიზარო, აილტონი (ტრარესი 86)
მწვრთნელი: თომას შაფი
გაფრთხილება: შნაიდერი, ზე რობერტო, ჟივკოვიჩი, აილტონი, ფრინგსი, კრსტაიჩი
22 500 მაყურებელი



ფრაიბურგი — დორტმუნდი 2:2. ფრაიბურგელ ქართველთაგან ერთმა, ალექსანდრე იაშვილმა ითამაშა და ძალიანაც იყოჩაღა

# რა ხდება? იკითხა ჰიცფელდმა და მოიგო

**სანამ** „დორტმუნდი“ „ფრაიბურგთან“ მოპოვებულს ფლანგავდა, „ბაიერნმა“ „კოტბუსი“ დაამარცხა და კვლავ სათავეში მოექცა გათამაშების ცხრილს. ცხრილს, რომელიც მართლაც ბუნდესლიგურია — ლიდერ „ბაიერნსა“ და მეექვსე „შალკეს“ ერთმანეთს სულ ოთხი ქულა აშორებთ.

„ბაიერნს“, გეხსომებათ, ბოლო სამ ტურში ვეღარ მოეგო, ამას ჩემპიონთა ლიგაში „ლიონთან“ განადგურებაც (0:3) დაემატა და მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდიც ჩაფიქრდა: „რა ხდება? — ჰკითხა თავის შეგირდებს — კვლავ მებრძოლი გუნდი ვართ თუ საკუთარი ტყავის გადასარჩენად ვზრუნავთ? შეგვიძლია ზედიზედ მესამედ გავხდეთ გერმანიის ჩემპიონები თუ მხოლოდ ლიგაში თამაშის ძალა შემოგვრჩა?“

ეტყობა, შეფუცხუნებამ ნაყოფი გამოიღო. ანაც წარუმატებელ ზოლს თავი დაალწიეს. ასეა თუ ისე, შაბათს „ბაიერნმა“ უპრობლემოდ მოუგო „კოტბუსს“. შოლს უკვე მე-4 წუთზე შეეძლო გატანა, მაგრამ მეკარე პიპლიცამ სასწაულით მოიგერია. მალევე ჯადომეკარემ იანკერის რთული დარტყმულიც უკუაგდო. მაგრამ ძალა აღმართს ხნავსო და მასპინძელთა დაჟინებამ თავისი გააკეთა. ლიზარაზუმ გამოზომილი პასით შოლს საჯარიმოსკენ გზა გაუხსნა და 1:0. თორმეტ წუთში ელბერ — ეფენბერგის კომბინაცია ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით დამთავრდა.

მასპინძლებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და მეორე ტაიმში მინდორზე თავადიშვილებივით დაიარებოდნენ. კოტბუსელები თავისას ცდილობდნენ და ბოლოსკენ რეგეკამფმა ერთი საპასუხო შეაგდო, მაგრამ მსაჯმა ერთობ საეჭვო თამაშგარე მოიგონა და არ ჩათვალა.

წინა კვირის ლიდერი „დორტმუნდი“ კი „ფრაიბურგს“ სტუმრობდა და წლეულს პირველ საგარეო გამარჯვებასთან ახლოს იყო, მაგრამ...

„ფრაიბურგის“ ქართველთაგან მინდორზე მხოლოდ ალექსანდრე იაშვილი ვიხილეთ. მოგეხსენებათ, ლევან კობიაშვილს ყვითლები გადაეხარჯა, ხოლო ლევან ცქიტიშვილი დაშავებულია. იაშვილმა კარგად ითამაშა. რამდენჯერმე სახელოვან იურგენ კოლერსა და კომპანიას თავგზა აუბნია. სასარგებლო სამუშაოც გასწია. „კიკერმა“ მას 2,5 ქულა დაუწერა. ამდენივე ერგო მეკარე გოლცს და თუ არ ჩავთვლით სელიმის „ორიანს“, გუნდში საუკეთესო შედეგია. სელიმიზე კი ასეთი შეფასება ალალია. ბოლო-ბოლო, მეტოქეს ორი გოლი გაუტანა.

„მთელი მატჩის მანძილზე გვქონდა უპირატესობა. რვა თუ ათი საგოლე მომენტიც შევქმენით, ამიტომ ფრე ჩვენთვის ძალიან ცუდი შედეგია“, — [illegible]ღვლობდა მატჩის შემდეგ კოლერი.

„დორტმუნდმა“ მართლაც მძლავრად დაიწყო. ანგარიშიც ეფექტურად გახსნა — ბრაზილიელმა დედემ საჯარიმოდან გამომხტარ ბურთს 30 მეტრიდან შეუჩერებლივ დაჰკრა და „ცხრიანში“ გაჭედა. მერე შუა ხაზში როსიცკი და რიკენიც გახურდნენ. ტაიმის დამთავრებას არაფერი უკლდა, როცა, როსიცკიმ რეინა ჩინებულ პოზიციაში გაიყვანა და ამანაც ახლო კუთხეში მეორე შეაგდო. ვინ იცის, რა მოხდებოდა, ტაიმი რომ ასე მორჩენილიყო, მაგრამ მსაჯის წამატებულ დროს კოლერმა თავის საჯარიმოში ვილი წააქცია და სელიმიმ პენალტი ზუსტად დაარტყა.

მეორე ნახევარში „ფრაიბურგმა“ პრესინგი გააძლიერა და საწადელს მიაღწია. სებასტიან კოლმა მოედნის ცენტრიდან დაიწყო კომბინაცია, უმალ სელიმი მოძებნა და ტუნისელმაც ოსტატური დარტყმით გაათანაბრა.

მერე, კოლერისა არ იყოს, „ბორუსიას“ გატანის არა ერთი შანსი ჰქონდა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ კი, ფოლკერ ფინკეს გუნდმა თავის მარაგს ერთი ქულაც შესძინა.

მოიგო „ლევერკუზენმაც“, „ჰერტამაც“ და „კაიზერსლაუტერნმაც“. განსაკუთრებით ანდრეას ბრემეს „ლაუტერნი“ დაიტანჯა — ბრემე უხამსი სიტყვებისთვის სათადარიგოთა სკამიდანაც გააძევეს — მაგრამ მაინც მოიგეს. „როცა ვგრძნობთ, რომ ჩემპიონობა შეგვიძლია, უკეთ ვთამაშობთ“ — ამოისუნთქა საფინალო სასტვენის მერე ბრემემ.

თავი გამოიჩინა არჩილ არველაძემაც. მისი „კიოლნი“ ბოლოადგილოსან „ბოხუმთან“ 0:2 აგებდა, როცა აჩიკომ პირველი საპასუხო შეაგდო. ამას მეორე ტაიმში კროიცმა და პივალიევიჩმა თითოც მიაყოლეს და „კიოლნმაც“ 3:2 მოიგო. არჩილმა კი ბუნდესლიგაში თავისი მეხუთე ბურთი გაიტანა.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 25 | 14 | 4 | 7 | 49:28 | 21 | 46 | 13 | 10 | 1 | 2 | 31:13 | 18 | 31 | 12 | 4 | 3 | 5 | 18:15 | 3 | 15 |
| 2 დორტმუნდი | 25 | 13 | 6 | 6 | 43:31 | 12 | 45 | 12 | 8 | 1 | 3 | 24:13 | 11 | 25 | 13 | 5 | 5 | 3 | 20:17 | 3 | 20 |
| 3 ლევერკუზენი | 25 | 13 | 4 | 8 | 43:29 | 14 | 43 | 12 | 9 | 1 | 2 | 27:8 | 19 | 28 | 13 | 4 | 3 | 6 | 16:21 | -5 | 15 |
| 4 ჰერტა | 25 | 14 | 1 | 10 | 47:41 | 6 | 43 | 13 | 8 | 1 | 4 | 30:21 | 9 | 25 | 12 | 6 | 0 | 6 | 17:20 | -3 | 18 |
| 5 ლაუტერნი | 25 | 13 | 4 | 8 | 37:32 | 5 | 43 | 13 | 7 | 3 | 3 | 19:11 | 8 | 24 | 12 | 6 | 1 | 5 | 18:21 | -3 | 19 |
| 6 შალკე | 25 | 12 | 6 | 7 | 43:26 | 17 | 42 | 12 | 8 | 3 | 1 | 21:7 | 14 | 27 | 13 | 4 | 3 | 6 | 22:19 | 3 | 15 |
| 7 ვერდერი | 25 | 10 | 7 | 8 | 35:36 | -1 | 37 | 12 | 8 | 3 | 1 | 24:12 | 12 | 27 | 13 | 2 | 4 | 7 | 11:24 | -13 | 10 |
| 8 კიოლნი | 25 | 10 | 6 | 9 | 44:39 | 5 | 36 | 13 | 7 | 3 | 3 | 27:14 | 13 | 24 | 12 | 3 | 3 | 6 | 17:25 | -8 | 12 |
| 9 ვოლფსბურგი | 25 | 9 | 8 | 8 | 49:34 | 15 | 35 | 13 | 6 | 5 | 2 | 32:15 | 17 | 23 | 12 | 3 | 3 | 6 | 17:19 | -2 | 12 |
| 10 ფრაიბურგი | 25 | 9 | 8 | 8 | 33:29 | 4 | 35 | 12 | 5 | 4 | 3 | 21:10 | 11 | 19 | 13 | 4 | 4 | 5 | 12:19 | -7 | 16 |
| 11 მიუნხენი | 25 | 9 | 7 | 9 | 33:40 | -7 | 34 | 12 | 6 | 3 | 3 | 16:16 | 0 | 21 | 13 | 3 | 4 | 6 | 17:24 | -7 | 13 |
| 12 ჰამბურგი | 25 | 9 | 4 | 12 | 48:47 | 1 | 31 | 12 | 7 | 2 | 3 | 27:16 | 11 | 23 | 13 | 2 | 2 | 9 | 21:31 | -10 | 8 |
| 13 ჰანზა | 25 | 9 | 4 | 12 | 25:37 | -12 | 31 | 12 | 5 | 3 | 4 | 16:18 | -2 | 18 | 13 | 4 | 1 | 8 | 9:19 | -10 | 13 |
**ბირმინგემი 2:0 კრიუ**

1:0 ჰარსი (61პ), 2:0 ჯონსონი (77)

**ბოლტონი 3:3 ჯილინგემი**

1:0 ფრანდსენი (10), 1:1 კინგი (35), 2:1 ჰატერსონი (45ს.კ.), 3:1 ჰოლდსუორთი (51), 3:2 საუთჰოლი (68), 3:3 კინგი (85)

**ფულემი 2:0 ქუინზ პარკი**

1:0 საჰა (37პ), 2:0 კლარკი (90)

**პორტსმუთი 2:1 სტოკპორტი**

1:0 ბრედბერი (76), 1:1 კუკი (77), 2:1 ლოველი (85)

**შეფილდ იუნ. 1:3 ნოტინგემი**

0:1 ედვარდსი (3), 0:2 ე. ჯონსონი (65), 1:2 მერფი (73), 1:3 დ. ჯონსონი (87)

**უოტფორდი 4:1 ნორვიჩი**

0:1 ფორბისი (7), 1:1 ვუტერი (9), 2:1 სმიტი (61), 3:1 ჰელგუსონი (76), 4:1 ნილსენი (86)

**ვესტ ბრომვიჩი 1:2 უოტფორდი**

1:0 ჰიუზი (5), 1:1 სოლტვუდი (45), 1:2 [illegible] (63)

**უიმბლდონი 1:0 კრისტალ პალასი**

1:0 ეგიმენგი (22)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 36 | 25 | 7 | 4 | 75:25 | 82 |
| ბოლტონი | 36 | 19 | 11 | 6 | 61:37 | 68 |
| ბირმინგემი | 34 | 21 | 5 | 8 | 51:33 | 68 |
| ბლექბერნი | 33 | 19 | 8 | 6 | 52:31 | 65 |
| ვესტ ბრომვიჩი | 37 | 18 | 8 | 11 | 49:42 | 62 |
| ნოტინგემი | 35 | 18 | 5 | 12 | 47:39 | 59 |
| უოტფორდი | 36 | 17 | 7 | 12 | 61:51 | 58 |
| პრესტონი | 35 | 17 | 6 | 12 | 47:42 | 57 |
| შეფილდ იუნ. | 36 | 16 | 8 | 12 | 41:36 | 56 |
| უიმბლდონი | 33 | 13 | 10 | 10 | 54:36 | 49 |
| ბარნლი | 34 | 14 | 7 | 13 | 34:40 | 49 |
| ბარნსლი | 37 | 12 | 8 | 17 | 39:45 | 44 |
| ვულვზი | 34 | 11 | 10 | 13 | 36:35 | 43 |
| ნორვიჩი | 37 | 11 | 10 | 16 | 35:46 | 43 |
| პორტსმუთი | 36 | 9 | 15 | 12 | 37:42 | 42 |
| ჯილინგემი | 36 | 9 | 14 | 13 | 46:50 | 41 |
| ქრიუ | 35 | 11 | 6 | 18 | 35:48 | 39 |
| კრისტალ პალასი | 36 | 9 | 10 | 17 | 47:55 | 37 |
| უენსდი | 36 | 10 | 6 | 20 | 38:62 | 36 |
| გრიმსბი | 35 | 9 | 8 | 18 | 31:50 | 35 |
| სტოკპორტი | 37 | 6 | 16 | 15 | 45:61 | 34 |
| ქუინზ პარკი | 36 | 6 | 15 | 15 | 35:59 | 33 |
| ჰადერსფილდი | 35 | 7 | 11 | 17 | 35:46 | 32 |
| ტრანმერი | 33 | 8 | 7 | 18 | 33:53 | 31 |

## მეორე დივიზიონი

26-ე ტური: ბორნმუთი — ბრისტოლი 4:0; ბრენტფორდი — სტოკი 2:2; როვერსი — ბერი 2:0; კემბრიჯი — რეჯჰემი 2:3; მილუოლი — ლუტონი 1:0; ოლდემი — როტერჰემი 2:3; ოქსფორდი — სუინდონი 0:2; პორტ ვეილი — პიტერბრო 5:0; სუონსი — ნორთჰემპტონი 1:1; უოლსოლი — კოლჩესტერი 0:1; რედინგი — უიგანი 1:0

## მესამე დივიზიონი

26-ე ტური: მაკლსფილდი — ბარნეტი 3:0; პლიმუთი — ჩესტერფილდი 3:0; ბრაიტონი — ჰალი 3:0; კარლაილი — ჩელტენემი 1:1; დარლინგტონი — ჰარტლპული 1:1; ექსეტერი — შრიუსბერი 1:0; ჰალიფაქსი — სკანთორპი 3:4; ლეიტონი — ტორკი 0:2; ლინკოლნი — კარდიფი 2:0; მენსფილდი — იორკი 1:3; როჩდეილი — კიდერმინსტერი 0:0; საუთენდი — ბლექპული 0:3

# შენ, საპირფერო და საკვირფერო





როი ესანდოჰმა (№36) ისეთი გაიტანა, შამპანური მასზე მართლაც ალალია

### ასოციაციის თასი

მეოთხედფინალი

**არსენალი 3:0 ბლექბერნი (I)**

1:0 ვილტორდი (2), 2:0 ადამსი (5), 3:0 პირესი (36)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ადამსი, ეშლი კოული, გრიმანდი, ლუენი, ლიუნგბერგი (სილვინიო 65), ლორენი, პირესი (ანრი 69), ბერკამპი (ვიეირა 69), ვილტორდი
ბლექბერნი: ფრიდელი, კერტისი, ბერგი, ტეილორი, მაკატირი, ფლიტკროფტი, მაჰონი (ბიორნებიუ 46), ბენტი, დანი, ჰიუზი (იანსენი 61), ბერკოვიჩი (დაფი 46)
გაფრთხილება: მაკატირი
36 304 მაყურებელი

**ტრანმერი (I) 2:4 ლივერპული**

0:1 მერფი (12), 0:2 ოუენი (27), 1:2 იეტსი (47), 1:3 ჯერარდი (52), 2:3 ელისონი (58), 2:4 ფაულერი (82პ)
ტრანმერი: ეკტერბერგი, ჰინდსი, ალენი, ჯონსონი (ჩელინორი 60), იეტსი, პარკინსონი, ჰენრი, კუმასი, რობერტსი, რიდო (ელისონი 57), ბარლოუ
ლივერპული: ვესტერველდი, ბაბელი, რაიტი, ჰიპია, კარაგერი, ბარმბი (ბისკანი 66), მაკალისტერი, ჯერარდი, მერფი (შმიცერი 83), ფაულერი, ოუენი (ლიტმანენი 87)
გაფრთხილება: ალენი, ჰენრი, რობერტსი, ჯერარდი
16 342 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 2:3 ტოტენჰემი**

0:1 რებროვი (34), 1:1 პირსი (43), 1:2 რებროვი (57), 1:3 დოჰერტი (62), 2:3 ტოდოროვი (72)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, უინტერბერნი, ს. პირსი, შტიმაცი, დეილი, შემელი (ტოდოროვი 67), ლამპარდი, ჯ. კოული, კარიკი, დი კანიო, კანო
ტოტენჰემი: სალივანი, იანგი, ს. კემპბელი, პერი, ფრიონდი, კლემენსი, კინგი, დოჰერტი, ივერსენი, ლ. ფერდინანდი (კორსტენი 88), რებროვი
გაფრთხილება: სალივანი, კლემენსი, დოჰერტი, ფერდინანდი
26 048 მაყურებელი

**ლესტერი 1:2 უიკომბი (II)**

1:0 მაკკარტი (50), 1:1 იზეტი (68), 1:2 ესანდოჰი (90)
ლესტერი: როისი, იმპი, გაპი, როუეტი, ტაგარტი, მ. ელიოტი, იზეტი, სევიჯი (იდი 61), ოუქსი, სტარიჯი (ბენჯამინი 75), აკინბი (გუნლაუგსონი 76)
უიკომბი: ტეილორი, თაუნსენდი, ბეიტსი, კუსინსი, მაკკარტი, ვაინიკომბი (ლი 87), ბულმანი, სიმპსონი, ბრაუნი, რაიანი (კესტლიდინი 74), კლეგი (ესანდოჰი 74)
გაფრთხილება: სევიჯი, ოუქსი, კუსინსი, ბრაუნი, სიმპსონი
გაძევება: ბრაუნი (90)
21 969 მაყურებელი

**მეორე** დივიზიონის „უიკომბმა“ სტუმრად დაამარცხა პრემიერლიგელი „ლესტერი“ და ინგლისის თასის ნახევარფინალში გავიდა. ამბავი თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ბევრად უფრო საინტერესოა იმ კაცის ისტორია, რომელმაც ლესტერში 92-ე წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანა.

თებერვალში „უიკომბს“, რომელიც სულ რაღაც ოთხი წლის წინ სამოყვარულო გუნდი იყო, სასტარტო შემადგენლობის ერთბაშად ექვსი ფეხბურთელი დაემტვრა. იმ ექვსის შემცვლელს ღარიბი კლუბი როგორმე მოძებნიდა, მაგრამ სათადარიგოთაც ვინმე ხომ უნდა ჰყოლოდა. ჰოდა, მწვრთნელმა ლორი სანჩესმა განცხადება გამოაქვეყნა: „გვჭირდება თავდამსხმელი ორი კვირით“.

რომ ვთქვათ, კლუბის ოფისს ზღვა ხალხი მიაწყდაო, ტყუილი იქნება — განცხადებას ერთადერთი კაცი გამოეხმაურა, აგენტი ვარ და კარგი ფეხბურთელი მეგულებაო. ვინ არის, სად თამაშობსო? — ჰკითხა სანჩესმა, როი ესანდოჰი ჰქვია, 25 წლის ბელფასტელი ბიჭიაო, უპასუხა აგენტმა და კლუბებიც ჩამოუთვალა: „კუმბერნაულდ იუნაიტედი“, „მოზერუელი“, „ისტ ფაიფი“, „ვაასა“, „რუშდენი“ და „დიამონდსი“. ალბათ, მიხვდებით, ამ სამოყვარულო კლუბთა სახელების გაგონებაზე რა ხასიათზეც დადგებოდა მწვრთნელი. ერთადერთი მეტ-ნაკლებად რიგიანი გუნდი აქედან შოტლანდიური „მოზერუელია“ და იქაც ამ ხუთიოდე წლის წინ სულ ხუთ მატჩში უთამაშია.

მაგრამ ლორი სანჩესს სხვა გზა არ ჰქონდა, აკი ალვნიშნეთ, მის განცხადებას მეტი არავინ შეხმიანებიაო.

„უიკომბში“ ახალი ფეხბურთელის ვინაობით არც დაინტერესებულან — ვილაცა ორი კვირით მოვიდა, მგონი, როი ჰქვია, ჩვენები მომჯობინდებიან და ესეც საიდანაც მოსულა, ისევ იქ წავა, ანუ ნონ-ლიგაშიო.

ესანდოჰს უიკომბური დებიუტი „პორტ ვეილთან“ შედგა. ამას დებიუტიც არ ეთქმის, გუნდი აგებდა და მწვრთნელმა ბოლო წუთებზე შეუშვა. მერე „რედინგთან“ ბოლომდე სკამზე ეჯდა.

„ლესტერთან“ სათასო მატჩში სანჩესმა ესანდოჰი შეცვლაზე შეიყვანა, თამაში საცაა, უნდა დამთავრებულიყო. და ამ დროს, მეორე წამატებულ წუთზე, როიმ ლონიერი თავური დაჰკრა და „უიკომბი“ ნახევარფინალში გაიყვანა.

როი ესანდოჰს ორკვირიანი კონტრაქტი რამდენიმე დღეში უმთავრდება, მაგრამ მწვრთნელმა თქვა, კაცი ინგლისური გაზეთების პირველ გვერდებზე მოხვდა და ასე იოლად ვერ შევეშვებითო, თან ჟურნალისტებს სთხოვა, ეგებ სწორად დაწეროთ მისი გვარი, მე წარმოდგენა არ მაქვს, როგორ იწერებაო.

სხვა შეხვედრებში „არსენალმა“ ხუთ წუთში გაარკვია „ბლექბერნთან“ ურთიერთობა, „ტოტენჰემმა“ სერგეი რებროვის ორი გოლით და ერთიც საგოლე პასით დაამარცხა „ვესტ ჰემი“, ხოლო „ევერტონისა“ და „საუთჰემპტონის“ გამგდები „ტრანმერი“ „ლივერპულის“ მსხვერპლი გახდა.

**გიორგი დარჯანია**

**ნახევარფინალის წილისყრა**

არსენალი — ტოტენჰემ ჰოთსპური; უიკომბი (II) — ლივერპული
მატჩები გაიმართება 7-8 აპრილს ნეიტრალურ მოედნებზე

## შოტლანდია

### ასოციაციის თასი

მეოთხედფინალი

**დანდი იუნაიტედი 1:0 რეინჯერსი**

1:0 ჰანა (61)

**კილმარნოკი 0:1 ჰიბერნიანი**

0:1 მაკმანუსი (90)

**ლივინგსტონი (I) 3:1 პიტერჰედი (II)**

0:1 ჯონსტონი (7), 1:1, 2:1 ანდერსონი (19, 34), 3:1 ბინგემი (63)

**სელტიკი 1:0 ჰარტსი**

1:0 ლარსონი (40)

**წინა** ორ სეზონში „რეინჯერსმა“ ექვსი საშინაო შეჯიბრიდან (ჩემპიონატი, თასი, ლიგის თასი) ხუთი მოიგო, მაგრამ ევროპაში წარუმატებელმა გამოსვლამ კლუბის ხელმძღვანელობას ჯიბეზე ხელი გააკვრევინა და დამატებითი 44 მილიონი დოლარის საფასურად გუნდი მნიშვნელოვნად გადახალისდა. შედეგად, წლეულს ამ გლაზგოურმა კლუბმა შინაც სირცხვილი ჭამა.

გუშინწინ „რეინჯერსი“ სქოთთან თასსაც დაემშვიდობა — პრემიერლიგაში ბოლოდან მეორე ადგილზე მყოფმა „დანდი იუნაიტედმა“ მრისხანე მეტოქე არად ჩააგდო და ისევე გაამწარა, როგორც შვიდი წლის წინ. მაშინ, 1994 წელს, გლაზგოელებმა ამავე გუნდთან თასის ფინალში წააგეს, მაგრამ მას მერე დანდური „იუნაიტედის“ საქმეები უკან-უკან წავიდა. კლუბი თითქმის ყველა იმდროინდელმა ფეხბურთელმა დატოვა და დარჩა მხოლოდ დევიდ ჰანა. დარჩა და კვირას სტუმრებს გამარჯვების გოლი გაუტანა.

ეს ამბავი მატჩის 62-ე წუთზე მოხდა — ჰანამ 14 მეტრიდან და მარცხენა ფეხით ბურთი გლაზგოელთა გერმანელ მეკარე შტეფან კლოსს თავზე გადაუგდო. შვიდ წუთში მსაჯმა სტუმართა ჰოლანდიელი ბერტ კონტერმანი მეორე გაფრთხილების გამო მინდვრიდან დაითხოვა და „რეინჯერსისთვის“ ყველაფერი დამთავრდა. „არა, ჯერ ყველაფერი არ წაგვიგია. ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავალთ და ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშებთ“ — იხტიბარს არ იტეხს დიკ ადვოკაატი, რომელსაც, ტრავმათა გამო, ერთდროულად 10 მოთამაშე, მათ შორის რონალდ დე ბური აკლდა.

მასპინძელთა მწვრთნელი ალექს სმიტი, ცხადია, მეცხრე ცაზე გახლდათ: „ჩვენებმა თითქმის ყველა ორთაბრძოლა მოიგეს, თამაშსაც ვაკონტროლებდით და რომ არა კლოსი, ვინც ოთხჯერ მსოფლიო კლასი გვიჩვენა, უფრო დიდი ანგარიშითაც მოვიგებდით“.

ახლა „დანდი იუნაიტედს“ ნახევარფინალში „სელტიკი“ ელის, რომელმაც ისევ მოიგო — ჰენრიკ ლარსონის სეზონში 45-ე გოლით, მეორე ფინალისტი კი პირველდივიზიონელი „ლივინგსტონისა“ და კილმარნოკში ბოლო წუთზე მომგები „ჰიბერნიანის“ შეხვედრაში გაირკვევა.

**ნახევარფინალის წილისყრა**

სელტიკი — დანდი იუნაიტედი; ჰიბერნიანი — ლივინგსტონი (I)
მატჩები გაიმართება 14-15 აპრილს გლაზგოში, „ჰემპდენ პარკზე“



დანდი იუნაიტედი — რეინჯერსი 1:0. სტუმართა ბომბარდირი ბილი დოდსი ბევრს ეცადა, თუმცა დანდელ მცველებთან ვერაფერს გახდა

# ვინ ავა მილანის ფუნიკულიორზე?

**დღეს** ჩემპიონთა ლიგა. II ეტაპი. VI ტური



ლა კორუნიაში, „რიასორზე" როი მაკაიც (მარცხნივ) და მისი თანაგუნდელებიც მილანელებისგან დაიჩაგრნენ

## A ჯგუფი

### ვალენსია — პანათინაიკოსი

მეოთხედფინალში უკვე გასულ „ვალენსიას" დღეს ბოლომდე დახარჯვის ორი მიზეზი აქვს. ერთი ის, რომ გამარჯვების შემთხვევაში ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებს და შემდეგ ეტაპზე საპასუხო მატჩის შინ ჩატარების უფლებას მიიღებს — ეს გაკვეული უპირატესობაა. მეორე მიზეზი ისაა, რომ ამ კვირაში ვალენსიაში ტრადიციული კარნავალი იმართება, რომელსაც იქაურები ფალასს ეძახიან, ჰოდა, ფეხბურთელებმაც კარგი თამაშით მხარი თუ არ აუბეს...

ლიგის წინა ტურში „ვალენსიამ" მალიან იოლად დაამარცხა „შტურმი" მისსავე მოედანზე, თუმცა ამ უქმეებზე პრიმერადივიზიონის მაჩანჩალა „ოსასუნასთან" გოლის გატანა ერთობ გაუჭირდა. ექტორ რაულ კუპერის უმთავრესი ამოცანაც დღევანდელ მატჩში პამპლონელებთან დაშვებული უზუსტობების აღმოფხვრა იქნება. მწვრთნელმა ტრავმებით და დისკვალიფიკაციებით შეთხელებული დაცვის გაძლიერებაზეც უნდა იფიქროს.

მაურისიო პელეგრინო ევროსარბიელიდან ერთი მატჩით მოკვეთილია, ხოლო ამადეო კარბონი და იოაკიმ ბიორკლუნდი ჯერ კიდევ ვერ მოკეთებულან, თუმცა შესაძლოა, ბიორკლუნდი მწვრთნელებმა სათადარიგოდ იყოლიოს. მათი არყოფნის გამო ნახევარმცველ დავიდ ალბელდას უკან, რობერტო აიალას, მიროსლავ ჯუკიჩისა და ჟოსელინ ანგლომას მხარდამხარ მოუწევს თამაში.

დისკვალიფიცირებულია კაპიტანი გაისკა მენდიეტაც, თუმცა გუნდს დაუბრუნდა სასჯელმოხდილი რუბენ ბარახა, რომელმაც ნახევარდაცვის ცენტრი დიდიე დეშამპთან ერთად უნდა გაამაგროს.

„ჩემპიონთა ლიგა თავაწეულებმა უნდა დავტოვოთ" — თქვა ბერძენთა მწვრთნელმა სტრატოს აპოსტოლაკისმა. „პანათინაიკოსს" მეოთხედფინალში გასვლის შანსი აღარ აქვს და მწვრთნელი სხვას, აბა, რას იტყოდა. ისე, ათენელთა „მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთი კვირის წინანდელ თამაშს თუ გავიხსენებთ, „კარის გაჯახუნება" უნდა გამოუვიდეთ.

სტუმრებს დღეს რენე ჰენრიკსენი და ნიკოს ლიბეროპულოსი არ ეყოლებათ. დანიელ მცველს შინაურ პირველობაზე პაოკელი მეტოქისგან მუხლში წიხლი მოხვდა, ხოლო ლიბეროპულოსს აპოსტოლაკისი 23 მარტისთვის ამზადებს, როცა საბერძნეთის თასზე „პანათინაიკოს" „ოლიმპიაკოსთან" უწევს თამაში.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ვალენსია:** კანისარესი, ჯუკიჩი, აიალა, ალბელდა, ანგლომა, ბარახა, დეშამპი, კილი გონსალესი, აიმარი, კარეუ, ხუან სანჩესი

**პანათინაიკოსი:** ნიკოპოლიდისი, ოლივარესი, გუმასი, ფოკოლისი, კარაგუნისი, ბოატენგი, ვლაოვიჩი, გალეტო, სეიტარიდისი, ბასინასი, ნასიოპულოსი

**მსაჯი:** კნუდ ერიკ ფისკერი (დანია)

### მანჩესტერ იუნაიტედი — შტურმი

სერ ალექს ფერგიუსონმა თქვა, ჯგუფში ჩარჩენის თეორიული შანსი რომ გვაქვს, სრულებით არ მაღელვებს, რადგან ეჭვიც არ მეპარება, რომ მეოთხედფინალში გავალთო.

მწვრთნელის ეს სიტყვები იმას როდი ნიშნავს, რომ მას საერთოდ არაფერი აღელვებს, პირიქით, საფიქრალი სწორედ რომ მოსძალებია. „მანჩესტერმა" ვერც სტუმრად დაამარცხა „ვალენსია" და ვერც შინ, ხოლო წინა კვირაში ათენში ძლივს გადაურჩა მარცხს. ამასთანავე მეტოქეებმაც ისწავლეს დევიდ ბექჰემის შებოჭვა, რის გამოც მანჩესტერელთა მეშვიდე ნომრის ჩაწოდებები ძველებურად ველარ ფასობს.

ამიტომაც თქვა ფერგიუსონმა: „ზღაპარია, რომ „შტურმი" სამი ბურთის სხვაობით დაგვამარცხებს და ვფიქრობ, თავად მათ არ სჯერათ ამის. მე ამ მატჩში „მანჩესტერის" ბოლოდროინდელი ულიმღამო თამაშის მიზეზების პოვნა მსურს და ამას აუცილებლად შევძლებ."

გავიხსენოთ, რომ ეს გუნდები გასულ სეზონშიც ერთ ჯგუფში მოხვდნენ, ოღონდ პირველ ეტაპზე. მაშინ ინგლისელებმა ორივე თამაში მოიგეს, ხოლო „შტურმი" ჯგუფში ჩარჩა. ახლაც გრაცში გამართული შეხვედრა სტუმრებისა იყო — 2:0.

ფერგიუსონს არც გაემტყუნება, მეტოქეს ალმაცერად რომ უყურებს. აბა, რა იქნება, როცა გრაცელები დიდი ანგარიშით მოგების ნაცვლად იმაზე ფიქრობენ, დიდი ანგარიშით არ წავაგოთო. ავსტრიელთა კაპიტანმა ივიცა ვასტიჩმა თქვა, წინა სეზონში „ოლდ ტრეფორდზე" 1:2 დავმარცხდით და ასეთ შედეგზე არც ახლა ვიტყოდით უარსო. ისე, რას ვერჩით „შტურმს". ავსტრიელები ამბობენ, თავიდან არც გვიოცნებია მეორე ეტაპზე მოხვედრა და რაკი შევძელით, უკვე დიდი საქმეაო.

მანჩესტერელთა ერთადერთი დანაკლისი რაიან გიგზი იქნება, რომელიც ტრავმირებულია. სტუმართა მდგომარეობა უფრო რთულადაა. ჟილბერტ პრილასნიგი დისკვალიფიცირებულია. გეხსომებათ, რომ წინა ტურში ის ვალენსიელ იონ კარეუს წინაალმდეგ უხეშობისთვის გააძევეს. გრაცელთა ხორვატმა მწვრთნელმა ივიცა ოსიმმა პრილასნიგზე თქვა, სხვათა არყოფნას როგორმე ავინაზღაურებ, ამისას კი ვერაო. ეს სხვები ტრავმირებული მცველი ფერდინანდ ფელდჰოფერი და ნახევარმცველი ჰანს რაინმაიერი არიან. რაც შეეხება რუს თავდამსხმელ სერგეი იურანს, მას დიდი ხანია, ტრავმა აქვს.

სტუმართათვის კი სასიამოვნო ამბავი ისაა, რომ გუნდს დისკვალიფიკაციამოხდილი მეგოლე, ნახევარმცველი მარკუს შოპი და მცველი გიუნტერ ნოიკირხნერი დაუბრუნდნენ.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ბარტეზი, გ. ნევილი, ბრაუნი, სტამი, სილვესტრი, კინი, ჩედვიკი, ბექჰემი, სქოულზი, იორკი, ენდი კოული

**შტურმი:** სიდორჩუკი, ნოიკირხნერი, იბერტსბერგერი, შტრაფნერი, შოპი, შუპი, ფლურკინი, კორსოში, მინავანდ ჩალი, ჰაასი, ვასტიჩი

**მსაჯი:** ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)



„ოლდ ტრეფორდზე" ბერძენთა კარში გატანილი მანჩესტერელთა სამი გოლიდან ერთი და გამორჩეული პოლ სქოულზისა (შუაში) იყო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 5 | 2 | 3 | 0 | 8:1 | 9 |
| მანჩესტერ იუნ. | 5 | 2 | 3 | 0 | 7:3 | 9 |
| შტურმი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:10 | 6 |
| პანათინაიკოსი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | 2 |

## B ჯგუფი

### მილანი — დეპორტივო

„მილანი" ჩემპიონთა თასის ხუთგზის მფლობელია, ხოლო „დეპორტივო ლა კორუნია", მასთან შედარებით, პროვინციული გუნდი. და აი, ისინი დღეს მილანში, „სან სიროზე" ფინალის ტოლფას შეხვედრას მართავენ. მჯობნი მეოთხედფინალში გავა, იქიდან კი ნამდვილი ფინალის ხედი იშლება.

თუმცა, ამ ფინალის ტოლფას შეხვედრას, ნაღდი ფინალისგან განსხვავებით, ერთი თავისებურება აქვს: „დეპორტივოს" ფრეც აძლევს ხელს, „მილანს" კი მხოლოდ გამარჯვება სჭირდება. ასე იმიტომაა, რომ ესპანელები იტალიელებს სამი ქულით უსწრებენ და თუ წააგეს, გათანაბრდებიან, ოღონდ ისე გამოვა, რომ შეჯიბრებაში ორივეჯერ „მილანმა" აჯობათ — პირველი შეხვედრა, ლა კორუნიას „რიასორზე" „შავ-წითლების" გამარჯვებით, 1:0 დასრულდა.

ესე იგი, „მილანმა" უნდა მოიგოს. ამას თითქოს ის უნდა უადვილებდეს, რომ ის მასპინძელია, მაგრამ ჯერ ერთი, ასეთ დონეზე სტუმარ-მასპინძლობა დიდად პირობითი რამ არის და მეორეც, სტატისტიკა გვეუბნება, რომ ალბერტო ძაკერონის გუნდმა ნებისმიერ დონეზე ჩატარებულ ბოლო 17 თამაშში მხოლოდ ორჯერ მოიგო.

აი, შაბათსაც, სულ ორი დღის წინ, „შავ-წითლებმა" იტალიის პირველობაზე ბერგამოში, აბდაუბდა ფეხბურთი ითამაშეს და ბედს მადლობა უნდა უთხრან, მატჩი 1:1 რომ დასრულდა. ამასთან, ყველას თვალში ეცა, რომ შეხვედრის შემდეგ პაოლო მალდინიმ და ზვონიმირ ბობანმა დიდი კინკლაობა წამოიწყეს, რაც გუნდის სულისკვეთებასა და ერთსულოვნებაზე კარგად ვერ მეტყველებს.

აღსანიშნავია, რომ მილანელთა მწვრთნელს ალბერტო ძაკერონის, კონტრაქტი სეზონის ბოლომდე აქვს და ძალიან საეჭვოა, კლუბმა მისი გაგრძელება ისურვოს. თუ ძაკერონის დარჩენა სურს, სწორედ ჩემპიონთა ლიგაში უნდა გამოიჩინოს თავი.

მოგეხსენებათ, ბოლო ორი თვის მანძილზე „მილანს" სერიოზული პრობლემა ჰქონდა — ბევრი წამყვანი მოთამაშე დაუშავდა, თუმცა „დეპორტივოსთან", შესაძლოა, რამდენიმე მოედანს დაუბრუნდეს. ალესანდრო კოსტაკურტაზე წინასწარ ვერაფერს ამბობდნენ, თუმცა ამ წუთისთვის, როდესაც თქვენ გაზეთს კითხულობთ, მას ტესტი უკვე გავლილი ექნება. რაც შეეხება დემეტრიო ალბერტინის, მასზე დაბეჯითებით წერდნენ, ითამაშებსო, თუმცა იმასაც ამატებდნენ, რომ ფიზიკურად მთლად გავარჯიშებული ვერ არისო.

დემეტრიო ალბერტინი, სხვათა შორის, ის კაცი გახლავთ, რომელმაც 1994 წელს მოიპოვა „შავ-წითელთა" შემადგენლობაში ჩემპიონთა თასი. ის ამბობს:

„ისეთი დაძაბულობა, როგორც დღეს იგრძნობა, მხოლოდ დიდი ფინალების წინ არის ხოლმე. აშკარაა, 90 წუთის განმავლობაში ჩვენ შიშისა და ეჭვის არსებობაც უნდა დავივიწყოთ."

„დეპორტივოს" კი, თითქოს არაფერი უჭირს. წესით, დიდ გულზეც უნდა იყოს, რადგან წინა ტურში, „პარი სენ ჟერმენთან" 0:3-ს აგებდა და 4:3 მოიგო.

„მოედანზე იმის ფიქრით გასვლა, რომ ფრე ჩვენ გვაძლევს ხელს, დამარცხების ტოლფასია. „მილანი" იძულებულია გარისკოს, რაც იმას ნიშნავს, რომ სივრცეები უნდა გახსნას და ჩვენ ამის გამოყენება უნდა ვცადოთ" — ამბობს ლაკორუნიელთა მთავარი ნახევარმცველი მაურო სილვა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მილანი:** აბიატი, როკე ჟუნიორი, კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი, გატუზო, ალბერტინი, კოკო, ლეონარდო (ან ბობანი), შევჩენკო, ბირჰოფი

**დეპორტივო:** მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, ნაიბეტი, დონატო, მაურო სილვა, ემერსონი, ვიქტორი, ჯალმინია, ფრანი, მაკაი

**მსაჯი:** ჰიუ დალასი (შოტლანდია)

### პარი სენ ჟერმენი — გალათასარაი

„გალათასარაი", შენ ხარ ჩემი ბატონი და, უკვე მეოთხედფინალისტია, „პარი სენ ჟერმენი" კი უშანსო, ჯგუფში ჩარჩენილი გუნდი. მათ შეხვედრას მხოლოდ კალენდარული მნიშვნელობა აქვს — ოქმი უნდა შეივსოს.

„თავი ქუდში გვაქვს, მაგრამ უგოლოდ თამაშს არ ვაპირებთ, ამ მატჩში ქულები უნდა მოვიპოვოთ" — გვამშვიდებს სტამბოლელთა კაპიტანი ბიულენთ ქორქმაზი.

ბიულენთს რა ენაღვლება, დისკვალიფიცირებულია და სხვების ნაცვლად ლაპარაკობს. მასავით დისკვალიფიცირებულია ოკან ბურუქიც, ხოლო თავდამსხმელი ჰასან შაში კბილის ექიმთან დადის და ვერ ითამაშებს.

„გალათასარაისთან" დაკავშირებით იმის თქმაცაა საჭირო, რომ მისი რუმინელი ნახევარმცველი გეორგ ჰაჯი, ვგონებ, დიდ კარიერას სამარცხვინოდ ამთავრებს: „თურქეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, ამ უქმეებზე „კარპატების მარადონას" მსაჯისთვის უგინებია, უფურთხებია და მუშტიც მოუღერებია, რის გამოც სამუდამო დისკვალიფიკაცია ელის.

ახლა, პარიზელთა შესახებ: ლუის ფერნანდესის ქვეშევრდომებმა, წინა ტურში ლა კორუნიაში, წარმოუდგენელი რამ ჩაიდინეს — „დეპორტივოსთან" 3:0-ს იგებდნენ და 3:4 იგემეს — ოთხი თავური გაუშვეს. მათი მთავარი ვარსკვლავი, თავდამსხმელი ნიკოლა ანელკა მარჯვენა ბარძაყის კუნთს მკურნალობს, თუმცა, ვნახოთ... დაშავებულია მცველი დიდიე დომიც. სამაგიეროდ, გუნდში დაბრუნდა ფერნანდესთან ნაჩხუბარი ლორან რობერი. მან ბოლო ტურში B გუნდში ითამაშა. თავ თავიანთ ნაკრებებში გაიკრიბნენ ჯეი ჯეი ოკოჩა, ალი ბენარბია და ალიუ სისე, ასე, რომ ამ გუნდების ისტორიაში მეოთხე დაპირისპირება ერთობ უკბილო უნდა გამოდგეს.

წინა სამი შეხვედრის საქმე ასე იყო: 1996-97 წლების სეზონში, თასების თასზე „გალათასარაიმ" შინ 4:2 მოიგო, პარიზში კი 0:4 წააგო, ხოლო ახლა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში, პირველ შეხვედრაში, „პარკ დე პრენსზე" სტამბოლელებმა იძალეს, 1:0.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პარი სენ ჟერმენი:** ლასაგრანდე, ალეგრინი, რაბესანდრატანა, იანოვსკი, დისტინი, ლუქსენი, ე. სისე, დიუგარი, კრისტიანი, ანელკა, რობერი

**გალათასარაი:** ტაფარელი, პოპესკუ, ფათიჰი, კაპონე, სუათი, ერგუნი, ემრე, აჰმეთი, უმითი, ჰაჯი, ჯარდელი

**მსაჯი:** ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:4 | 10 |
| დეპორტივო | 5 | 3 | 0 | 2 | 9:6 | 9 |
| მილანი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:6 | 6 |
| პარი სენ ჟერმენი | 5 | 0 | 2 | 3 | 6:10 | 2 |

სარბიელი

# სპორტული ლატარია კროკო

### ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები

13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 001 | უოტფორდი-ბარნლი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.45 | 002 | ქრიუ-ნოტინგემი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.45 | 003 | გრიმსბი-უიმბლდონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 004 | პრესტონი-ვულვერჰემპტონი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.45 | 005 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.45 | 006 | ტრანმერი-პორტსმუთი | 1,95 | 3,0 | 3,5 |

### ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები

13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 007 | უიკომბი-სტოკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 008 | როვერსი-პიტერბრო | 1,9 | 3,0 | 3,5 |

### ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩები

13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 009 | პლიმუთი-ჰალი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.45 | 010 | კარლაილი-ლეიტონი | 2,5 | 3,1 | 2,4 |
| 23.45 | 011 | იორკი-დარლინგტონი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 23.45 | 012 | შრიუსბერი-კარდიფი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 23.45 | 013 | კიდერმინსტერი-კარდიფი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 014 | ბრაიტონი-ბარნეტი | 1,25 | 4,4 | 8,0 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი

13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 015 | ჰელმონდი-ოსი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

### შოტლანდია. გადადებული მატჩები

13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 016 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 3,6 | 3,2 | 1,85 |

14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 017 | რეინჯერსი-დანდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 23.45 | 018 | ჰართსი-კილმარნოკი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 24.00 | 019 | სენტ ჯონსტონი-სელტიკი | 6,0 | 3,4 | 1,4 |

### ავსტრია. 25-ე ტური

13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 020 | აუსტრია-გრაცერი | 1,6 | 3,2 | 5,6 |

14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.15 | 021 | ზალცბურგი-რაპიდი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.30 | 022 | ადმირა-ბრეგენცი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 22.30 | 023 | ლინცერი-რიდი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

### შვეიცარია. A ჯგუფი. გადადებული მატჩები

14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 024 | სიონი-გრასჰოპერი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 025 | ბაზელი-ლოზანა | 2,0 | 3,0 | 3,5 |

### შვეიცარია. A/B ჯგუფი. გადადებული მატჩი

14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 026 | ლუცერნი-ქსამაქსი | 1,85 | 3,1 | 3,8 |

### საფრანგეთი. ლიგის თასი

13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 027 | ტრუა-ნანტი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

### ჰოლანდია. თასის 1/4 ფინალი

14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 028 | ჰერენვენი-ფეიენოორდი | 3,3 | 3,2 | 1,95 |

### საბერძნეთი. თასის 1/4 ფინალი. II მატჩი

14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 029 | ირაკლისი-პანაჰაიკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |

### პოლონეთი. თასის 1/4 ფინალი. II მატჩები

14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 030 | სტომილი-პოლონია | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 15.00 | 031 | ლეგია-ზაგლებე | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 15.00 | 032 | პლოცკი-ოპოლე | 1,75 | 3,1 | 3,8 |
| 15.00 | 033 | გურნიკი-ლეჩინა | 1,4 | 3,5 | 7,0 |

### შვეიცარია. თასის 1/8 ფინალი

14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 034 | ვანგენი-იანგ ბოისი | 3,8 | 3,2 | 1,8 |

15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 035 | ივერდონი-ციურიხი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ჩემპიონთა ლიგა. მე-6 ტური

13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 501 | მანჩესტერი-შტურმი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 23.45 | 502 | ვალენსია-პანათინაიკოსი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 23.45 | 503 | მილანი-დეპორტივო | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.45 | 504 | პსჟ-გალათასარაი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 505 | ბაიერნი-არსენალი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 22.00 | 506 | სპარტაკი-ლიონი | 2,7 | 3,4 | 2,1 |
| 23.45 | 507 | ლიდსი-ლაციო | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 23.45 | 508 | ანდერლეხტი-რეალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### უეფას თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები

15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 509 | პსვ-კაიზერსლაუტერნი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 23.45 | 510 | რაიო ვალეკანო-ალავესი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 24.05 | 511 | ლივერპული-პორტუ | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 00.30 | 512 | სელტა-ბარსელონა | 2,6 | 3,1 | 2,4 |

### ლიბერტადორესის თასი

13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 513 | ელ ნასიონალი (ეკვადორი)-გუარანი (პარაგვაი) | 1,7 | 3,4 | 4,7 |
| 06.00 | 514 | ნასიონალი (ურუგვაი)-სან ლორენსო (არგენტინა) | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 06.10 | 515 | სპ.კრისტალი (პერუ)-კრუზეირო (ბრაზილია) | 4,0 | 3,2 | 1,7 |

14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.40 | 516 | სპორტ ბოისი (პერუ)-პალმეირასი (ბრაზილია) | 4,2 | 3,2 | 1,65 |
| 04.40 | 517 | ამერიკა (კოლუმბია)-ვასკო და გამა (ბრაზილია) | 2,5 | 3,0 | 2,5 |

15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 518 | ოლმედო (ეკვადორი)-სან კაეტანო (ბრაზილია) | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 05.40 | 519 | უნივერსიტარიო (პერუ)-ხუნიორი (კოლუმბია) | 2,7 | 3,0 | 2,4 |

### უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა

15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 601 | პსვ | -2,0 | კაიზერსლაუტერნი | -1,45 |
| 23.45 | 602 | რაიო ვალეკანო | -6,0 | ალავესი | -1,05 |
| 24.05 | 603 | ლივერპული | -1,15 | პორტუ | -3.1 |
| 00.30 | 604 | სელტა | -3,5 | ბარსელონა | -1,15 |

### I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 13 მარტი | | | | | | | | | |
| 23.45 | 701 | მანჩესტერ იუნაიტედი-შტურმი | 1,4 | 20,0 | 40,0 | 2,6 | 6,5 | 15,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |
| 23.45 | 702 | ვალენსია-პანათინაიკოსი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 6,0 | 12,0 | 18,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.45 | 703 | მილანი-დეპორტივო | 2,3 | 12,0 | 20,0 | 3,5 | 5,0 | 6,5 | 16,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.45 | 704 | პსჟ-გალათასარაი | 3,0 | 10,0 | 18,0 | 4,2 | 5,0 | 6,5 | 15,0 | 10,0 | 5,0 |
| | | 14 მარტი | | | | | | | | | |
| 22.00 | 705 | ბაიერნი-არსენალი | 3,2 | 10,0 | 15,0 | 4,4 | 5,0 | 5,6 | 15,0 | 10,0 | 4,4 |
| 22.00 | 706 | სპარტაკი-ლიონი | 4,0 | 12,0 | 15,0 | 5,3 | 5,3 | 4,4 | 15,0 | 12,0 | 3,3 |
| 23.45 | 707 | ლიდსი-ლაციო | 3,4 | 10,0 | 15,0 | 4,7 | 5,0 | 5,6 | 15,0 | 10,0 | 4,4 |
| 23.45 | 708 | ანდერლეხტი-რეალი | 3,7 | 10,0 | 15,0 | 5,0 | 5,0 | 5,0 | 15,0 | 10,0 | 3,7 |
| | | 15 მარტი | | | | | | | | | |
| 23.00 | 709 | პსვ-კაიზერსლაუტერნი | 2,7 | 12,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 7,5 | 16,0 | 10,0 | 6,0 |
| 23.45 | 710 | რაიო ვალეკანო-ალავესი | 2,6 | 12,0 | 20,0 | 4,0 | 5,0 | 7,5 | 15,0 | 10,0 | 6,0 |
| 24.05 | 711 | ლივერპული-პორტუ | 1,8 | 13,0 | 25,0 | 3,0 | 5,6 | 11,0 | 18,0 | 11,0 | 10,0 |
| 00.30 | 712 | სელტა-ბარსელონა | 4,0 | 10,0 | 15,0 | 5,3 | 5,0 | 5,0 | 18,0 | i0,0 | 3,6 |

### კალათბურთი

13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 801 | ტორონტო-მილუოკი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 04.30 | 802 | ატლანტა-ვანკუვერი | 1,4 | 12,0 | 2,1 |
| 04.30 | 803 | ნიუ იორკი-კლივლენდი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 804 | ორლანდო-საკრამენტო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.30 | 805 | დალასი-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.30 | 806 | ჰიუსტონი-ინდიანა | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 07.00 | 807 | სიეტლი-პორტლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 07.30 | 808 | ლეიკერსი-ბოსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 809 | ვაშინგტონი-დეტროიტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 810 | შარლოტი-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 811 | კლივლენდი-ორლანდო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 04.30 | 812 | მაიამი-საკრამენტო | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 05.00 | 813 | სან ანტონიო-მინესოტა | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 05.30 | 814 | ჩიკაგო-ფილადელფია | 3,5 | 12,0 | 1,15 |
| 06.00 | 815 | დენვერი-ინდიანა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 07.00 | 816 | პორტლენდი-ფინიქსი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 07.30 | 817 | გოლდენ სტეიტი-იუტა | 3,1 | 12,0 | 1,2 |

15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 818 | დეტროიტი-ლეიკერსი | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 04.30 | 819 | ნიუ იორკი-ტორონტო | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 05.00 | 820 | მილუოკი-სიეტლი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.30 | 821 | დალასი-მინესოტა | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 05.30 | 822 | ჰიუსტონი-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 06.00 | 823 | ფინიქსი-ბოსტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |

### კალათბურთი. სუპროლიგა

14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 824 | რაანანა-ცეპტერი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 825 | პლანია-ეფესი | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 21.00 | 826 | ულქერი-ლიეტუვოს რიტასი | 1,15 | 12,0 | 2,5 |
| 21.00 | 827 | ირაკლისი-პო ორტეზი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 23.30 | 828 | სპლიტი-ცსკა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 23.30 | 829 | კრკა-ოსტენდე | 1,25 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 830 | ვილერბანი-პანათინაიკოსი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 23.30 | 831 | სკავოლინი-ბაიერი | 1,25 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 832 | ალბა-სიენა | 1,45 | 12,0 | 1,8 |
| 23.30 | 833 | პარტიზანი-მაკაბი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

### ჰოკეი

13 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 901 | ფილადელფია-სენტ ლუისი | 1,85 | 4,0 | 2,4 |
| 04.00 | 902 | ვაშინგტონი-ანაჰაიმი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.30 | 903 | ტამპა ბეი-ედმონტონი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 04.30 | 904 | დეტროიტი-ვანკუვერი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 05.30 | 905 | ჩიკაგო-დალასი | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 06.00 | 906 | კოლორადო-ნიუ ჯერსი | 1,6 | 4,0 | 3,0 |

14 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 907 | ოტავა-ატლანტა | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 04.00 | 908 | კაროლინა-მონრეალი | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 04.00 | 909 | კოლუმბუსი-კალგარი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 910 | ტორონტო-ანაჰაიმი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 04.30 | 911 | პიტსბურგი-აილენდერსი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.30 | 912 | ფლორიდა-ედმონტონი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 05.00 | 913 | ბუფალო-რეინჯერსი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 05.00 | 914 | მინესოტა-სენტ ლუისი | 2,4 | 4,0 | 1,85 |
| 06.00 | 915 | ფინიქსი-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 07.30 | 916 | სან ხოსე-ლოს ანჯელესი | 1,75 | 4,0 | 2,6 |

15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 917 | ბოსტონი-ვანკუვერი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 918 | ფილადელფია-მინესოტა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 919 | ვაშინგტონი-კაროლინა | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 04.30 | 920 | ტამპა ბეი-ტორონტო | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 04.30 | 921 | დეტროიტი-კალგარი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 05.30 | 922 | ჩიკაგო-ნეშვილი | 1,85 | 4,0 | 2,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი

# შენგელიასგან ქულებს ელიან

## აზოტის ცენტრმა ძველი დრო გაიხსენა

11 მარტი. ვერის ბაღი

**სტუ 96:89 თსუ**

25:20, 24:20, 27:21, 20:28

**სტუ:** ბ. ბერიშვილი (6), ხოშტარია (29), ჩუბინიძე (10), ოთიურიძე (12), მინაშვილი (10); კორძაძე (11), მარხვაშვილი (10), კეიდია (4), სულაძე, მდივანი (4), მიქაძე

**თსუ:** დ. ბერიშვილი (9), ი. ბერიშვილი (14), გ. მარკოიშვილი (17), ახალკაცი (27), მაჭარაძე (8); ხეცურიანი (14), ზანგურაშვილი, სანიკიძე

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

11 მარტი. ვერის ბაღი

**აზოტი 70:61 შევარდენი**

23:15, 12:15, 17:16, 18:15

**აზოტი:** აბზიანიძე (3), გოგობერიშვილი (17), ტურაშვილი (9), ბაბიაშვილი (9), შენგელია (16); გაბისონია (3), ბერუაშვილი (5), ჩაჩუა (6), დანელიანი, მიქიაშვილი (2), ჯიმშელეიშვილი

**შევარდენი:** ნ. ნოზაძე (3), გ. ჩხეიძე (8), კაზანჯიანი (18), გოგუა (6), სუხიშვილი (8); გულხადარაშვილი, გიგაური (2), ალავიძე (9), ნუცუბიძე (5), გელაშვილი (2)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**როლანდ ლაზურიძე**

**ერთპიროვნულ** ლიდერ „ბასკოს" მეზობლად მოფუსფუსე „აზოტსა" და სტუ-ს კვირას გამართულ შეხვედრებში ოთხეულს მიღმა მყოფი გუნდების დამარცხება არ გასჭირვებიათ.

რადგან თსუ-მ სამი წამყვანი კალათბურთელი — მაისურაძე, არსიაშვილი და ვეფხვაძე მოისაკლისა, სტუდენტურ დერბიში ისედაც ფავორიტად მიჩნეული სტუ-ს შანსები კიდევ უფრო გაიზარდა. არც ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი გასულა მოედანზე სრული შემადგენლობით. მას ტრავმირებული ლოსაბერიძე ვერ ეხმარებოდა, მაგრამ სათამაშო კლასთან ერთად წლეულს სტუ გრძელი სკამითაც სჯობნის ტრადიციულ მეტოქეს.



სტუ — თსუ. გოდერძი კორძაძე (№5) სთუ-ელი გიორგი მაყოშვილის წინააღმდეგ

[illegible] ფოტო

პირველ მეოთხედში ორივე გუნდიდან ცენტრები გამოირჩნენ. სტუ ჯერ მინაშვილმა დააწინაურა საჯარიმოებით, შემდეგ კი სამქულიანი სროლით ოთიურიძემ ხუთამდე გაზარდა ანგარიში — 5:0. თსუ მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდა. ჯერ ახალკაცმა დააგვირგვინა ორი შეტევა და მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, 4:5, შემდეგ კი მაჭარაძეს გაუმართლა და ერთბაშად სამი ქულით (2 ქულა პლუს ერთი საჯარიმო) შეეწია თანაგუნდელებს. ამრიგად, მდევრის როლში მყოფი თსუ წინ გაიჭრა — 7:5. ახლა სტუ-მ იუკადრისა მაჩანჩალობა და სულ რაღაც 15 წამში ჩუბინიძემ საჯარიმოებით გაათანაბრა — 7:7. შესანიშნავად მოთამაშე მინაშვილმა კი სტუ ისევ დააწინაურა 11:7. თსუ-ს ხელმძღვანელობამ დროული წუთშესვენებაც აიღო, სათამაშო ტაქტიკაც შეცვალა, მაგრამ წინ გასვლაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მეტოქეს ვერც კი წამოეწია.

ბოლო მეოთხედის წინ ანგარიშში სხვაობამ სტუ-ს სასარგებლოდ თხუთმეტ ქულას მიაღწია — 76:61. შეიძლებოდა, იგი უფრო დიდიც ყოფილიყო, მაგრამ რადგან შესუსტებული შემადგენლობით მოასპარეზე თსუ ამ მატჩის მომგები არ იყო, მეტოქემ ძალების დაზოგვა გადაწყვიტა და მოედანზე, ძირითადად სათადარიგოებს უხმო. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო თსუ-მ ანგარიშის შემცირება და დიდი სხვაობით წაგებას გადაურჩა.

დაახლოებით ანალოგიური სიტუაცია იყო „აზოტი" — „შევარდენის" შეხვედრაში. ვიცე-ჩემპიონებს ირაკლი ჯაფარიძე და ნუგზარ კოკოლიშვილი აკლდათ. „შევარდენმა" კი, რომელიც ჯერ კიდევ ხარობს ექვსეულში მოხვედრით, გამოცდილი ცენტრი ლევან ქევხიშვილი მოისაკლისა. ალბათ, ამით შეიძლება აიხსნას საავიაციოქარხნელთა სასტარტო ხუთეულში მოთამაშე მწვრთნელის, ვასილ გოგუას გამოჩენა.

დაახლოებით ორწუთნახევარი ბურთი კალათში არ ჩასულა. საბოლოოდ იგი მოთამაშე მწვრთნელმა დაიმორჩილა და „შევარდენიც" დაწინაურდა — 2:0. „აზოტმა" მალე გაათანაბრა, მაგრამ მეტოქე უპირატესობას არ თმობდა. ზუსტად 5 წუთის განმავლობაში შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. დაახლოებით ერთი წუთის შემდეგ კი უკვე 16:9 იყო რუსთაველთა სასარგებლოდ. ამით „აზოტმა" მეტოქეს აგრძნობინა, რომ სათამაშო კლასიდან გამომდინარე, მისი წინააღმდეგობა მოჩვენებითი იყო და მეტი არაფერი.

ექსპერიმენტებით გართულ „აზოტს" მესამე მეოთხედის დასაწყისში „შევარდენი" წამოეწია და გაუსწრო კიდეც ნიკოლოზ ნოზაძის ზუსტად შესრულებული სამქულიანის შემდეგ, მაგრამ ესეც რომ მოჩვენებითი და დროებითი იყო, მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაამტკიცა. „აზოტს" მორიგი გამარჯვების მოპოვება არ გასჭირვებია და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ფინალში გასვლის ერთ-ერთი რეალური კანდიდანტია.

12 მარტი. ვერის ბაღი

**თსუ 88:90 აზოტი**

26:15, 13:24, 13:24, 36:27

**თსუ:** დ. ბერიშვილი (19), ი. ბერიშვილი (23), გ. მარკოიშვილი (11), ახალკაცი (24), მაჭარაძე (2); ხეცურიანი (5), ვეფხვაძე, სანიკიძე (4)

**აზოტი:** ა. ფლენტი (19), ტურაშვილი (4), გოგობერიშვილი (24), ბერუაშვილი (10), შენგელია (16); გაბისონია, ჩაჩუა (5), კოკოლიშვილი (12)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

12 მარტი. ვერის ბაღი

**მაკაბი 89:74 სტუ**

20:22, 27:16, 22:15, 20:21

**მაკაბი:** წოწელია (20), შანიძე (27), სარიშვილი (11), ტუჯანი (4), დაჩუმი (25); ანდღულაძე, ქოქოსაძე, ჯანელიძე, კრიხელი (2), ფიცხელაური

**სტუ:** ხოშტარია (2), მიქაძე (7), ჩუბინიძე (8), ოთიურიძე (4), მინაშვილი (24); ბ. ბერიშვილი (17), კორძაძე (7), მარხვაშვილი (4), კეიდია, სულაძე (1), მდივანი

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

10 მარტი. ვერის ბაღი

**მაკაბი 86:78 შევარდენი**

23:21, 19:21, 23:16, 21:20

**მაკაბი:** წოწელია (23), ანდღულაძე (8), შანიძე (12), ტუჯანი (25), დაჩუმი (11); სარიშვილი (7)

**შევარდენი:** ნ. ნოზაძე (8), გ. ჩხეიძე (17), გიგაური (6), სუხიშვილი (24), ქევხიშვილი (10); კაზანჯიანი (10), ნუცუბიძე, გელაშვილი (3)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

10 მარტი. ვერის ბაღი

**სტუ 78:93 აზოტი**

16:22, 15:21, 24:22, 23:28

**სტუ:** ხოშტარია (26), დავითულიანი (4), კეიდია (13), ჩუბინიძე (7), კორძაძე (2); ბ. ბერიშვილი (3), მარხვაშვილი (2), სულაძე, ოთიურიძე (4), მდივანი (2), მინაშვილი (15), მიქაძე

**აზოტი:** ა. ფლენტი (13), გაბისონია (1), გოგობერიშვილი (20), ბაბიაშვილი, შენგელია (22); ბერუაშვილი (14), ჩაჩუა, ტურაშვილი ([illegible]), ჯაფარიძე (15)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**გიორგი ბიკაშვილი**

**ამ** გუნდების შესაძლებლობებს თუ გადავხედავთ, წესითა და რიგით რუსთავის „აზოტს" თსუ-ს დამარცხება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ საბოლოო შედეგი ცხადყოფს, რომ ვიცე-ჩემპიონს მორიგი ორი ქულის მოპოვება დიდი ძალისხმევის ფასად დაუჯდა. მიზეზი უბრალოა: საკუთარ ძალებში ზედმეტად დაჯერებულმა „აზოტმა" მოწინააღმდეგე არად ჩააგდო და მარცხის საფრთხე რომ იყნოსა, ფხა მერედა გამოიღო. სხვათა შორის, ამ შეხვედრამ საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ყურადღებაც მიიპყრო და ამ თუ სხვა მიზეზით ფავორიტად მიჩნეული „აზოტი" ყველაფერს აკეთებდა, სიტუაცია გაემწვავებინა, რათა ტელემაყურებელთათვის მატჩი თვალსასეირო სანახავი ყოფილიყო.

ეს, რა თქმა უნდა, ვარაუდია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სირენამდე 01.23 წუთით ადრე 11 ქულით წინ მყოფმა „აზოტმა" „მოახერხა" და მეტოქეს სხვაობის მინიმალურამდე შემცირების საშუალება მისცა. საბოლოო ჯამში მაინც „აზოტმა" მოიგო და ოთხეულზე მეოცნებე თსუ-ს იქ შეღწევის შანსი მიზერულად უქცია.

აი, „მაკაბიმ" კი მართლაც ღირსეულად მოუგო გუშინ სტუ-ს. თანაბარი პირველი ათწუთეულის შემდეგ „მაკაბი" ერთიორად გონივრულად ამოქმედდა და შედეგიც მოიმკა — გამარჯვებულის ვინაობა მესამე მეოთხედის დასაწყისშივე ცხადი იყო...




☎ (231) 7 17 58

# ქუთაისში

# იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.

საცხოვრებელი ფართი 250 მ².

დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"


**გიორგი ბიკაშვილი**

**შაბათი** დღის სტუ — „აზოტი" ერთგვარად სავარაუდო ნახევარფინალის გენერალური რეპეტიციაც გახლდათ. ეს გუნდები სატურნირო ცხრილში მყარად მოკალათებულან მეორე და მესამე ადგილებზე და თითქმის გადაწყვეტილია, რომ ფინალის გზაზეც ერთმანეთს შეეტოქებიან. მატჩის შედეგი საერთო სურათს დიდად ვერ შეცვლიდა, მაგრამ გუნდებს უამისოდაც საკმარისი მოტივაცია გააჩნდათ — გადამწყვეტი შეხვედრებისთვის ექვსეულის თამაშებში მოგებული კარგ ფსიქოლოგიურ განწყობას შეიქნიდა.

ეს ფაქტორი მეტოქეთათვის სამყოფ სტიმულად ვერ იქცა. სანერვიულოდ არც ერთ გუნდს ჰქონდა საქმე და შეხვედრაც მძიმედ დაიწყო. დებიუტში სოლიდურად დაწინაურება ვერცერთმა მოახერხა და უმეტესად მეტოქეთა თანაბარძალიანობას იუწყებოდა ტაბლო, მოგვიანებით კი „აზოტმა" უპირატესობა იგდო ხელთ, რაც კარგი დაცვითი თამაშით მოახერხა. პირველი ათწუთეულის ბოლო წუთზე რუსთაველი გუნდი 6 ქულით წინ გავიდა.

მცირე შესვენების შემდეგ ხმელიძის გუნდმა კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერობა. ორჯერ მამუკა ტურაშვილმა ივარგა შორიდან, ერთხელ მიხეილ ბერუაშვილმაც დალაშქრა სამქულიანით მოწინააღმდეგის კალათი, ირაკლი ჯაფარიძის ეფექტური ჩატენვის შემდეგ კი სხვაობამ თხუთმეტ ქულას უწია — 33:18.

ვიცე-ჩემპიონთა წინააღმდეგ სტუ-ს არაფერი გამოსდიოდა, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა მდგომარეობის გამოსწორების მიზნით შეცვლებს უხშირა, მაგრამ ამას სახეირო არაფერი მოუტანია სტუდენტებისთვის, ხმელიძის სამწყსო კვლავაც ორგანიზებულად განაგრძობდა ქმედებას.

საინტერესო დაპირისპირების მომლოდინე ქომაგთ თამაშზე გული ასცრუებოდათ, როცა სტუ-ს ლიდერმა ირაკლი ხოშტარიამ გამოაჩინა ბრჭყალები. მეორე ტაიმში ხოშტარია ეშხში შევიდა და პარტნიორების აყოლებაც შეძლო. სწორედ ამ კალათბურთელის ძალისხმევით მოახერხა სტუ-მ სხვაობის ექვს ქულამდე შემცირება — 41:47.

აქ კი „აზოტის" ცენტრი კახა შენგელია ათამაშდა კარგად. მან ორივე ფარი დაიპყრო და მეტოქისთვის შეუჩერებელი შეიქნა. რუსთაველებმაც, ცხადია, იშტაზე მოსულ შენგელიაზე ააწყვეს თამაში და ამით გვარიანი სარგებელიც ნახეს — კახა ყველა ორთაბრძოლაში გამარჯვებული გამოდიოდა და სტუ-ს წამოწევის ყველანაირ შანსს უსპობდა.

ნუგზარ ჭეიშვილის გუნდმა მეოთხე ათწუთეულში კიდევ ერთხელ მოინდომა, მაგრამ ამჯერადაც ამაოდ. „აზოტმა" გოგობერიშვილის, შენგელიასა და ბერუაშვილის გონივრული ქმედების წყალობით სირენამდე კარგა ხნით ადრე აალებინა ბრძოლაზე ხელი მოწინააღმდეგეს.

უმთავარმწვრთნელო და უმოტივაციო „შევარდენი" მედგრად დაუხვდა „მაკაბის". ოთხეულზე დაგეშილ მაკაბელებს ამ გუნდთან წაფორხილება შესაძლოა, ძალიან ძვირად დასჯდომოდათ, ამიტომ „შევარდენის" დასამარცხებლად ყველა ხერხი უნდა ეხმარათ.

შეხვედრის დიდი ნაწილი ქალაქულაში წარიმართა და შესვენებაზეც მშვიდობიანად დაშორდნენ მეტოქეები ერთმანეთს, მერე და მერე კი „მაკაბიმ" კერკეტ მოწინააღმდეგეს გასალები მოარგო და მესამე ათწუთეულის მიწურულს სასურველი უპირატესობა დაიბევა. „შევარდენის" დიდი მცდელობის მიუხედავად, „მაკაბის" მატჩის სადავეები ბოლომდე აღარ გაუშვია ხელიდან...

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 24 | 19 | 5 | 2022:1765 | 43 |
| ბასკო | 21 | 21 | 0 | 2110:1547 | 42 |
| სტუ-ჯეოსელი | 23 | 16 | 7 | 2142:1988 | 39 |
| მაკაბი | 22 | 12 | 10 | 1935:1830 | 34 |
| თსუ | 24 | 9 | 15 | 2058:2200 | 33 |
| შევარდენი | 24 | 7 | 17 | 1796:1954 | 30 |

*შევარდენს დაკლებული აქვს 1 ქულა*

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ოვერტაიმი: მწუხარე დრო ლეიკერსისთვის

9 მარტი

**ნიუ ჯერსი 96:83 ნიუ იორკი**

ნიუ ჯერსი: მარბერი (12 ქულა, 12 პასი), ნიუმენი (18), ვან ჰორნი (20 ქულა, 11 მოხსნა), მარტინი (14 ქულა, 12 მოხსნა), ეშმეიერი (8); ს. ჯეკსონი (13), ვილიამსი (9), დუგლასი (2)

ნიუ იორკი: მ. ჯეკსონი (5), ჰიუსტონი (23), სპრიუელი (16), ტომასი (7 ქულა, 11 მოხსნა), კემბი (17 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება); რაისი (6), ვორდი (4), ჰარინგტონი (2), ჰოსტელი (2), სპენსერი (1)

10 მარტი

**ვაშინგტონი 107:101 ნიუ ჯერსი**

ვაშინგტონი: დევისი (13), რიჩმონდი (21), ჰამილტონი (25), სმიტი (4 ქულა, 10 მოხსნა), ვაიტი (8 ქულა, 6 დაფარება); ლეიტნერი (26 ქულა, 11 მოხსნა), ვენტერპოლი (6), ალექსანდერი (3), ჯონსი (1)

ნიუ ჯერსი: მარბერი (20 ქულა, 12 პასი), ნიუმენი (12 ქულა, 11 მოხსნა), ვან ჰორნი (18), მარტინი (21), ეშმეიერი (6); ვილიამსი (12), დუგლასი (9), ჯეკსონი (3), სამაკე

მთელს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში არ მოიძებნება გუნდი, რომელიც ტრავმებმა „ნიუ ჯერსი ნეთსზე“ მეტად აზარალა. სეზონის განმავლობაში ტრავმამ „ნეთსის“ თითქმის ყველა წევრს მეტ-ნაკლებად გაჰკრა კბილი. აგერ, ჩვენებური ვლადიმერ სტეფანია, მას კარგა ხნის წინ შეახსენა თავი ადრე ნატკენმა მუხლმა, რის გამოც ვოვა პრაქტიკულად გამოეთხოვა მოედანს და თუ გუნდის თორმეტკაცა შემადგენლობაში მყარად ზის, მხოლოდ იმიტომ, რომ „ნეთსს“ მისი ჯანმრთელი შემცვლელი არა ჰყავს. ნამდვილად ვერ ვიტყვით, სტეფანიას და სხვებს რომ არაფერი სტკენოდათ, „ნეთსი“ ყველას დაამარცხებდაო, თუმც ტრავმა ტრავმაა და ფაქტია, მას კარგი შედეგი არ მოაქვს.

ამ უქმეებზე ტრავმამ მორიგი ნიუჯერსელი იმსხვერპლა. გასულ კვირაში წვივი იტკინა „ბადეთა“ ძირითადში მსროლელმა ლუციუს ჰარისმა და „ნეთსის“ დამრიგებელ ბაირონ სკოტს მრისხანე თანაქალაქელ „ნიუ იორკ ნიქსთან“ საომრად 8 სალი მოთამაშეღა შემორჩა. თუმცა „ბადეთა“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არათუ დააფრთხო მძლავრ მეტოქესთან ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელის დაკლებამ, არამედ კიდევ უფრო გაუღვივა ბრძოლის ჟინი და მონდომებას რომ ბევრი შეუძლია, ეს ამ მატჩის შედეგიდანაც სჩანს.

ჰარისის ადგილი სასტარტო ხუთეულში ვეტერანმა ჯონი ნიუმენმა დაიკავა და ოთხი ჯეელი თანამებრძოლის გვერდით თავადაც ახალგაზრდულად გაისარჯა. მასპინძლები თავიდანვე რიხით შეუდგნენ საქმეს და პირველი მეოთხედი 23:22 მოიგეს. აქ თავისიანებს ლამის წყალში ჩაუყარა გარჯა მასპინძელთა ლიდერმა სტივენ მარბერიმ, რომელსაც ამ ბოლო ხანებში ხელი გაუმრუდდა და ბევრ ბურთსაც აცილებს. იმ დღითაც ცუდად ისროდა (15 სროლიდან 10 ააცილა), თუმც რომ შეატყო, სროლა არ მიმდისო, დროულად შეეშვა ამ საქმეს და ბურთის გათამაშებას მიჰყო ხელი. არც თუ ურიგოდ. მისი სწრაფი და ზუსტი გადაცემები იოლად ანგრევდა „ნიუ იორკის“ ქებულ დაცვით ნაგებობას და ნიუმენს ვან ჰორნს და მარტინს ისეთ ადგილას მისდიოდათ მარბერის პასები, არ ჩაგდება ცოდვა იქნებოდა. „ნიუ იორკს“ განსაკუთრებით მეორე მეოთხედში გაუჭირდა, როცა მოედანზე „ნეთსის“ ახალბედა სათადარიგო სტივენ ჯეკსონი გამოჩნდა და მარბერის პასების ზუსტი სროლებით დაგვირგვინებას მიჰყო ხელი. მან მეორე მეოთხედში ათი ქულა მიითვალა. „ნეთსის“ დაცვამაც იყოჩაღა და ტაიმი რომ დამთავრდა, „ნიქსი“ 37:54 აგებდა.

სტუმრები მეორე ნახევარშიღა გამოფხიზლდნენ, თუმც უქმად არც მასპინძლები იყვნენ და მშვიდად მიიყვანეს თამაში სასურველ ფინალამდე.

პარასკევს „ნიუ იორკთან“ მომქანცველმა ჭიდილმა, ცხადია, „ბადეთა“ თამაშის ხარისხს თავისი დაღი დაასვა. ერთი დღის შემდეგ დედაქალაქ ვაშინგტონში ჩასული და იქაურ „ვიზარდსს“ შეჭიდებული „ნიუ ჯერსი“ უკვე სხვა გუნდი იყო. „ბადეები“ „ჯადოქრებსაც“ რვა მოთამაშით შეერკინენ, თუ აფრიკელ აყლაყუდას, სუმაილა სამაკეს მხედველობაში არ მივიღებთ, რომელმაც მოედანზე 4 წუთით შეისეირნა. აქ „ვაშინგტონმა“ იმარჯვა, რომლის ერთ-ერთმა ლიდერმა რიჩარდ ჰამილტონმა სამ წუთში რვა ქულა შესძინა თავის გუნდს.

9 მარტი

**ლეიკერსი 89:93 სან ანტონიო**

(ძირითადი დრო 83:83)

ლეიკერსი: ბრაიანტი (38), ონილი (33 ქულა, 16 მოხსნა)

სან ანტონიო: დანკანი (29 ქულა, 12 მოხსნა), ანდერსონი (21)

**საკრამენტო 110:104 დენვერი**

საკრამენტო: ვებერი (41 ქულა, 12 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (24)

დენვერი: ლენარდი (24), პეკი (22 ქულა, 13 პასი, 8 მოხსნა), ჰოუზი (18), ლაფრენცი (17 ქულა, 14 მოხსნა)

**იუტა 107:95 ფინიქსი**

იუტა: მელოუნი (20 ქულა, 10 მოხსნა), ბენუა (18)

ფინიქსი: მარიონი (24 ქულა, 5 ჩაჭრა), დელკი (21)

**სიეტლი 99:110 ტორონტო**

სიეტლი: ბეიკერი (24), პეიტონი (19), პატერსონი (17)

ტორონტო: კარტერი (32), კლარკი (20), ოკლი (18 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი)

**ვანკუვერი 95:85 პორტლენდი**

ვანკუვერი: აბდურ რაჰიმი (15)

პორტლენდი: ველსი (24)

**დეტროიტი 108:95 ჩიკაგო**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (23), სმიტი (16)

ჩიკაგო: არტესტი (16)

**დალასი 102:73 გოლდენ სტეიტი**

დალასი: ნოვიცკი (32), ბრედლი (12 ქულა, 20 მოხსნა, 5 დაფარება)

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**მაიამი 86:79 მინესოტა**

მაიამი: მეისონი (22 ქულა, 10 მოხსნა), გრანტი (16)

მინესოტა: შჩერბიაკი (19)

**ბოსტონი 104:72 ვაშინგტონი**

ბოსტონი: უოლკერი (24 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), პირსი (21 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი)

ვაშინგტონი: ჰამილტონი (12)

**ინდიანა 99:84 კლივლენდი**

ინდიანა: როუზი (35), მილერი (18), ონილი (16 ქულა, 15 მოხსნა, 7 დაფარება)

კლივლენდი: მილერი (15 ქულა, 11 პასი), მიმი (15)

**ფილადელფია 108:103 ატლანტა**

ფილადელფია: აივერსონი (47), მუტომბო (13 ქულა, 13 მოხსნა, 9 დაფარება)

ატლანტა: ტერი (25 ქულა, 10 პასი), მუჰამედი (18 ქულა, 10 მოხსნა)



ლეიკერსი — სიეტლი. დესმონდ მეისონმა ლეიკერსელ მარკ მადსენს ჩაუტენა

პარასკევს ლოსანჯელესურმა „სტეიპლზ სენთერმა“ დიდ თამაშს უმასპინძლა. ერთმანეთს ორი ბობოლა დაეჭიდა — ჩემპიონი „ლეიკერსი“ და ექსჩემპიონი „სან ანტონიო“. გამარჯვება ამ უკანასკნელს დარჩა, თუმც ამის მისაღწევად ბლომად ოფლი ღვარა ოთხ მეოთხედში და კიდევ დამატებით ხუთწუთეულში. „ლეიკერსი“ ის გუნდი არ არის, ვინმეს რაიმე იოლად დაუთმოს, თანაც საკუთარ კედლებში. შესანიშნავ ფორმაში მყოფმა მასპინძელთა ლიდერებმა — კობი ბრაიანტმა და შაკილ ონილმა სტუმრებს ოთხ მეოთხედში დიდი თავსატეხი გაუჩინეს და ძირითად დროში გამარჯვებამდე ცოტა დააკლდათ. შაკილ ონილი ოდნავ სჯობდა სტუმართა ლიდერს, ტანით მომცრო ტიმ დანკანს, მაგრამ ბოლო მეოთხედში როლები შეიცვალა. სტუმრებმა ონილის გარშემო რკალი შეავიწროვეს და, შეიძლება ითქვას, ამ 145 კილოგრამიან გოლიათს დამატებით დროში ბურთი არც მიუღია. ოდენ ბრაიანტის, რომელმაც ოვერტაიმში „ლეიკერსს“ ექვსივე ქულა პირადად გაუხერხა, იმედად მყოფი მასპინძლები კი ამაოდ ჯახირობდნენ. თავად ბრაიანტიც არ გახლდათ უცოდველი. ოვერტაიმში ექვსი ქულის მოხვეჭასთან ერთად ორჯერ ბურთი მეტოქეს ჩააბარა, ბოლო წამზე კი მნიშვნელოვანი სამიანი ააცილა და თავისიანები მარცხისთვის გაწირა.

ამ წაგებამ ჩემპიონი „ლეიკერსი“ დასავლეთში მეოთხე ადგილამდე დააქვეითა, „სან ანტონიო“ კი ყველა დასავლელს თავში მოექცა. და საერთოდ ამ მხრივ მისისიპის გაღმა კონფერენციაში ერთობ მერყევი სიტუაციაა. აქ გამოიკვეთა 5 გუნდი, რომელთაც ალბათ ველარავინ დაეწევა, თუმც ხუთეულში ვინ იქნება პირველი და ვინ ბოლო, ეს არავინ უწყის. აი, ორი კვირის წინ „პორტლენდი“ თითქოს დამაჯერებლად პირველობდა, მაგრამ დიდი სირცხვილი ჭამა — ჯერ უსახურ „ვანკუვერთან“ შინ წააგო, მერე „სან ანტონიოსთან“. ამ ორ წარუმატებლობას პარასკევს კვლავ „ვანკუვერთან“ ამჯერად გასვლითი მარცხიც მიაყოლა და ხუთეულის ფსკერზე დაეშვა. არადა, „პორტლენდს“ ჩემპიონობა უნდა, ასეთი გუნდი კი „ვანკუვერთან“ ერთ კვირაში ორჯერ არ უნდა აგებდეს.

შესანიშნავი ხუთეულის დანარჩენმა ორმა წევრმა — „იუტამ“ და „საკრამენტომ“ 9 მარტს გამარჯვებები ჩაიწერეს შესაბამის გრაფაში. „საკრამენტო“ ლიდერების, ანტონიო მაკდაიესის და ნიკ ვან ექსელის გარეშე დარჩენილ „დენვერს“ მასპინძლობდა და ყველასგან მოულოდნელად, ძლივძლიობით მოუგო. „დენვერის“ უკანახაზელებმა — ვოშონ ლენარდმა და რობერტ პეკმა სისხლი გაუშრეს „საკრამენტოს“ დაბლებს. ვან ექსელის შემცვლელმა პეკმა სულაც კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და ორი მოხსნა დააკლდა სამმაგ დუბლამდე, მაგრამ უმაკდაიესო „დენვერში“ ვერავინ აღმოჩნდა „საკრამენტოელი“ კრის ვებერის შემჩერებელი და „ნაგითსმა“ ზედიზედ მეხუთედ წააგო.

შედარებით იოლად გაართვა საქმეს თავი „იუტამ“, თუმცა არც მის მეტოქეს, „ფინიქსს“ ეთქმის ჯაბანი. „იუტამ“ გუნდურ თამაშში დაჩაგრა მოწინააღმდეგე და მესამე მეოთხედის შემდეგ 22 ქულით იგებდა.

სულ სხვა ვითარებაა აღმოსავლეთში. აქ „ფილადელფიას“ ღირსეული მეტოქე არა ჰყავს. „სიქსერზსაც“ პლეიოფში პირველ ნომრად განთესვა გარანტირებული აქვს, თუ რაიმე საშინელება არ შეემთხვა. პარასკევს „ფილადელფია“ „ატლანტას“ მასპინძლობდა, რომელთანაც ამ ორიოდ კვირის წინ ვაჭრობა მოაწყო და ოთხი კალათბურთელის სანაცვლოდ იქიდან კონგოელი ცენტრი, დიკემბე მუტომბო გადმოიყვანა. ყოფილ თავისიანებთან შეხვედრა აფრიკელ გიგანტზე ისე იმოქმედა, როგორც გავეშებულ ხარზე წითელმა ნაჭერმა. მუტომბო ატლანტელებს გამძვინვარებული დაერია და 13-13 ქულა-მოხსნის გაკეთებასთან ერთად იმდენი უფარა მეგობრებს (თავად თქვა ჩვენ მაინც მეგობრებად ვრჩებითო), ლამის უიშვიათესი სამმაგი დუბლი შეასრულა. ჯორჯიელთა მთავარი დამწიოკებელი კი, ცხადია, ალენ აივერსონი გახლდათ, რომელმაც ვინ მოთვლის, სეზონში მერამდენედ უწია 40-ქულიან ზღვარს.

10 მარტი

**შარლოტი 100:90 მილუოკი**

შარლოტი: რობინსონი (20), ვესლი (17), მაშბურნი (15 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი)

მილუოკი: ალენი (32), რობინსონი (21 ქულა, 10 მოხსნა)

**ატლანტა 93:90 ჩიკაგო**

ატლანტა: ტერი (19), გლოვერი (17), კუკოჩი (16)

ჩიკაგო: ბრენდი (20), არტესტი (20)

**ორლანდო 105:93 მინესოტა**

ორლანდო: მაკგრეიდი (33), არმსტრონგი (17)

მინესოტა: გარნეტი (21 ქულა, 15 მოხსნა), პილერი (18), შჩერბიაკი (16 ქულა, 12 მოხსნა)

**ჰიუსტონი 86:81 გოლდენ სტეიტი**

ჰიუსტონი: ფრენსისი (24 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი, 5 ჩაჭრა)

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (34)

პარასკევს ნაჯაფარმა ბობოლებმა შაბათს დაისვენეს და სარბიელი წვრილფეხობას დაუთმეს. 10 მარტს მოწინავე ლეგიონის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი, „მილუოკი“ თამაშობდა, და თან ისე უხეიროდ, საქმეში ჩაუხედავი კაცი ცხრილის თავში კი არა, ფსკერზე მიუჩენდა ადგილს. „შარლოტს“ ნასტუმრები ცენტრალური დივიზიონის ლიდერი იქაურ „ჰორნეთსთან“ ამაოდ ჯახირობდა. შარლოტში არ უყვართ „მილუოკი“, რადგან იგი პირველია, მათი ჯილა „ჰორნეთსი“ კი მხოლოდ მისი მდევარი, ამიტომაც „მილუოკის“ ერთობ მძიმე ატმოსფეროში მოუხდა თამაში და მართალია, პირველ მეოთხედს იგებდა, მაგრამ მერე თანდათან ჩამორჩა მეტოქეს და წააგო კიდეც, რამაც დარბაზში თავმოყრილი თითქმის ორი ათეული ათასი კაცი ერთობ გაახარა.

სიხარულმა დაისადგურა ჯორჯიაშიც, სადაც იქაურმა „ატლანტა ჰოქსმა“, როგორც იქნა, იზეიმა ესოდენ ნანატრი გამარჯვება, რომელსაც აგერ 11 თამაში ელოდა. „ქორებს“ იქნებ კიდევ გაეგრძელებინათ უიღბლო სერია, უხეირო „ჩიკაგო ბულზს“ რომ არ გადაყროდნენ, მასთან კი გამოაჩინეს კლანჭები. ოდესღაც „ხარმა“, აწ კი „ქორმა“ ტონი კუკოჩმა ყოფილ გუნდს 16 ქულა ჩაუგდო.

11 მარტი

**ლეიკერსი 97:109 სიეტლი**

(ძირითადი დრო 93:93)

ლეიკერსი: ონილი (29), ფოქსი (18)

სიეტლი: პეიტონი (21 ქულა, 11 პასი), ლუისი (21), ბერი (20), ბეიკერი (17)

**ნიუ იორკი 86:83 მაიამი**

ნიუ იორკი: ტომასი (16 ქულა, 14 მოხსნა), სპრიუელი (16)

მაიამი: გრანტი (22 ქულა, 12 მოხსნა), ჰარდევეი (17)

**დალასი 111:93 კლიპერსი**

დალასი: ნოვიცკი (22), ჰოვარდი (20 ქულა, 10 მოხსნა)

კლიპერსი: რიჩარდსონი (15)

**ფინიქსი 94:92 ჰიუსტონი**

ფინიქსი: კიდი (19 ქულა, 16 პასი, 8 მოხსნა), მარიონი (17), რობინსონი (17)

ჰიუსტონი: ფრენსისი (22 ქულა, 14 მოხსნა), მობლი (21), ტეილორი (20)

**კლივლენდი 124:110 მილუოკი**

კლივლენდი: პერსონი (24), მილერი (19 ქულა, 13 პასი, 7 მოხსნა)

მილუოკი: რობინსონი (32), ალენი (29), კასელი (20 ქულა, 13 პასი)

**დეტროიტი 95:78 ინდიანა**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (30), ვილიამსონი (26)

ინდიანა: ჰარინგტონი (17)

**ბოსტონი 91:97 ფილადელფია**

ბოსტონი: პირსი (24), უოლკერი (21)

ფილადელფია: სნოუ (19 ქულა, 10 პასი), მუტომბო (18 ქულა, 22 მოხსნა)

**ვანკუვერი 84:101 ტორონტო**

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (17)

ტორონტო: კარტერი (25)

**საკრამენტო 105:90 იუტა**

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (31), ვებერი (26)

იუტა: სტარქსი (21), მელოუნი (20), მენინგი (20)

„ლეიკერსს“ არც ამჯერად გაუმართლა, კვლავ წააგო შინაურ კედლებში და ამჯერადაც ოვერტაიმში. „სიეტლს“, რომელიც წლეულს სადაც შეხვდა, ყველგან მოუგო ჩემპიონს, მეტად წაადგა მასპინძელთა პირველი მექულის, კობი ბრაიანტის არყოფნა. მან „სან ანტონიოსთან“ მცირე ტრავმა მიიღო. „ლეიკერსის“ მეორე ლიდერ შაკილ ონილს კი სტუმრებმა ძირითად დროშივე 6 პერსონალური მიაღებინეს და თამაშიდან გაისტუმრეს. უთავოდ დარჩენილმა ჩემპიონმა ისღა მოახერხა, რომ შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანა, იქ კი პირწმინდად წააგო თამაში.

ორი დღის წინ „ნიუ ჯერსისთან“ მარცხნაჭამი „ნიუ იორკი“ კვირას მოსისხლე „მაიამის“ მასპინძლობდა და პირველი მეოთხედის შემდეგ 19 ქულის სხვაობით (!) აგებდა, თუმც მომდევნო ორი მეოთხედი 44:23 მოუგო დაარხეინებულ მეტოქეს და საბოლოოდ გამარჯვებასაც მიაღწია.

შარლოტში დამარცხებული „მილუოკი“ ღრმად იყო დარწმუნებული, რომ კლივლენდში გაიმარჯვებდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, „კლივლენდმა“, რომელსაც აგერ 7 თამაშია, არ გაეხარა, მწარე ალიყური აჭამა თავდაჯერებულ მეტოქეს და 124 ქულა დაატეხა თავს. ამ სეზონში არც „კლივლენდს“ დაუგროვებია ერთ თამაშში ამდენი ქულა და არც „მილუოკი“ გაუნადგურებია ვინმეს ამგვარად.

**ირაკლი ფირცხალავა**

მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატი. ლისაბონი (პორტუგალია). 9-11 მარტი

# ოლიმპიურ ჩემპიონებს დარბაზში სუნთქვა შეეკრათ

## შავი და თეთრი თვალმა ვერ გაარჩია






ჰიშამ ელ გურუჯმა და ჰასნა ბენჰასიმ ლისაბონში მაროკო ასახელეს

**პარასკევს** ლისაბონში მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატი დაიწყო. თავის საქმეს მოჰკიდეს ხელი ყველა ჯურის მორბენალებმა, მხტომელებმა, მკვრელებმა, მტყორცნელებმა და ჩინოვნიკებმა. ეს უკანასკნელნი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) ეგიდით მავან სააქტო დარბაზში გუშინწინ მოგროვდნენ და გადაწყვიტეს:

1. კროსის მსოფლიოს ჩემპიონატი 2002 წელს დუბლინში გაიმართება, მერე კი ლოზანაში, ბრიუსელსა და ფრანგულ ლე მანში;

2. „იააფ-ის გრან პრის" 2002 წლის ფინალი პარიზში შედგება;

3. 2003 წელს ნახევარმარათონის მსოფლიოს პირველობას პორტუგალიური ვილამურა უმასპინძლებს;

4. იმავე წლის ახალგაზრდული მსოფლიოს პირველობის სარბიელი კანადური შერბრუკი იქნება.

იააფ-ის ხალხი სხვა საჭირბოროტო საკითხებზე გუშინ და დღესაც ითათბირებდა, სპორტსმენებმა კი სამ დღეში მოილიეს თავიანთი საქმე და კვირას, ლისაბონის დროით 19 საათზე, ადგილობრივი სამძლეოსნო სარბიელის ტრიბუნები დაცარიელდა.

მაყურებელი პარასკევს ცოტა იყო, როცა ჩემპიონატის ძირითადი დრო წინასწარმა ეტაპებმა წაიღო და მხოლოდ 5 დისციპლინის ფინალი შედგა. მათგან ორში სიდნეის ოლიმპიური ჩემპიონები გამოდიოდნენ და სირცხვილი ჭამეს. სტეისი დრაგილამ 4,43 მეტრი ვერაფრით დაიმორჩილა, როცა ორიოდე დღით ადრე მსუბუქად მოთელვისას 4,70-ს გადავლებია. წესით მისი კუთვნილი დაფნის გვირგვინი ჩეხმა პავლა ჰამაჩკოვამ დაიდგა. მისგან დაძლეულ 4,56-ს ეპოტინებოდა რუსი სვეტლანა ფეოფანოვა, მაგრამ მხოლოდ კინაღამ დასძლია, ამიტომ მეორე ადგილზე დარჩა. იქით შვიდკილოიან ბირთვებს ვაჟკაცები ჰკრავდნენ და ყველამ თითო რომ ჰკრა, ადამ ნელსონის უპირატესობა 20,72 მეტრში გამოიხატა. ჯონ გოდინას შედეგი 20,17 იყო. შემდეგ ეს უკანასკნელი წამოიქაჩა, ჯერ ნელსონს დაეწია, ხოლო ბოლო რაუნდში მისი ბირთვი 20 მეტრსა და 82 სანტიმეტრის იქით დაენარცხა მიწას და ამერიკელმაც კარიერაში ყველაზე დიდი დარბაზული გამარჯვება მოიპოვა. „კოხტად გამომივიდა — თქვა გოდინამ შემდეგ — ბრინჯაო, ვერცხლი და ოქრო". განვმარტავთ: 1997 წლის მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატზე გოდინა მესამე იყო, 99-ში — მეორე, ხოლო ნელსონზე იმას შევახსენებთ, რომ იგი სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონია, მანამდე კი, ამერიკის ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირზე უძლეველად მიჩნეულ სი ჯეი ჰანტერს აჯობა.

მაგრამ ლისაბონში ოლიმპიური ჩემპიონების ადგილი არ იყო. ნახსენები ორის გარდა დარბაზში ყოფნა ვერ იგუეს ნოა ნგენიმ, ანიერ გარსიამ, ოლგა შიშიგინამ, ჯონათან ედვარდსმა, გაბრიელა საბომ... შაბათს, მაგალითად, ნოა ნგენის უშნო სირბილს ბოლომდე არავინ ელოდა. ეს კენიელი იყო პირველი, ვისაც მოსწყინდა 1500 მეტრის ფინალში ნელი ტემპით დაწყებული რბოლა და სიტუაცია გამოაცოცხლა. „მე და მაყურებელი მუნძულს ვერ ვიტანთ — იტყვის ნგენი რბენის შემდგომ — ამიტომაც მოვუჩქარე თავიდან". კენიელს მცირე ხნით ეჭირა პირველი ადგილი, მას მალე ესპანელმა ხუან კარლოს იგუერომ გაუსწრო და თვისტომთა ხმაურის თანხლებით (ტრიბუნებზე ბევრი ესპანელი იყო) ბეჯითად გაქუსლა ფინიშისკენ. შემდეგ ხელახლა ნგენი დაწინაურდა, ოღონდ მას ფეხდაფეხ მიჰყვნენ მასპინძელი რუი სილვა და ესპანელი რეიეს ესტევესი. პირველმა კენიელს ესტევესმა გაუსწრო (ფინიშამდე 300 მეტრით ადრე), მერე — სილვამაც. პირინეელთა დასკვნითი სპრინტი სილვასი გამოდგა. პორტუგალიელმა დისტანცია 3:51,06-ით დაასრულა, რაც მსოფლიოს ჭერქვეშა პირველობების გამარჯვებულთა ანტირეკორდი გახლავთ. თუმცა სილვასა და მისი ხმაურიანი ფანების ემოციებს რომ სტატისტიკური მონაცემი ვერ დააოკებდა, ცხადია. მართლა დიდი ოვაციები იყო.

ახლა ქალთა 3000 მეტრი. ადგილობრივი დროით 17:05-ზე ირბინეს ვაჟებმა და 15 წუთში გაბრიელა საბო, სონია ოსალივანი და სხვები დადგნენ ჭრელად შეღებილი სარბენი ბილიკების სათავეებთან. ოსალივანს საათნახევრით ადრე 1500 მეტრის საკვალიფიკაციო ეტაპი ერბინა და ერთბაშად ორ კურდღელზე მონადირე ხახამშრალი დარჩა. ირლანდიელს იმის იმედი ჰქონდა, რბოლები ნელ ტემპში, ტაქტიკურად ჩაივლის და თავის გადატვირთვა შემრჩებაო, მაგრამ 3 კილომეტრის პირველსავე მეტრებზე საბომ ცხადყო, რომ დისტანციის ინტელექტით კი არა, ფეხებით მოგებას აპირებდა. იგი თავიდანვე წინ გავარდა და ისე ჩანდა, რომ ბუდაპეშტის ევროპირველობის ისტორია განმეორდებოდა, როცა რუმინელმა მთელი კილომეტრები ერთი ამოსუნთქვით გალია, მაგრამ ლისაბონში სხვები გამოჩნდნენ. იმ დროს, როცა ოსალივანმა ბოლო ადგილზე გადაინაცვლა, საბოს ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ რუსები — ოლგა ეგოროვა და ელენა ზადოროჟნაია. ისინი ტიტულებს არ ფლობენ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ძირითადად ის იმარჯვებს ხოლმე, ვინც კონკრეტულ მომენტში საუკეთესო ფორმაშია, ხოლო ზემოხსენებული რუსები გასული წლის ზაფხულიდან მხოლოდ ალმა მიდიან. ზაფხულში ეგოროვამ სტოკჰოლმის ტურნირზე ეთიოპიელებს, გეტე ვამისა და დერარტუ ტულუს 5000 მეტრი მოუგო, 25 თებერვალს ორივე რუსი იოკოჰამაში გამოვიდა დიდებულად, ახლა კი აგერ, ეგოროვამ თვით საბო დაამარცხა. რუსებმა ფინიშამდე ორი წრით ადრე მოუჩქარეს და ეგოროვამ რუმინელ ვარსკვლავს წამზე მეტით აჯობა. ზადოროჟნაია მესამე იყო. ამ დროს ბოლოში მოჩანჩალებდნენ განთქმული ოსალივანი და რეგინა ჯეკობსი, რომელთაც ძირითად ჯგუფთან კავშირი კარგა ხნის წინ დაეკარგათ და იმას არკვევდნენ, სულ ბოლო რომელი იქნებაო. ოსალივანმა „იძალა" და ეს პატივი ჯეკობსს ერგო, სამაგიეროდ, ირლანდიელმა სხვაგან დაიმსახურა ბოლო ადგილი, კერძოდ, 1500 მეტრზე, სადაც გზის ნახევარი პირველმა ამოწურა და მერე გულამოვარდნილი ლამის გაჩერდა. მაგრამ ეს კვირას იყო, ჩვენ კი შაბათის იმ მომენტზე შევჩერდით, როცა 3000 მეტრგარბენილი ქალები სულს იბრუნებდნენ.

„სულ ერთი ხომ არ მოიგებს" — შენიშნა ნაწყენმა საბომ, როცა მასმედიამ მისგან მოულოდნელი მარცხის კომენტარი ითხოვა. გამარჯვებული უფრო თავმდაბალი იყო, პირველ ადგილს არ ვგეგმავდი, მხოლოდ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმის ნახვა მსურდაო. ეგოროვამ ტიტულთან ერთად 40 ათასი დოლარიც მიიღო.

10 მარტს საყურადღებო კიდევ ქალთა და ვაჟთა 200 მეტრიანი გარბენები იყო. ღია ცისქვეშ 400 მეტრია სრული წრე, დარბაზში კი სწორედ 200, ამიტომ მეორე შემთხვევაში მძლეოსანს მოსახვევებში ქცევის წესების ცოდნა მეტად მოეთხოვება. მეტია ტრავმის ალბათობაც. ალბათ ამ მიზეზით სპრინტის ელიტა ჭერქვეშა ტურნირებს ჩვეულებრივ თავს არიდებს. მორის გრინის, მაიკლ ჯონსონისა და მარიონ ჯონსის ტიპის გვარ-სახელები ლისაბონში ჩასულთა სიაში ვერსად დავლანდეთ, მაშინ, როცა სტაიერი ვარსკვლავები ბლომად იყვნენ. ამიტომ 200 მეტრის გამარჯვებულები ამერიკელი შონ კროუფორდი და იამაიკელი ჯულიეტ კემპბელი გახდნენ. ცნობილი მძლეოსნები არიან, მაგრამ არა უცნობილესი... იგივეს ვიტყვით 60 მეტრიანი გარბენების შესახებ, რომელიც დარბაზის შუაში ცალკე მოწყობილ ბილიკებზე შედგა. ამერიკელი ტიმ ჰარდენის სახელი სპორტის დედოფლის ფანებს არას ეუბნება, ბაჰამელი ჩანდრა სტარაპი ერთი-ორჯერ გვიხსენებია. საერთოდ, 60 მეტრის ორივე ფინალი კვირას, მოსაღამოებულზე შედგა, როცა იმ დღის მთავარ ვნებათაღელვებს უკვე ჩაევლოთ. კონკრეტულად, ვაჟთა 1500 და 800 მეტრიან, ქალთა კი 1500 და 800 მეტრიან გარბენებს ვგულისხმობთ. ამ ცენტრალურ ამბებს საკმაზად ახლდა არა_სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონის, მაგრამ უდიდესი მძლეოსნის, ხავიერ სოტომაიორის გაწბილება სიმაღლეზე ხტომაში, კუბელივე ივან პედროსოს სანიმანსვეტო გამარჯვება სიგრძეზე ხტომაში და მისთანანი. კვირადღე ჩემპიონატზე ყველაზე ცოცხალი გამოდგა.



შვედმა სტეფან ჰოლმმა სიმაღლეზე ხტომაში თვით ხავიერ სოტომაიორი დაჩაგრა

სიმაღლეზე ხტომა სამ საათზე დაიწყო. სრულიად მოულონელად ლისაბონში ამ დისციპლინის პატრონობა შვედებმა დაიჩემეს. პარასკევს კაისა ბერგკვისტმა ქალებში იმარჯვა, კვირას კი ვიკინგ ვაჟკაცებს სულაც ორი მედალი დარჩათ. სტეფან ჰოლმმა 2,32 მეტრი დაძლია, სხვები და მათ შორის სოტომაიორი 2,29-ზე გაიყინნენ. დამატებითმა მაჩვენებლებმა ვერცხლი და ბრინჯაო უკრაინელსა და შვედს არგუნა (იხილეთ ცხრილი მომდევნო გვერდზე), დიდი კუბელი კი დარჩა ისე...

15 საათსა და 35 წუთზე დარბაზში ხალხმა და ხმაურმა იმატა, სტარტზე ვაჟები შედგნენ 3000 მეტრის დასაფარად. მათში ჩანდნენ ჰიშამ ელ გურუჯი, მილიონ ვოლდე, ბერნარდ ლაგატი, მუჰამედ მურიტი, მარკ კეროლი და სხვა ცნობილი მძლეოსნები. გურუჯზე ადრე გითხარით, მის რბენას 1500 მეტრზე უფრო ინდომებდნენ ქომაგები ნგენისთან შეჯიბრის ხათრით, მაგრამ ნგენი ლისაბონში რიგზე ვერ იყო და ახლა სხვა აინტერესებდა მაყურებელს: როგორ ირბენდა გურუჯი თავის არასაფირმო დისტანციას.

მაროკოელმა ტრადიციულად დაიწყო: ორი „კურდღელი" წინ წაიმძღვარა. ამათ ფუნქციას გზის საწყის ნაწილში ტემპის შენარჩუნება შეადგენდა, მერე კი გურუჯს ჩამოეცლებოდნენ და გადამწყვეტი გავარდნისთვის გზას დაუთმობდნენ. ასე მოუგია გურუჯს ათობით შეჯიბრი, ასე მოიქცა სიდნეის ოლიმპიადაზე და მაინცდამაინც იქ წააგო ნგენისთან, მაგრამ ეს ისტორიაა... ამჯერად გურუჯი მიქროდა ალმაფრენით და 2 კილომეტრის შემდეგ ათიოდე მეტრით დაწინაურდა. მას მიჰყვებოდნენ ეთიოპი ვოლდე, გაბელგიელებული მაროკოელი მურიტი და ესპანელი ალბერტო გარსია. მალე ვოლდე დაიქანცა, ორმა სხვამ კი ფინიშამდე ენერგიულად ირბინა. განსაკუთრებით მურიტი აქტიურობდა, მაგრამ ინტერმაროკოული დერბი მაინც გურუჯის სასარგებლოდ დასრულდა, რომელმაც ბოლო ორი წრე ისე ჩქარა გაირბინა, თითქოს მოსაკლავად მისდევდნენ. მურიტმა ამაზე ვერაფრით უპასუხა. მესამე გარსია იყო.

რამდენიმე წუთში ქალები გამოვიდნენ 1500 მეტრის სარბენად და მაროკოელი იმათშიც ერია, ოღონდ რვა ტანკენარი მანდილოსნიდან არბზე მეტ ყურადღებას ნახსენებ ოსალივანსა და რუმინელ ვიოლეტა სეკელს აქცევდნენ. საერთო აზრით, გარბენი უფრო რუმინელს უნდა მოეგო, თუმცა მას შემდეგ, რაც ადრე დაწინაურებული და ადრევე ჩამორჩენილი ოსალივანი ჯგუფის ბოლოში მოექცა, ლიდერობა პორტუგალიელმა კარლა საკრამენტომ იპყრო, როცა ფინიშამდე 600 მეტრი რჩებოდა. საკრამენტოს ზურგს უმშვენებდნენ სეკელი, რუსი გორელოვა, ბულგარელი იორდანოვა და 22 წლის მაროკოელი ჰასნა ბენჰასი. ზედ ბოლო წრის წინ სეკელი და ბენჰასი დაწინაურდნენ. შემდეგ ბენჰასიმ დასკვნითი 200 მეტრი სასწაულად ირბინა, სეკელს ფინიშთან 0,34 წამით მიასწრო და იქვე მდგარი ჰიშამ ელ გურუჯს მკლავებში ჩაუვარდა. „ბედნიერი ვარ! — ბავშვივით უხაროდა ბენჰასის — დიდ შეჯიბრზე პირველად გამოვედი და გავიმარჯვე. ამაზე ჯადოსნური რა იქნება!..." ადგილობრივი მაყურებელი შეწუხდა, როცა იხილა, რომ საკრამენტომ ველარც ბრინჯაო შესძინა ქვეყანას, გორელოვამ წაართვა.

ქალთა 800 მეტრიან გარბენს ორი ფავორიტი ჰყავდა: ავსტრიელი შტეფანი გრაფი და მოზამბიკელი მარია მუტოლა. საბოლოოდ ოქროს ბედი ამ წყვილში გაირკვა, მაგრამ ერთხანს საქმე სხვანაირად აეწყო. პირველი წრე გრაფმა მოიგო, მერე კი ჩეხი ფუხსოვა წინ გაიჭრა და ისე დააწვა, დამწევი არავინ ჩანდა. მაგრამ ეს არ იყო სპრინტი, საშუალო დისტანციას კი ტაქტიკის ელემენტებიც უეჭველად ახლავს და ბოლო წრეზე ჯერ გრაფმა და მერე მუტოლამ ჩეხი გოგო ბრინჯაოს დააჯერეს, თავად კი პირველობისთვის ერთმანეთს სიქა გააძრეს. თეთრი ქალი ცოტა წინ იყო, მაგრამ შავი ზედ ფინიშზე დაეწია და თვალთახედვა უკვე უძლური იყო იმის გასარკვევად, ძვირფასი სანტიმეტრები ვინ მოიგო. ტექნიკის გამოყენებით მუტოლას გამარჯვება დადგინდა.

ვაჟებს ფოტოფინიში არ დასჭირვებიათ. უილსონ კიპკეტერის ტრიბუნაზე ჯდომით ისარგებლა რუსმა თინეიჯერმა იური ბორზაკოვსკიმ და სხვებს გადაუარა. მისი მთავარი მეტოქე შვეიცარიელი ანდრე ბუხერი იყო, რომელმაც გზის ნახევარი ათმეტრიანი გარღვევით მოიგო, მაგრამ ბორზაკოვსკის სტილი ცნობილია. ადამიანი, ზოგადად, ჩქარა იწყებს, მერე იღლება და შეანელებს ხოლმე, მანქანა კი პირიქით, უმატებს და უმატებს. ბორზაკოვსკი მანქანასავითაა. „რუსული რაკეტა სრული ძალით ფინიშიდან 150 მეტრში გაფრინდა" — წერს ჩემპიონატის ერთ-ერთი კომენტატორი, შედეგად კი სამხრეთაფრიკელ ბოტას რუსმა თითქმის ორი წამი მოუგო და ბუხერს კიდევ მეტი. ბოლო მეტრებზე შვეიცარიელი მარტო იმას ცდილობდა, სულ უმედლოდ არ დარჩენილიყო და ბეწვზე გაუსწრო ვინმე გლოდი დუბეს, რომლის 1:46,88 ბოტსვანის ახალ ეროვნულ რეკორდად იქნა გაფორმებული.

**დავით გულუა**

# შედეგები

## მძლეოსნობა

### მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატი
ლისაბონი (პორტუგალია). 9-11 მარტი

#### ვაჟები

**სამხტომი:** 1. პაოლო კამოსი (იტალია) 17,32; 2. ჯონათან ედვარდსი (დიდი ბრიტანეთი) 17,26; 3. ენდრიუ მერფი (ავსტრალია) 17,20

**60 მ. თარჯრბენი:** 1. ტერენს ტრამელი (აშშ) 7,51; 2. ანიერ გარსია (კუბა) 7,54; 3. შონ ბოუნსი (სამხრეთ აფრიკა) 7,55

**ბირთვი:** 1. ჯონ გოდინა (აშშ) 20,82; 2. ადამ ნელსონი (აშშ) 20,72; 3. მანუელ მარტინესი (ესპანეთი) 20,67

**ჭოკით ხტომა:** 1. ლოურენს ჯონსონი (აშშ) 5,59; 2. ტაი ჰარვი (აშშ) 5,90; 3. მესნიუ რომენი (საფრანგეთი) 5,85

**1500 მ:** 1. რუი სილვა (პორტუგალია) 3:51,06; 2. რეიეს ესტევესი (ესპანეთი) 3:51,25; 3. ნოა ნგენი (კენია) 3:51,63

**200 მ:** 1. შონ კროუფორდი (აშშ) 20,63; 2. კრისტიან მალკოლმი (დიდი ბრიტანეთი) 20,76; 3. პატრიკ ვან ბალკომი (ჰოლანდია) 20,96

**სიმაღლეზე ხტომა:** 1. სტეფან ჰოლმი (შვედეთი) 2,32; 2. ანდრეი სოკოლოვსკი (უკრაინა) 2,29; 3. სტაფან სტრანდი (შვედეთი) 2,29

**400 მ:** 1. დანიელ კეინსი (დიდი ბრიტანეთი) 46,40; 2. მილტონ კემპბელი (აშშ) 46,45; 3. დანი მაკფარლენი (იამაიკა) 46,74

**3000 მ:** 1. ჰიშამ ელ გერუჯი (მაროკო) 7:37,74; 2. მოჰამედ მურიტი (ბელგია) 7:38,94; 3. ალბერტო გარსია (ესპანეთი) 7:39,96

**სიგრძეზე ხტომა:** 1. ივან პედროსო (კუბა) 8,43; 2. ქარიმ სტრიტ-ტომპსონი (კაიმანის კუნძულები) 8,16; 3. კარლოს კალადო (პორტუგალია) 8,16

**800 მ:** 1. იური ბორზაკოვსკი (რუსეთი) 1:44,49; 2. იოჰან ბოტა (სამხრეთ აფრიკა) 1:46,42; 3. ანდრე ბუხერი (შვეიცარია) 1:46,46

**შვიდჭიდი:** 1. რომან სებრლე (ჩეხეთი) 6420; 2. იონ არნარ მაგნუსონი (ისლანდია) 6233; 3. ლევ ლობოდინი (რუსეთი) 6202

**60 მ:** 1. ტიმ ჰარდენი (აშშ) 6,44; 2. ტიმ მონტგომერი (აშშ) 6,46; 3. მარკ ლუის-ფრენსისი (დიდი ბრიტანეთი) 6,51

**ესტაფეტა 4X400 მ.:** 1. პოლონეთი (პიოტრ რუსიუკევიჩი, პიოტრ ჰაჩეკი, იაცეკ ბოციანი, რობერტ მაკოვიაკი) 3:04,47; 2. აშშ (მილტონ კემპბელი, ლენარდ ბირდი, ტრინიტი გრეი, ჯერომ იანგი) 3:04,64; 3. რუსეთი (ალექსანდრ ლადეიშჩიკოვი, რუსლან მაშჩენკო, ბორის გორბანი, ანდრეი სემიონოვი) 3:04,82

#### ქალები

**სიმაღლეზე ხტომა:** 1. კაისა ბერგკვისტი (შვედეთი) 2,00; 2. ინგა ბაბაკოვა (უკრაინა) 2,00; 3. ვენელინა ვენევა (ბულგარეთი) 1,96

**ჭოკით ხტომა:** 1. პავლა ჰამაჩკოვა (ჩეხეთი) 4,56; 2. სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) და კელი სატლი (აშშ) 4,51

**60 მ. თარჯრბენი:** 1. ენჯენეტ კირკლენდი (აშშ) 7,85; 2. მიშელ ფრიმენი (იამაიკა) 7,92; 3. ნიკოლ რამალალანირინა (საფრანგეთი) 7,96

**ხუთჭიდი:** 1. ნატალია საზანოვიჩი (ბელარუსი) 4850; 2. ელენა პროხოროვა (რუსეთი) 4711; 3. კარინ შპეხტ-ერტლი (გერმანია) 4678

**სიგრძეზე ხტომა:** 1. დაუნ ბარელი (აშშ) 7,03; 2. ტატიანა კოტოვა (რუსეთი) 6,98; 3. ნიურკა მონტალვო (ესპანეთი) 6,88

**ბირთვი:** 1. ლარისა პელეშენკო (რუსეთი) 19,84; 2. ნადეჟდა ოსტაპჩუკი (ბელარუსი) 19,24; 3. სვეტლანა კრიველიოვა (რუსეთი) 19,18

**3000 მ:** 1. ოლგა ეგოროვა (რუსეთი) 8:37,48; 2. გაბრიელა საბო (რუმინეთი) 8:39,65; 3. ელენა ზადოროჟნაია (რუსეთი) 8:40,15

**სამხტომი:** 1. ტერეზა მარინოვა (ბულგარეთი) 14,91; 2. ტატიანა ლებედევა (რუსეთი) 14,85; 3. ტიომბე ჰარდი (აშშ) 14,19

**400 მ:** 1. სანდი რიჩარდსი (იამაიკა) 51,04; 2. ოლგა კოტლიაროვა (რუსეთი) 51,56; 3. ოლესია ზიკინა (რუსეთი) 51,71

**1500 მ:** 1. ჰასნა ბენჰასი (მაროკო) 4:10,83; 2. ვიოლეტა სეკელი (რუმინეთი) 4:11,17; 3. ნატალია გორელოვა (რუსეთი) 4:11,74

**800 მ:** 1. მარია მუტოლა (მოზამბიკი) 1:59,74; 2. შტეფანი გრაფი (ავსტრია) 1:59,78; 3. ჰელენა ფუხსოვა (ჩეხეთი) 2:01,18

**60 მ:** 1. ჩანდრა სტარაპი (ბაჰამები) 7,05; 2. ანჯელა უილიამსი (აშშ) 7,09; 3. კრაისტ გეინსი (აშშ) 7,12

**200 მ:** 1. ჯულიეტ კემპბელი (იამაიკა) 22,64; 2. ლატაშა ჯენკინსი (აშშ) 22,96; 3. ნატალია ვინოგრადოვა (ბელარუსი) 23,17

**ესტაფეტა 4X400 მ.:** 1. რუსეთი (იულია ნოსოვა, ოლესია ზიკინა, იულია სოტნიკოვა, ოლგა კოტლიაროვა) 3:30,00; 2. იამაიკა (ჩერმენ ჰაუელი, ჯულიეტ კემპბელი, კეტრინ სკოტი, სანდი რიჩარდსი) 3:30,79; 3. გერმანია (კლაუდია მარქსი, ბირგიტ როკმაიერი, ფლორენს ეკპო, შანტა გოში) 3:31,00

### ქვეყანათა მონაგარი

| ქვეყანა | ო | ვ | ბ |
|---|---|---|---|
| აშშ | 7 | 8 | 2 |
| რუსეთი | 4 | 5 | 6 |
| იამაიკა | 2 | 2 | 1 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 1 |
| შვედეთი | 2 | 0 | 1 |
| მაროკო | 2 | 0 | 0 |
| დიდი ბრიტანეთი | 1 | 2 | 1 |
| ბელარუსი | 1 | 1 | 1 |
| კუბა | 1 | 1 | 0 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 1 |
| პორტუგალია | 1 | 0 | 1 |
| ბაჰამები | 1 | 0 | 0 |
| იტალია | 1 | 0 | 0 |
| მოზამბიკი | 1 | 0 | 0 |
| პოლონეთი | 1 | 0 | 0 |
| რუმინეთი | 0 | 2 | 0 |
| უკრაინა | 0 | 2 | 0 |
| ესპანეთი | 0 | 1 | 3 |
| სამხრეთ აფრიკა | 0 | 1 | 1 |
| ავსტრია | 0 | 1 | 0 |
| ბელგია | 0 | 1 | 0 |
| კაიმანის კუნძულები | 0 | 1 | 0 |
| ისლანდია | 0 | 1 | 0 |
| გერმანია | 0 | 0 | 2 |
| საფრანგეთი | 0 | 0 | 2 |
| ავსტრალია | 0 | 0 | 1 |
| კენია | 0 | 0 | 1 |
| ჰოლანდია | 0 | 0 | 1 |
| შვეიცარია | 0 | 0 | 1 |

## ჩოგბურთი

# დიდებისკენ თბილისის გავლით



ჟან-მაიკლ გემბილი ჩემპიონობას ზეიმობს

**სკოტსდეილი (აშშ)**
**FRANKLIN TEMPLETON CLASSIC**
**ჰარდი. საპრიზო 400 ათასი $**

**მეოთხედფინალი:** მაგნუს ნორმანი (3, შვედეთი) — მარდი ფიში (აშშ) 6:3, 3:6, 6:3; ლეიტონ ჰიუიტი (4, ავსტრალია) — მარსელო რიოსი (7, ჩილე) 7:5, 6:2; ჰარელ ლევი (ისრაელი) — ტიმ ჰენმანი (6, ინგლისი) 6:2, 6:4; ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) — ნიკოლას მასიუ (ჩილე) 6:4, 2:6, 6:3

**ნახევარფინალი:** ნორმანი — ლევი 7:6 (7:3), 7:6 (10:8); კლავეტი — ჰიუიტი 6:3, 6:4

**ფინალი:** კლავეტი — ნორმანი 6:4, 6:2

გასული კვირის დასაწყისში 32 წლის ვეტერანი ფრანსისკო კლავეტი სკოტსდეილში ჩემპიონობაზე ფიქრსაც კი ვერ გაივლებდა გულში. გარდა იმისა, რომ არიზონაში მსოფლიოს არაერთ უძლიერეს ჩოგბურთელს (პიტ სამპრასი, ანდრე აგასი, მაგნუს ნორმანი, ტომას ენკვისტი) მოეყარა თავი, თავად ესპანელსაც თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე ჰარდის საფარზე ერთი ტურნირიც არ მოეგო.

„კენჭისყრამ ოპტიმიზმით არ ამავსო. ვინმეს რომ ეთქვა, წინ რა მელოდა, არც დავიჯერებდი — განაცხადა კლავეტმა უკვე კვირას, როდესაც მთავარი ჯილდო ხელში შეათამაშა, ტრიუმფისკენ გზად კი სამ საუკეთესოთა ათეულელს პირადად გაუსწორდა — განსაცვიფრებელია, ეს, ალბათ, უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში, ეს ტურნირი კი სიკვდილამდე მემახსოვრება“.

ცაცია ესპანელმა სკოტსდეილში პირველ წრეში ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი ანდრე აგასი დაამარცხა, გულმოცემული და თავდაჯერებაშემატებული კი ამის შემდეგ სულ უფრო უკეთ ათამაშდა. დაუღლელად მორბენალმა, სწრაფმა და საზრიანმა კლავეტმა ნახევარფინალში ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი ლეიტონ ჰიუიტი იმხსვერპლა, ფინალში კი მსოფლიოს მეხუთე ჩოგან მაგნუს ნორმანს გამოუყვანა წირვა.

ნორმანს წვიმის გამო გადადებული ნახევარფინალის გამართვა გადამწყვეტ მატჩამდე სულ ორიოდ საათით ადრე მოუხდა, თავს გადაღლილადაც გრძნობდა, თუმცა კლავეტს დამსახურება არ დაუკარგა: „მას შეცდომები თითქმის არ დაუშვია და კინაღამ ჭკუაზე შემშალა, ისეთ ბურთებს უსწრებდა. ასეთ ასაკში ამ ტურნირის მოგება ნამდვილად შესანიშნავი მიღწევაა, ქუდს ვიხრი მის წინაშე“.

სკოტსდეილის ტიტული ესპანელისთვის მერვეა კარიერაში, დანარჩენი შვიდი მას საყვარელ თიხნარზე მოუპოვებია. „საკუთარ თავს დავუმტკიცე, რომ ჯერ კიდევ შემიძლია მაღალ დონეზე თამაში და ახალგაზრდა კოლეგების დამარცხება. მოგების წყურვილი ამ ასაკში არ დამიკარგავს.“

**დელრეი ბიჩი (აშშ)**
**CITRIX-ის პირველობა.**
**ჰარდი. საპრიზო 350 ათასი $**

**მეოთხედფინალი:** უეინ არტურსი (ავსტრალია) — პატრიკ რაფტერი (1, ავსტრალია) 6:1, 7:6 (9:7); ჟან-მაიკლ გემბილი (4, აშშ) — კრის ვუდრაფი (აშშ) 5:7, 7:6 (11:9), 6:4; ქსავიე მალისი (ბელგია) — ფაბრის სანტორო (8, საფრანგეთი) 6:4, 7:6 (7:5); პეტერ ვესელსი (ჰოლანდია) — ედვინ კემპესი (ჰოლანდია) 7:6 (7:4), 7:6 (7:2)

**ნახევარფინალი:** გემბილი — არტურსი 6:3, 6:7 (3:7), 7:6 (10:8); მალისი — ვესელსი 7:5, 6:4

**ფინალი:** გემბილი — მალისი 7:5, 6:4

ამერიკელი ჟან-მაიკლ გემბილისთვის კარიერის ოდენ მეორე ტიტულისკენ გზა მართლაც რომ „ვიწრო და საჭირველი“ გამოდგა. „იაგუარების“ კოლექციონერმა, შეთავსებით მოდელმა მშვენიერი სქესის ქომაგთა შორის საკმაო პოპულარობით მოსარგებლე იანკიმ მეოთხედფინალშიც და ნახევარფინალშიც, შესაბამისად კრის ვუდრაფისა და უეინ არტურსის წინააღმდეგ, სამ-სამი მატჩ-პოინტი გადაარჩინა.

„ახლა, როდესაც იმ მომენტებზე ვფიქრობ, თავადაც მიკვირს, როგორ დავიძვრინე თავი. მთავარია, ყურადღება არ გაგეფანტოს და შიშის გრძნობა დაძლიო, სწორედ ასე იქცევიან ჩემპიონები“ — აღნიშნა მოგვიანებით გემბილმა, რომელიც იმ იშვიათ ჩოგბურთელთა კატეგორიას განეკუთვნება, ორივე მხრიდან ორი ხელით რომ თამაშობენ (ასეთები ამჟამად მხოლოდ ფაბრის სანტორო და ბაირონ ბლექი არიან).

წინა ფათერაკების შემდეგ ფინალი ამერიკელისთვის იოლი გასეირნება გამოდგა. 20 წლის ბელგიელმა ქსავიე მალისმა მატჩში უამრავი თვალსასეირო დარტყმით გამოიჩინა თავი, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ან თავად აურია, ან იღბალმა აქცია ზურგი. სწორედ ასე მოხდა მეორე ხელის ბოლოს, როდესაც მალისს გემბილისთვის მოწოდების ართმევის პირველი და უკანასკნელი შანსი ჰქონდა. ზედ ბრეიკ-პოინტზე, მეტოქის კიდეში მომწყვდევის შემდეგ ბელგიელს ჩოგანზე სიმი გაუწყდა და ბურთი ბადეში გაახვია.

ამერიკელმა ბედის საჩუქარი შეირგო, ამის მერე ზედიზედ ორი ეისი მოაწოდა (სულ 11) და რამდენიმე წუთში გამარჯვების აღსანიშნავად გიჟივით ხტუნვასაც მოჰყვა. „ტიტულებს შორის პაუზა თითქმის ორი წელი გამიგრძელდა და მოხარული ვარ, რომ ისევ ჩემპიონი ვარ. ასე კარგად სეზონი არასოდეს დამიწყია, იმედია, მალე საუკეთესოთა ათეულში შევაღწევ, ეს ჩემი დიდი ხნის მიზანია“.

თავის მხრივ საწუწუნო არც ქსავიე მალისს აქვს. ახალგაზრდა ბელგიელი ამომავალი ვარსკვლავიდან შარშან ჯენიფერ კაპრიატის უცნობ ბოიფრენდად იქცა, თუმცა ამერიკელთან დაშორების შემდეგ ნელ-ნელა ძველებურად ათამაშდა და კლასიფიკაციის პირველ ასეულს დაუბრუნდა: „შარშან საზიზღრად ვთამაშობდი. მთელი სეზონი ჩავაგდე, თუმცა ეს ჭკუის სწავლაშიც დამეხმარა. ახლა სწორ გზაზე ვდგავარ და იმედია, წინ მეტი წარმატებული ტურნირი მელის“.

**მასტერსის სერია.**
**ინდიან უელსი (აშშ)**
**ჰარდი. საპრიზო 2,05 მილიონი $**

პირველ წრეში დასვენების შემდეგ გასულ უქმეებზე ინდიან უელსში საქმეში ნამდვილი ბობოლები ჩაერთვნენ და ხენსაციებმაც არ დაახანა. კიდევ უფრო ის გაგაკვირვებთ, რომ მოულოდნელობათა ავტორებს თავის დროზე თბილისელი ქომაგებიც შეხვედრიან დედაქალაქის ქალთა პირველობაზე.

მაგალითად, 20 წლის ავსტრალიელ ევი დომინიკოვიჩთან ამ სტრიქონების ავტორს ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე პირადად უსაუბრია და მისი თამაშით მაინცდამაინც აღფრთოვანებულიც არ დარჩენილა (შარშანწინ ოზი თბილისში მეოთხედფინალში გავარდა). სწორედ ამ დომინიკოვიჩმა ინდიან უელსში მეცხრედ განთესილი ნატალი ტოზია დაამარცხა 6:4, 4:6, 7:5.

ავსტრალიელმა ვეტერანი ფრანგი მძლავრი მოწოდებებითა და ფორჰენდით დაჩაგრა, მოგვიანებით კი კითხვაზე, აქამდე სად იყავიო, მშობლიური ჩოგბურთის ფედერაცია გაუკრიტიკა: „ჩვენ ერთობ გვანებივრებენ. იუნიორებში მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ გაპროფესიონალების შემდეგაც ფედერაცია თითქმის ყველაფრისთვის მიხდიდა ფულს. შედეგად მეტისმეტად გავზარმაცდი, რიგიანად ვარჯიში კი მხოლოდ შარშან დავიწყე, როდესაც მარტო დავრჩი“.

აყლაყუდა რუსი ელენა ბოვინა ასევე 1999-ში თბილისში პირველ წრესაც კი ვერ გასცდა, თუმცა ამჯერად უიმბლდონის ყოფილ ჩემპიონ კონჩიტა მარტინესს მოუგო 6:4, 6:4 და ჩოგბურთის ერთი დიდი ექსპერტის საქებარი სიტყვებიც დაიმსახურა.

„ბოვინასთან ერთად დეკემბერში ბევრი ვივარჯიშე. ის ძალიან ნიჭიერი ჩოგბურთელია, კარგი მოწოდება აქვს და უკანა ხაზზეც არანაკლებ ირჯება. ცოტა გამოცდილებას რომ მიიღებს, კიდევ უფრო მოუმატებს, ასე რომ, ეს (მარტინესის დამარცხება) მაინცდამაინც დიდ სენსაციად არც ალვიქვი“ — ეს სიტყვები თვით მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისს ეკუთვნის.

**მეორე წრე:** ტატიანა გარბინი (იტალია) — მონიკა სელეში (4, აშშ) 7:6 (8:6), 3:6, 6:4

**მესამე წრე:** მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — კრისტინა ტორენს-ვალერო (ესპანეთი) 6:3, 6:0; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ანა გეილ-სიდო (საფრანგეთი) 6:4, 6:4; ვინუს უილიამსი (3, აშშ) — კარა ბლექი (ზიმბაბვე) 6:4, 3:6, 6:0; სერენა უილიამსი (7, აშშ) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 6:3, 6:1; ელენა დემენტიევა (8, რუსეთი) — ენ კრემერი (ლუქსემბურგი) 6:1, 6:4; ნატალი დეში (საფრანგეთი) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (10, ესპანეთი) 7:6 (11:9), 3:6, 6:2; ანკე ჰუბერი (11, გერმანია) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 3:6, 6:4, 6:3; კიმ კლაისტერსი (14, ბელგია) — ჟიუსტინ ენენი (ბელგია) 1:6, 6:4, 6:3; ლაიზა რეიმონდი (აშშ) — სანდრინ ტესტიუ (13, საფრანგეთი) 6:7 (7:9), 6:4, 7:5.

**ავთანდილ სვანიძე**

ევროპის ერთა თასი. მეოთხე ტური. 17 მარტი

## საქართველო - ესპანეთი

რუსთავი. «ფოლადის» სტადიონი. 15 საათი

# თამაშგარედან რუსთავში



სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი, თბილისის ვიცე-პრემიერი ვლადიმერ დარჯანია და რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე გუშინდელ თათბირზე

**17 მარტს** საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებს მეტად მნიშვნელოვანი და პრინციპული მატჩი რომ ელის ესპანელებთან, ეს უკვე ცნობილია. მოგეხსენებათ ისიც, რომ რუსეთის მძლეველი „ბორჯღალოსნების“ ეროვნულ სტადიონზე შეშვება-არ შეშვების საკითხი უსაშველოდ გაიწელა. დღემდე მორაგბეებისათვის ეროვნულის კარი არავის დაუკეტავს, არც ამჯერად ეტყოდნენ ქვეყნის მთავარ სარბიელზე უარს, მაგრამ, როგორც იცით, 17 მარტს გასამართ დიდ რაგბის, 28 მარტს არანაკლებ მნიშვნელოვანი საფეხბურთო მატჩი მოსდევს — ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში რუმინელებს უნდა უმასპინძლოს. ამის გამო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თადარიგი წინასწარვე დაიჭირა: გადაწყვიტა, „ეროვნულზე“ გასამართი შიდა ჩემპიონატის მატჩები ჯერ კიდევ მოუწესრიგებელ ვაკის სტადიონზე და დიღმის ბაზაზე ჩაატაროს. შემდეგ გახუნებული მოედნის საფარის გაკეთილშობილებას შეუდგა. ეროვნული სტადიონი 28 მარტამდე დაიკეტა. საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები კი „თამაშგარეშე“ აღმოჩნდა. სტადიონის აგრონომის მტკიცებით, მას რაგბისა და ფეხბურთს შორის ათდღიანი ინტერვალი ეყოფოდა მოედნის მოსაწესრიგებლად, ოღონდ ერთი პირობით, თუ იქნებოდა მზე, რაც ბალახის ზრდას უწყობს ხელს. არადა, მორაგბეებს „ეროვნულის“ გარდა წასასვლელი არსად ჰქონდათ. სხვადასხვა მიზეზის გამო სხვა სტადიონები თავიდანვე გამოირიცხა, სათადარიგო ვარიანტად კი გორის „დილას“ სარბიელი მოიაზრებოდა, რომლის მოედნის საფარი ასე თუ ისე აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს, მაგრამ გასახდელები და საშხაპეები სავალალო მდგომარეობაშია, სასწრაფო სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად კი ათი ათასი ლარია საჭირო, რომელიც არც ქალაქის ხელმძღვანელობას და არც სტადიონის მესვეურებს არ გააჩნიათ. ყველაფერ სიკეთესთან ერთად, „დილას“ მოედანი რაგბისთვის არასტანდარტულია.

გუშინ „ეროვნულზე“ მორიგი თათბირი გაიმართა და საბოლოოდ გადაწყდა საქართველო — ესპანეთის სარაგბო მატჩი რუსთავის „ფოლადზე“ გაიმართება. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ, ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ, თბილისის ვიცე-პრემიერმა ვლადიმერ დარჯანიამ და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილმა თავ-თავიანთ პოზიციები დააფიქსირეს. ვალერი ჩოლარიამ თხოვნით მიმართა რაგბის კავშირს, ესპანელებთან მატჩი ეგებ სხვაგან გამართოთ, ამით „ეროვნულის“ მინდორს დავასვენებთ და უეფასგან მოსალოდნელი სასჯელსაც ავიცილებთო. მორაგბეებს ალტერნატივად რუსთავის „ფოლადის“ სტადიონი შესთავაზეს.

ბიძინა გეგიძე: „რუსთავის სტადიონი უკვე დავათვალიერეთ. გარდა იმის, რომ მოედანი არასტანდარტულია, საფეხბურთო კარი შიგ გრუნტშია ჩაბეტონებული. გასახდელებს და საშხაპეებს გორთან შედარებით არა უშავს. საჭირო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, ვფიქრობ, რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ერთი ეგ არის, მინდორი სავალალო მდგომარეობაშია. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ და ფეხბურთის ფედერაციას არაფერი გვაქვს გასაყოფი, ამასთან, მეგობრული ურთიერთობაც ჩამოგვიყალიბდა, რუსთავის ვარიანტს დავთანხმდებით და ესპანელებს „ფოლადის“ სტადიონზე როგრმე ვუმასპინძლებთ“.

ვალერი ჩოლარიამ სარემონტო სამუშაოების ორგანიზება თავის თავზე აიღო. როგორც ითქვა, ჩაბეტონებულ კარს მოხერხავენ და მის მაგივრად სარაგბო კარს აღმართავენ, ამასთან მოედანსაც დააგრძელებენ და კოსმეტიკურადაც გაალამაზებენ. ტრანსპორტით უზრუნველყოფას და სტუმართა გასაცილებლად საჭირო ესკორტს კი მერია კისრულობს.

ისე, რუსთავი არ უნდა იყოს ურიგო ვარიანტი, მით უფრო, რომ სასტუმრო „სიმპათიიდან“, სადაც ესპანელები უნდა დაბინავდნენ, სულ რაღაც ნახევარი საათის სავალზეა, რაც IRB-ის დებულების ნორმებს შეესაბამება. თანაც რუსთავში გაზრდილი ოთხი მორაგბე — ლევან ცაბაძე, გოდერძი შველიძე მევლუდ მთიულიშვილი და პალიკო ჯიმშელაძე. დღესდღეობით „ბორჯღალოსანთა“ ძირითადის მობურთალნი არიან და ამდენად მათ მშობლიურ ქალაქს ალალად ეკუთვნის დიდი რაგბის დაგემოვნება.

„ძალიან გვიხარია, რომ ფეხბურთის ფედერაციამ და რაგბის კავშირმა საერთო ენა გამონახეს. დიდი მადლობელი ვარ მორაგბეების. მათ გაითავისეს ფეხბურთელთა პრობლემები და დიდსულოვნად დათანხმდნენ რუსთავში თამაშზე, რაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერში დავეხმარებით. მატჩის ადგილზე ჩავალთ და რუსთავის მერიის ხელმძღვანელობასაც შევხვდებით. ტრანსპორტით ორივე ნაკრებს ჩვენ ვუზრუნველვყოფთ, ამასთან, სამუშაოების მსვლელობას გავაკონტროლებთ“ — გვითხრა თბილისის ვიცე-პრემიერმა ვლადიმერ დარჯანიამ.

რაც შეეხება თვითონ მატჩს, იგი სამ საათზე დაიწყება. ბილეთის ფასი ჯერჯერობით უცნობია, ვინაიდან საქართველოს რაგბის კავშირი გულშემატკივრის სტადიონზე უფასოდ შეშვების მომხრეა. რას გადაწყვეტს „ფოლადის“ დირექცია, ეს უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. ამ დილით კი საფრანგეთიდან ჩვენი ლეგიონერები ჩამოფრინდებიან და აქ მყოფ მორაგბეებს შეუერთდებიან. ჩვენი ნაკრები ტაბახმელაში დაბინავდება და ოქროყანის სტადიონზე ივარჯიშებს.

**ბაჩო სვანიძე**

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ ჩვენს თანამშრომელს კოტე იაშვილს დედის

**ბელა ჟორდანია-იაშვილის**

გარდაცვალების გამო



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

9 მარტი

**ანაჰაიმი 3:1 ჩიკაგო (0:0 1:1 2:0)**

1:0 კარია 24 (24), 1:1 ნიულანდერი 40 (23), 2:1 ტვერდოვსკი 17 (12), 3:1 კარია 69 (25)

**ფლორიდა 6:7 კოლუმბუსი (2:1 2:4 2:1 0:1)**

1:0 ტეტარენკო 4 (1), 2:0 ნილსონი 6 (10), 2:1 სანდერსონი 8 (30), 2:2 ქუინტი 27 (3), 3:2 ნილსონი 28 (11), 4:2 პიტლიკი 34 (1), 4:3 ვიბორნი 36 (10), 4:4 ქუინტი 36 (4), 4:5 ქუინტი 39 (5), 5:5 ტეტარენკო 47 (2), 6:5 კოზლოვი 55 (13), 5:6 გარდინერი 55 (5), 6:7 კრონი 61 (7)

**ბუფალო 0:4 ედმონტონი (0:0 0:3 0:1)**

0:1 მარჩანტი 22 (11), 0:2 პოტი 27 (11), 0:3 ლარაქი 33 (9), 0:4 ლარაქი 48 (10)

**აილენდერსი 1:4 მინესოტა (0:2 0:2 1:0)**

0:1 დაუდი 20 (7), 0:2 კუბა 20 (8), 0:3 სტიუარტი 34 (4), 0:9 რესტი 38 (6), 1:4 ჯ. ბლეიკი 59 (5)

**ვაშინგტონი 5:3 რეინჯერსი (1:0 1:1 3:2)**

1:0 კოტე 8 (7), 2:0 ბონდრა 21 (38), 2:1 გრომეკი 40 (5), 2:2 დვორჟაკი 41 (21), 3:2 ბონდრა 43 (39), 4:2 ბონდრა 43 (40), 5:2 უიტფილდი 47 (1), 5:3 მაკარტი 60 (9)

10 მარტი

**ფილადელფია 2:3 ნიუ ჯერსი (1:0 0:2 1:1)**

1:0 რეკი 5 (23), 1:1 რაფალსკი 30 (7), 1:2 პოლიკი 31 (12), 2:2 დელმორი 50 (4), 2:3 მედენი 60 (20)

**ლოს ანჯელესი 2:1 ჩიკაგო (0:0 1:1 1:1 0:0)**

0:1 პერპერგერი 23 (9), 1:1 ტომასი 38 (3), 2:1 ბელანჟე 51 (8), 2:2 პრობერტი 57 (7)

**სან ხოსე 0:3 ნეშვილი (0:0 0:1 0:2)**

0:1 უოკერი 35 (20), 6:2 რ. რობიტაილი 57 (9), 0:3 ფიცჯერალდი 60 (9)

**ვანკუვერი 3:3 ტორონტო (2:0 1:1 0:2 0:0)**

1:0 ნესლუნდი 3 (39), 2:0 ნესლუნდი 15 (40), 3:0 შეფერი 25 (15), 3:1 სუნდინი 32 (24), 3:2 რობერტსი 49 (25), 3:3 სუნდინი 53 (25)

**პიტსბურგი 6:3 კალგარი (1:2 2:1 3:0)**

0:1 უიმერი 8 (9), 0:2 სავარი 11 (22), 1:2 პიაგრი 15 (39), 2:2 ლაუკანენი 22 (3), 2:3 პეტროვიცკი 25 (2), 3:3 ლემიე 34 (26), 4:3 იაგრი 50 (40), 5:3 სტრაკა 56 (24), 6:3 იაგრი 60 (41)

**ტამპა 4:1 კოლუმბუსი (0:1 1:0 3:0)**

0:1 კნუტსენი 15 (11), 1:1 პოლცინგერი 32 (10), 2:1 სენტ ლუისი 42 (13), 1:3 სენტ ლუისი 44 (14), 4:1 ლედიარდი 54 (2)

**ფინიქსი 3:3 მონრეალი (1:0 2:0 0:3 0:0)**

1:0 რენიკი 6 (27), 2:0 დოუნი 23 (7), 3:0 დოუნი 30 (22), 3:1 კოივუ 43 (13), 3:2 რუჩინსკი 44 (12), 3:3 კოივუ 56 (14)

**ოტავა 2:3 რეინჯერსი (1:1 1:0 0:2)**

0:1 დვორჟაკი 7 (22), 1:1 პავლატი 14 (13), 2:1 პავლატი 27 (14), 2:2 ნედვედი 51 (27), 2:3 მაკარტი 52 (10)

**სენტ ლუისი 2:2 დეტროიტი (0:0 0:0 2:2 0:0)**

0:1 აიზერმანი 45 (17), 1:1 ნაგი 52 (8), 2:1 დრეიკი 56 (12), 2:2 შენაჰანი 60 (22)

**დალასი 3:2 კოლორადო (2:1 0:1 0:0 1:0)**

1:0 სიდორი 2 (9), 1:1 რ. ბლეიკი 11 (9), 2:1 მოდანო 15 (25), 2:2 საკიკი 38 (40)

**ბოსტონი 5:7 ატლანტა (2:3 3:2 0:2)**

1:0 როლსტონი 21 (15), 1:1 დონოვანი 9 (11), 1:2 შტეფანი 10 (5), 1:3 შტეფანი 13 (6), 2:3 გერინი 19 (34), 2:4 კალიო 25 (11), 3:4 როლსტონი 33 (16), 4:4 გორენი 34 (2), 4:5 ოდეტი 34 (32), 5:5 ელისონი 37 (29), 5:6 ბრიუნეტი 60 (12), 5:7 კონი 60 (7)

11 მარტი

**აილენდერსი 1:4 ფლორიდა (1:0 0:2 0:2)**

1:0 სკაჩარდი 15 (15), 1:1 პ. ბურე 30 (46), 1:2 პ. ბურე 32 (47), 1:3 კოზლოვი 49 (14), 1:4 პ. ბურე 60 (48)

**მინესოტა 2:3 დეტროიტი (1:0 1:0 0:1 0:1)**

1:0 ჰენდრიქსონი 8 (13), 2:0 კრივოკრასოვი 24 (7), 2:1 დანდენო 29 (8), 2:2 გილი 44 (3), 2:3 შენაჰანი 61 (23)

**ატლანტა 3:3 კალგარი (1:1 0:2 2:0 0:0)**

0:1 კლარკი 1 (2), 1:1 კალიო 19 (12), 1:2 ლოური 32 (17), 1:3 უილმი 40 (7), 2:3 დომენიჩელი 50 (11), სტეირსი 55 (9)

**კოლორადო 3:2 დალასი (0:1 3:0 0:1)**

0:1 მარშალი 11 (10), 1:1 ფორსბერგი 22 (25), 2:1 ფორსბერგი 27 (27), 3:1 დრური 34 (21), 3:2 მარშალი 47 (11)

**კაროლინა 2:3 ედმონტონი (0:0 0:1 2:2)**

0:1 ლარაქი 24 (11), 1:1 უილისი 13 (19), 2:1 ბატალია 46 (10), 2:2 ბრიუერი 53 (3), 2:3 კლირი 58 (12)

**ვაშინგტონი 6:5 ოტავა (1:2 1:3 4:0)**

1:0 საკო 3 (6), 1:1 იაშინი 8 (32), 1:2 პოსა 19 (28), 1:3 პოსა 26 (29), 1:4 მაკიჩერნი 27 (28), 2:4 ბონდრა 27 (4), 2:5 ბონკი 38 (22), 3:5 ნიკოლიშინი 47 (11), 4:5 უიტფილდი 54 (2), 5:5 გონჩარი 55 (17), 6:5 კონოვალჩუკი 59 (20)

**ანაჰაიმი 1:0 ნეშვილი (0:0 0:0 0:0 1:0)**

1:0 კროული 64 (1)



პიტსბურგი — კალგარი. პიტსბურგელმა იაროშირ იაგრმა (№68) ჰეთ თრიქი მიითვალა და სეზონში პირველმა უწია 100-ქულიან ზღვარს

### აღმოსავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 69 | 39 | 8 | 3 | 19 | 224:172 | 89 |
| ნიუ ჯერსი | 68 | 36 | 12 | 3 | 17 | 235:163 | 87 |
| ვაშინგტონი | 69 | 37 | 10 | 2 | 20 | 203:176 | 86 |
| ფილადელფია | 69 | 36 | 10 | 2 | 21 | 208:180 | 84 |
| პიტსბურგი | 68 | 35 | 7 | 2 | 24 | 233:213 | 79 |
| ბუფალო | 68 | 36 | 5 | 1 | 26 | 176:160 | 78 |
| ტორონტო | 70 | 31 | 11 | 5 | 23 | 205:175 | 78 |
| კაროლინა | 68 | 30 | 8 | 3 | 27 | 176:185 | 71 |
| ბოსტონი | 69 | 28 | 6 | 7 | 28 | 189:217 | 69 |
| რეინჯერსი | 68 | 27 | 4 | 1 | 36 | 212:243 | 59 |
| მონრეალი | 69 | 23 | 6 | 4 | 36 | 170:200 | 56 |
| ფლორიდა | 70 | 18 | 10 | 9 | 33 | 170:213 | 55 |
| ატლანტა | 69 | 20 | 12 | 2 | 35 | 188:242 | 54 |
| ტამპა | 69 | 20 | 6 | 3 | 40 | 168:235 | 49 |
| აილენდერსი | 69 | 18 | 5 | 3 | 43 | 152:228 | 44 |

### დასავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 69 | 44 | 9 | 4 | 12 | 232:158 | 101 |
| დეტროიტი | 70 | 41 | 8 | 4 | 17 | 211:178 | 94 |
| დალასი | 69 | 38 | 5 | 2 | 24 | 193:168 | 83 |
| სენტ ლუისი | 69 | 39 | 9 | 4 | 17 | 221:164 | 91 |
| ვანკუვერი | 69 | 34 | 6 | 7 | 22 | 215:204 | 81 |
| სან ხოსე | 68 | 34 | 11 | 1 | 22 | 181:158 | 80 |
| ედმონტონი | 69 | 34 | 9 | 2 | 24 | 194:179 | 79 |
| ფინიქსი | 69 | 31 | 14 | 2 | 22 | 182:175 | 78 |
| ლოს ანჯელესი | 69 | 31 | 10 | 1 | 27 | 219:204 | 73 |
| ნეშვილი | 71 | 28 | 8 | 3 | 32 | 163:180 | 67 |
| ჩიკაგო | 69 | 28 | 7 | 3 | 31 | 188:200 | 66 |
| კალგარი | 68 | 23 | 13 | 4 | 28 | 167:198 | 63 |
| მინესოტა | 69 | 24 | 10 | 4 | 31 | 150:174 | 62 |
| კოლუმბუსი | 68 | 22 | 7 | 6 | 33 | 160:201 | 57 |
| ანაჰაიმი | 70 | 22 | 8 | 5 | 35 | 164:206 | 57 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის
რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge